

ვახტანგ გურული

სტატიები კრებულისათვის

„დიდნი საქმენი“

(რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2011)

თეიმურაზ II

XVII საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის გამწვავდა ირან-ოსმალეთს-რუსეთის ბრძოლა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. 1722 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა ლაშქრობა დაიწყო და დარუბანდი დაიკავა, მაგრამ შემდგომ ლაშქრობა აღარ გაუგრძელებია. პეტრე I-ის ამგვარმა მოქმედებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ირანის წინააღმდეგ რუსეთის მოკავშირე, ქართლის მეფე ვახტანგ VI. ამ დროისათვის ირანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა – დედაქალაქს ავღანელები უტევდნენ. 1723 წლის მაისში კახეთის გამაჰმადიანებულმა მეფემ, ერეკლე II-ის უფროსმა ბიძამ კონსტანტინემ ირანელთა დახმარებით თბილისი დაიკავა. ამის საპასუხოდ ოსმალეთმა ირანთან დადებული ზავი დაარღვია და 1723 წლის ივნისში თბილისი აიღო. გააქტიურდა რუსეთიც. 1723 წლის ივლისში რუსებმა ბაქო აიღეს. 1723 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში რუსეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დარუბანდი და ბაქო, ასევე გილიანის, ასტრახადისა და მაზანდარანის პროვინციები რუსეთს დარჩა. 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება. რუსეთმა აღიარა ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა. ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა დადასტურდა ირან-ოსმალეთის 1731 წლის ჰამადანის ზავით. ოსმალთა და ლეკთა თარეშმა ქართლი და კახეთი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ქართლისა და კახეთის სამეფოების აღორძინება ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლების, მამა-შვილის, მომავალ მეფეებს თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს უკავშირდება.

თეიმურაზ II-ის ბაბუა, თეიმურაზ I-ის შვილი დავითი ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაიღუპა კახეთის სამეფოში შეჭრილი როსტომ-ხანის ჯართან ბრძოლისას. დავითის ვაჟმა (მომავალმა მეფე ერეკლე I ნაზარალი-ხანმა) ჯერ ქართლში და შემდეგ კახეთში იმეფა. **ერეკლე I ნაზარალი-ხანს** სამი ვაჟი

დარჩა: **დავითი** (კახეთის მეფე დავით II იმამ-ყული-ხანი), **კონსტანტინე** (კახეთის მეფე მაჰმად-ყული-ხანი) და **თეიმურაზი** (ქართლის მეფე თეიმურაზ II).

დასუსტებული, დაშლის პირას მისული ირანი შაჰის სარდალმა **ნადირმა** იხსნა. ნადირმა ოსმალები რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა და სამხრეთ კავკასიის საზღვრებს მოუახლოვდა. 1735 წელს ნადირმა ჯერ განჯის, ხოლო შემდეგ ყარსის ციხეები აიღო. შექმნილ ვითარებაში თეიმურაზი პროირანულ ორიენტაციაზე დადგა და ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალთა და ლეკთა თარეშისაგან გადარჩენა ირანის დახმარებით გადაწყვიტა. თეიმურაზი ნადირს მიემხრო. თეიმურაზმა კახეთში ჯარი შეაგროვა, თავს დაესხა და დაამსრცხა ოსმალთა ჯარი, რომელიც თბილისში მჯდომმა ფაშამ განჯაში ალყაშემორტყმული ოსმალთა გარნიზონის მისაშველებლად გაგზავნა. შემდეგ თეიმურაზი კახ დიდებულთა ამალით ნადირის ბანაკში მივიდა. ყარსის აღების შემდეგ, 1735 წელს, ნადირმა ქართველების დახმარებით თბილისის ციხეც აიღო. 6 ოქტომბერს, როდესაც ნადირი თბილისში უნდა შემოსულიყო, თეიმურაზი მას ქალაქის გალავნის გარეთ შეეგება ქართლ-კახეთის დიდებულთა თანხლებით. განჯის კარიდან დაწყებული სასახლემდე მთელი გზა ყვავილებითა და ხალიჩებით იყო მოფენილი. ქართლის თავადების ერთი დიდი ნაწილი, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლებასთან ჰქონდა კავშირი, მტრულად შეხვდა ირანის გაბატონებას ქართლსა და კახეთში. ამ ოპოზიციურად განწყობილ ქართულ არისტოკრატიას სათავეში ედგნენ **გივი ამილახვრი** და **შანშე ქსნის ერისთავი**. გივი ამილახვარი ერთხანს მერყეობდა, თუმცა ნადირი მას მაინც უპატიოდ მოექცა, შეიპყრო და აიძულა მისთვის ასული მიეთხოვებინა. გივი ამილახვარის ქალი ვახტანგ მეექვსის ძმისწულზე, იესეს ვაჟ თეიმურაზზე იყო დანიშნული. ახალგაზრდა დანიშნულები სოფელ ჭალაში, გივი ამილახვრის სასახლეში იმყოფებოდნენ. მოულოდნელად ამილახვრების სასახლეში ნადირის მიერ გაგზავნილი კაცები მივიდნენ და ახალგაზრდა ქალი ჰარამხანაში წაიყვანეს. თეიმურაზი ამის შემდეგ დავით-გარეჯის უდაბნოში წავიდა და ბერად აღიკვეცა. შემდეგში იგი კათოლიკოს-პატრიარქი გახდა – **ანტონ I-ის** სახელწოდებით.

ნადირმა ქართლსა კახეთს მარბიელი რაზმები შეუსია ურჩი ფეოდალების დასასჯელად. საქართველოდან წასვლის წინ ნადირმა ქართლის გამგებლად თბილისში ირანელი სეფი-ხანი დატოვა, ხოლო თელავში კახეთის გამგებლად – თეიმურაზის ძმისწული, გამაჰმადიანებული ალი-მირზა, ანუ, ალექსანდრე ბატონიშვილი. სეფი-ხანმა და ალი-მირზამ ვერ მოახერხეს ვერც წესრიგის დამყარება და ვერც ხალხის გულის მოგება. უკმაყოფილება განსაკუთრებით მაშინ გაძლიერდა, როცა ხალხს მეტად მძიმე ხარკი დააკისრეს და ერთგვარი სამხედრო ბეგარაც მოსთხოვეს. ამიტომ სეფი-ხანმა, ვითომდა მოსალაპარაკებლად, გორში მიიწვია თეიმურაზი და ანტიირანული მოძრაობის ხელმძღვანელები – გივი ამილახვარი და სხვები, დაატყვევა ისინი, ბორკილები დაადო და ისპაჰანს გაისტუმრა ნადირთან (1736 წელს ნადირმა თავი ირანის შაჰად გამოაცხადა). თეიმურაზი შედარებით ადვილად გადარჩა. ნადირ-შაჰმა ის ავღანეთში წაიყვანა და მოსთხოვა, რომ კახეთიდან თავისი ქალ-ვაჟი, **ერეკლე** და **ქეთევანი** დაებარებინა. ყანდაღარის ციხის აღების შემდეგ ნადირ-შაჰმა თეიმურაზი საქართველოში გამოუშვა, ხოლო 18 წლის ერეკლე თან წაიყვანა ინდოეთის ლაშქრობაში. ერეკლე საქართველოში 1739 წელს დაბრუნდა.

ირანდან დაბრუნებულ თეიმურაზს ქართლი მძიმე მდგომარეობაში დახვდა. გავლენიანი ფეოდალების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ქსნის ერისთავი შანშე, ცვალებადი წარმატებით განაგრძობდა ბრძოლას ნადირ-შაჰის მიერ თბილისში დანიშნული ხელისუფლების წინააღმდეგ. შანშე ერისთავის დასამორჩილებლად ხანმა ჯარით შეუტია ქსნის საერისთავოს, დაარბია იგი და შანშე ერისთავი აიძულა რუსეთში გაქცეულიყო დახმარების სათხოვნელად. შანშე ერისთავის უმცროსი ძმა, რომელმაც, რუსების დახმარების იმედით, ერთხანს კიდევ განაგრძობდა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას, იძულებული გახდა მთელი თავისი ოჯახით კახეთში გაქცეულიყო, ლტოლვილებს არაგვის საერისთავოზე უნდა გაეფლოთ. არაგვის ერისთავი უთრუთი თბილისის ხანის მომხრე იყო. არაგვის ერისთავმა მცირე ამალით კახეთისაკენ მიმავალ ერისთავის მეუღლე დაატყვევა და ყიზილბაშებს გადასცა. რუსეთიდან დაბრუნებული შანშე ერისთავის შურისძიება შემზარავი იყო. მან დაიჭირავა ლეკთა ჯარი, დაარბია და დაატყვევა არაგვის საერისთავო და ალყა შემოარტყა

ანანურის ციხეს, სადაც უთრუთი ჩაიკეტა თავისი ძმებითა და ოჯახითურთ. ანანურის გარნოზონმა სასოწარკვეთილი წინააღმდეგობა გაუწია მოალყე ჯარს. ანანურის ციხის აღების შემდეგ ლეკთა ჯარი ქვემო ქართლში გადავიდა და დმანისის ციხეს მიადგა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. შანშე ერისთავს უღალატა მისმა შვილმა იოანემ, რომელიც თბილისის ხანს ეახლა და მისგან შესაფერისი თანამდებობა და ჯამაგირი მიიღო. შანშეს წინააღმდეგ ამხედრდნენ სხვა გავლენიანი ფეოდალებიც, მათ შორის გივი ამილახვარიც, რომელსაც ნადირ-შაჰმა ქსნის საერისთავო უბოძა და ინდოელი და ავღანელი ჯარისკაცები მიაშველა. ეს ახლად მოსული ჯარი, ყიზილბაშების ჯართან ერთად, გივი ამილახვრისა და თბილისის ხანის მეთაურობით, შეესია ქსნის საერისთავოს და ააოხრა ეს კუთხე, შანშემ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო და ძმასთან ერთად ახალციხის ფაშასთან გაიქცა. ნადირ-შაჰმა ოსმალეთის ხელისუფლებასა და ახალციხის ფაშასთან საგანგებო მოლაპარაკება გამართა დევნილი ერისთავის უკან დაბრუნების თაობაზე. შანშე და მისი ძმა ახალციხის ფაშამ დაატუსაღა და თბილისში გაგზავნა, საიდანაც ისინი ნადირ-შაჰს მიჰგვარეს. შანშე ერისთავს თვალები დთხარეს. ნადირ-შაჰმა, შანშე ერისთავის დახმარების შემდეგ, ქართლის ვექილად (სამოქალაქო გამგებლად) გივი ამილახვარი დანიშნა.]

ქართლის დამშვიდება ვერც გივი ამილახვარმა შეძლო. განსაკუთრებით გამძიმდა ვითარება მას შემდეგ რაც ნადირ-შაჰმა დაღესტანში ლაშქრობა დაიწყო (1741 წ.). დაღესტანში ყოფნისას ნადირმა ქართლ-კახეთიდან მოითხოვა სურსათ-სანოვაგის მიწოდება და რამდენიმე ათასი შებმული ურმის გაგზავნა, რამაც უკვე ქართლის დამშევა გამოიწვია. გივი ამილახვარმა ირანის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ამის საპასუხოდ თბილისის ხანი ირანელთა ჯარით ქართლს შეესია და ააოხრა. გივი ამილახვარი ზემო ქართლში გადავიდა, საიდანაც ბორჯომის ხეობით კავშირი დაამყარა ახალციხის ფაშასთან. ფაშა გივი ამილახვარს სურამის ციხის გამაგრების მიზნით თოფებით, ზარბაზნებითა და ტყვია-წამლით ეხმარებოდა. გარდა ამისა, ფაშა აჯანყებულებს დროგამოშვებით ოსმალთა რაზმებსაც აშველებდა.

გივი ამილახვარისა და მისი მომხრე ქართლელი თავადების მიერ დაწყებულმა ბრძოლამ ორად გათიშა ქართლსა და კახეთის მოსახლეობა: ერთი ნაწილი გივი ამილახვარსა და ანტიირანულ პარტიას მიემხრო, მეორე – ირანის ადგილობრივ ხელისუფლებას. თავდაპირველად სასწორი ხან ერთი მხარისაკენ გადაიხრებოდა, ხან – მეორისაკენ. ირანის ხელისუფლება ხან რეპრესიებს მიმართავდა ხალხის დასაშინებლად და ხანაც მათი გულის მოგებას ლამობდა დამთმობი პოლიტიკით. ამ რთულ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია თეიმურაზისა და ერეკლეს ირანის მხარეზე გადასვლამ. თეიმურაზმა გივი ამილახვრის მომხრეებისაგან გაწმინდა არაგვისა და ქსნის საერისთავოები, ხოლო ერეკლემ ცხინვალის მახლობლად დაამარცხა ოსმალებისა და ლეკების შეერთებული ლაშქარი. მაღლიერმა ნადირ-შაჰმა თეიმურაზს 10000 ოქრო გამოუგზავნა საჩუქრად. საპასუხოდ ოსმალეთის სულთანმა გივი ამილახვარს დიდი ლაშქარი მიაშველა ახალციხის ფაშას მეთაურობით. ფაშამ გივი ამილახვარს დიდი თანხა გადასცა ლეკების გადასაბირებლად. თეიმურაზი და თბილისში მყოფი ირანელი ხანი გორის ციხეში გამაგრდნენ. ბრძოლა მოხდა გორსა და რუისს შორის. თეიმურაზი და თბილისის ხანი დამარცხდნენ და გორის ციხეს შეაფარეს თავი. გივი ამილახვარმა და ახალციხის ფაშამ ლეკთა რაზმი დაიქირავეს. თეიმურაზმა შეიტყო ლეკთა ლაშქრის მოძრაობის მიმართულება და სასწრაფოდ აცნობა ერეკლეს. ერეკლემ ჯარი შეკრიბა და **საგურამოსთან** ლეკები სასტიკად დაამარცხა. ახალციხის ფაშამ როგორც კი საგურამოსთან ლეკთა დამარცხების ამბავი შეიტყო, მაშინვე აიყარა და ახალციხისკენ გაიქცა. გივი ამილახვარი ისევ სურამის ციხეში ჩაიკეტა. ნადირ-შაჰი მალე დარწმუნდა, რომ თეიმურაზი და ერეკლე განუხრელად იდგნენ პროირანულ ორიენტაციაზე და მათ გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებზე და ირანელ ხანებზე უკეთ შეეძლოთ ქართლის და კახეთის დამშვიდება. 1744 წელს ირანის შაჰმა ქართლის მეფობა თეიმურაზს უბოძა, კახეთისა – ერეკლეს. მეფეები ტახტზე ქრისტიანები ავიდნენ. ნადირ-შაჰი ამ დათმობაზე, ცხადია, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით წავიდა – შაჰს სურდა ქართლსა და კახეთში პრორუსული ორიენტაციის საშიშროების მოსპობა.

ნადირ-შაჰის ლაშქრობები ძალზე ძვირად უჯდებოდა ირანის ხაზინას. ხაზინის შევსების მიზნით, შაჰმა დაპყრობილ ხალხებსა და ვასალურ ქვეყნებს ახალი გადასახადები შეაწერა. ქართლისა და კახეთის მეფეებს თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს 200000 თუმანი უნდა გადაეხადათ. ქართლი და კახეთი ისე იყო გაპარტახებული, რომ ამოდენა გადასახადის გადახდა შეუძლებელი იყო. თეიმურაზ II-მ გადაწყვიტა ნადირ-შაჰს განდგომოდა. მეფე თბილისიდან აიყარა და არაგვის ხეობაში (ანანურში) გამაგრდა. მას თან გაჰყვნენ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I სამღვდელოებითურთ, დიდებულები და თბილისის შეძლებული მოქალაქეები. ერეკლე II-მ მამის მსგავსად უარი თქვა გადასახადის გადახდაზე. მეფემ კახეთის მოსახლეობის ნაწილი მთებში გახიზნა, ნაწილმა ციხეებს შეაფარა თავი. შაჰმა ქართლსა და კახეთში ჯარის გამოგზავნა გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და თეიმურაზსა და ერეკლეს ურჩობა აპატია. შაჰმა საქართველოსკენ დაძრული ჯარი უკან გაიწვია, ერეკლე კი ირანში დაიბარა მოსალაპარაკებლად. თეიმურაზს შვილის ირანში გაშვება სახფათოდ ეჩვენა და ისპაჰანში თავად გაემგზავრა. თეიმურაზმა ნადირ-შაჰს ცოცხალს ვედარ ჩაუსწრო. 1747 წელს შეთქმულებმა ნადირ-შაჰი მოკლეს. ირანში შინააშლილობა დაიწყო.

ირანში მიმდინარე შინააშლილობით კარგად ისარგებლეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ და ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური გავლენის სფერო გააფართოვეს. ირანში მყოფმა თეიმურაზმა, თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით, მიაღწია იმას, რომ ირანის შაჰმა ქართლის მეფეს ყაზახი უბოძა. შინააშლილობის პერიოდში ბევრი ავანტურისტი გამოჩნდა ასპარეზზე. ერთ-ერთი მათგანი იყო მაჰმად-ხანი, რომელიც ერევნის სახანოს ტერიტორიას არბევდა. 1750 წელს ერევნის ხანმა დახმარებისთვის თეიმურაზსა და ერეკლეს მიმართა. მაჰმად-ხანის დასასჯელად გაგზავნილი ქართველთა ჯარი, ჯერ კიდევ ყაზახსაც არ გასცილებოდა, რომ თეიმურაზთან და ერეკლესთან განჯის ხანის ელჩი მოვიდა თხოვნით: განჯის სახანოს ყარაბაღის მფლობელი ფარა-ხანი არბევს და გვიშველეთო. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ ერევნის სახანოზე ილაშქრეს. მეფეებმა მაჰმად-ხანი სასტიკად დაამარცხეს, 1700 კაცი დახოცეს და ტყვედ აიყვანეს, ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი. მაჰმად-

ხანის დამარცხებამ შეაშინა ფარა-ხანი. თეიმურაზისა და ერეკლეს მოთხოვნით, მან განჯის სახანო დატოვა. მფარველობის სანაცვლოდ მეფეებმა ერევნისა და განჯის სახანოებს ხარკი დააკისრეს. ფარა-ხანმა პირობა დაარღვია და განჯის ციხეს მიაღვა. განჯის ხანმა თბილისში ძმა გამოგზავნა და დახმარება ითხოვა. თბილისში დახმარების სათხოვნელად ჩამოვიდა სომეხთა ეპისკოპოსიც, რომელიც ყარაბაღის ხანისგან ქრისტიანთა დაცვას ითხოვდა. ყარაბაღის სახანოს გაძლიერება საშიში იყო ქართლისა და კახეთის სამეფოებისთვის. 1750 წელს ქართველთა ჯარი, თეიმურაზისა და ერეკლეს სარდლობით, განჯისკენ დაიძრა. ფარა-ხანმა ბრძოლას ამჯერადაც თავი აარიდა, განჯის ციხეს ალყა მოხსნა და გაიქცა. განჯიდან ქართველთა ჯარი ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. ფარა-ხანი წინასწარ მომზადებულ პოზიციაზე 6000 კაცით გამაგრდა. ყარაბაღელებმა ქართველთა შეტევას ვერ გაუძლეს და სასტიკი მარცხი იწვნეს. ფარა-ხანის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა, ქართველებმა ხელთ იგდეს დიდი ნადავლი. თეიმურაზმა და ერეკლემ მტრის დევნა განაგრძეს. ქართველთა ლაშქარმა მდინარე არეზამდე მიაღწია, მდინარის ორივე მხარე მოარბია, დიდი რაოდენობით ტყვე და ნადავლი იგდო ხელთ. ქართველთა ჯარის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. თავრიზის ბეგლარ-ბეგმა და მისმა ხელქვეითმა ხანებმა თეიმურაზსა და ერეკლეს გამარჯვება მიულოცეს და საჩუქრები მიართვეს.

ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ განჯის ხანმა **შამშადილუ** დათმო. ყაზახ-მაშადილუს შეერთების შემდეგ ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარმა მდ. ძეგამის ხეობიას მიაღწია. თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა და ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოებამ გავლენა იქონია ნახჭევანის ხანზე. ჯერ კიდევ ყარაბაღის ხანი საბოლოოდ დამარცხებული არ იყო, როცა ნახჭევანის ხანმა თეიმურაზსა და ერეკლეს მფარველობა სთხოვა. ქართველთა ჯარის შესვლამ ნახჭევანში კიდევ უფრო აამაღლა თეიმურაზისა და ერეკლე ავტორიტეტი. ქართლისა და კახეთის სამეფოების გავლენის სფეროს საზღვარმა **მდ. არეზის** ხეობამდე მიაღწია.

ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოების ქართლისა და კახეთის სამეფოების გავლენის სფეროდ გადაქცევამ ირანის შაჰის ტახტის მაძიებელთა

ყურადღება მიიპყრო. 1750 წლისათვის ტახტისთვის ბრძოლაში ორი პრეტენდენტი გამოიკვეთა: ქერიმ-ხანი (ისპაჰანში) და აზატ-ხანი (თავრიზში). შაჰის ტახტისთვის ბრძოლაში თეიმურაზსა და ერეკლეს შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ. მოულოდნელად, ქართლისა და კახეთის სამეფოების სტაბილური მდგომარეობა შაქ-შირვანის მფლობელმა ჰაჯი-ჩალაბმა შეარყია. მან ქართლისა და კახეთის სამეფოების წინააღმდეგ კოალიცია შექმნა. ჰაჯი-ჩალაბმა თავდაპირველად დაახლოებით 8000 მებრძოლს მოუყარა თავი, რომელთა შორის შირვანელების გარდა ჭარელი ლეკები და სომხებიც იყვნენ. თეიმურაზსა და ერეკლეს უნდოდათ ჰაჯი-ჩალაბი მისი კოალიციის კიდევ უფრო გაზრდამდე დაემარცხებინათ. 1752 წელს ქართველთა ჯარი ყაზახ-ბორჩალოელი თათრებისა და განჯის ხანის ლაშქართან ერთად ალაზანზე გადავიდა და ნუხის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. პირველსავე ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის მოწინავე რაზმებმა (ქიზიყელებმა და ქვემო ქართლებმა) ლეკთა ცხენოსანი ჯარი დაამარცხა და უკუაქცია. მოულოდნელად ჰაჯი-ჩალაბის ქვეითი ჯარი სანგრებიდან გამოვიდა და ქართველთა ჯარის მარცხენა ფლანგი (ქსნისა და არაგვის საერისთაოს რაზმები) უკუაქცია. მარცხენა ფლანგის ზურგში განჯის-ხანის ჯარი იდგა, რომელმაც წინააღმდეგობის გარეშე დატოვა ბრძოლის ველი. განჯელების დალატის შემდეგ ერეკლემ ქართველთა ჯარის მოწინავე რაზმებისა და მარცხენა ფლანგის თავდაცვის ორგანიზება ვეღარ შეძლო. ქართველებმა უწესრიგო უკანდახევა იწყეს. ბრძოლაში მრავალი ქართველი დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი უკან დახევისას ალაზანში დაიხრჩო. მტერს დიდძალი ალაფი დარჩა.

1752 წლის მაისში თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ რუსეთში ელჩობა გაგზავნეს ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ხელმძღვანელობით. თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის იმპერატორს სთხოვდნენ: 1) ჯარის გაგზავნას საქართველოში; 2) თუ რუსეთი ჯარის გაგზავნას ვერ შეძლებდა, მაშინ მეფეები ფულს ითხოვდნენ საკუთარი ჯარის შესანახად ან ჯარის დასაქირავებლად; 3) მეფეები რუსეთის იმპერატორს სთხოვდნენ გაეფრთხილებინა ლეკები, რათა

ისინი თავს არ დასხმოდნენ საქართველოს. ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა უშედეგოდ დასრულდა.

თეიმურაზ II-ს დაუფარავად ებრძოდნენ ქართლის თავადები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ თეიმურაზს ქართლის ტახტი უკანონოდ ეკავა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ქართლში ვახტანგ VI-ის შთამომავლები დაებრუნებინათ. კათოლიკოს პატრიარქი ანტონ I ქართლის ბაგრატიონთა (მუხრანბატონთა) შტოს ეკუთვნოდა (ანტონ I ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილი იყო). მიუხედავად იმისა, რომ ანტონ I მხარში ედგა თეიმურაზსა და ერეკლეს, თეიმურაზს ეჭვი ჰქონდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ქართლის ბაგრატიონებს და მათ მომხრე თავადებს თანაუგრძნობდა. თეიმურაზის განწყობილება კარგად გამოიყენეს ანტონ I-ის მოწინააღმდეგეებმა და მას გაკათოლიკება დასწამეს. 1755 წელს საეკლესიო კრებამ ანტონ I კათოლიკოსობიდან გადააყენა. 1756 წელს ანტონი რუსეთში გაემგზავრა. ქართლის თავადების ოპოზიციური განწყობილება ამის შემდეგაც არ შენელებულა.

ირანში შინააშლილობა გრძელდებოდა. ირანის დასუსტების შემთხვევაში, ქართლისა და კახეთის სამეფოებს პროირანული ორიენტაცია, ცხადია, აღარ გამოადგებოდათ. თეიმურაზ II-მ გადაწყვიტეს რუსეთთან ურთიერთობის გარკვევა. 1760 წლის აპრილში ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებული ელჩობა რუსეთში გაემგზავრა. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად იცოდნენ, რომ თეიმურაზი სამხედრო დახმარების, პოლიტიკური და დიპლომატიური მხარდაჭერის მისაღებად მიემგზავრებოდა. ამ დროისათვის რუსეთი ჩართული იყო ევროპაში მიმდინარე შვიდწლიან ომში (1757-1763 წწ.). ომი ჯერ დასრულებული არ იყო, ამიტომ რუსეთის იმპერატორს არ სურდა ქართლისა და კახეთის სამეფოებთან ურთიერთობით ირანის გაღიზიანება. ირანის გარდა რუსეთის გამოჩენას სამხრეთ კავკასიაში მტრულად შეხედებოდა ოსმალეთიც. ამიტომ იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ თეიმურაზ II-ის ელჩობას ბევრი დაბრკოლება შეუქმნა. ელჩობა ჯერ ყიზლარში, შემდეგ ასტრახანში შეაფერხეს. მეფემ ყიზლარში ოთხ თვეზე მეტი დაჰყო (1760 წლის 2 ივნისიდან 6 ოქტომბრამდე), ხოლო ასტრახანიდან პეტერბურგისაკენ მხოლოდ 1761 წლის 23 იანვარს შეძლო გამგზავრება. გარდა ამისა, არც ყიზლარში და

არც ასტრახანში თეიმურაზ II მეფის შესაფერი პატივით არ მიუღიათ. 1761 წლის 25 თებერვალს თეიმურაზ II-მ მოსკოვს მიაღწია, ხოლო 19 მარტს პეტერბურგში ჩავიდა. მოლაპარაკება პეტერბურგში 1861 წლის 25 თებერვალს დაიწყო. რუსეთის მხრიდან თეიმურაზ II-სთან მოლაპარაკებას აწარმოებდა კანცლერი მ. ვორონცოვი. 8 აპრილს თეიმურაზს აუდიენცია ჰქონდა იმპერატორ ელისაბედ I-თან და იმპერატორის ოჯახის წევრებთან. 28 აპრილს თეიმურაზ II და მ. ვორონცოვი შეუდგნენ კონკრეტული საკითხების განხილვას. თეიმურაზის სათხოვარი ასეთი იყო: ღვეთა თავდასხმების აღსაკვეთად ჯარის მიცემა და თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ქართველთა ჯარის შესანახად და ჯარის დასაქირავებლად ფულით შემწეობა. ამის სანაცვლოდ თეიმურაზი რუსეთს ირანის ტახტზე რუსეთისათვის სასურველი კანდიდატის აყვანაში სამხედრო ძალით დახმარებას დაჰპირდა. რუსეთს იმხანად ირანის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ამიტომ თეიმურაზის წინადადება სერიოზულად არც განუხილავთ. მოლაპარაკებები დიდხანს გაჭიანურდა. 1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზი პეტერბურგშივე გარდაიცვალა. ელჩობა ხელცარიელი დაბრუნდა საქართველოში. თეიმურაზ II-ის ცხედრის პეტერბურგიდან საქართველოში გადმოსვენება ვერ მოხერხდა. ცხედარი პეტერბურგიდან ასტრახანში ძალზე დაგვიანებით, 27 მაისს ჩაასვენეს და 4 ივნისს, ქალაქის საკრებულო ტაძარში დაკრძალეს.

ერეკლე II

ერეკლე II-მ საქართველოს გამოსწისა და აღორძინებისთვის ბრძოლას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. ადრეული ჭაბუკობიდან, ჯერ კახეთის, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ცდილობდა ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენას სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში. იმ რეგიონში, რომლის დაუფლებისთვისაც ბრძოლა ჰქონდა გაჩაგრებული სამ დიდ იმპერიას – ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს. მეფე ერეკლე, ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის ნიჭით უხვად დააჯილდოვა ღმერთმა. ქვეყნის გადარჩენისთვის ერეკლემ იმაზე მეტი გააკეთა ვიდრე შესაძლებელი იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემა და შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა შედეგი იყო დიდი პოლიტიკისა. საქართველო დარჩებოდა იმას, ვინც ირან-ოსმალეთ-რუსეთის ხანგრძლივ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა. ეს გამარჯვება რუსეთს ერგო.

ერეკლე II დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს თელავში. ერეკლეს მამა **თეიმურაზი** იყო შვილი ერეკლე I ნაზარალიხანისა, დედა – **თამარი** – ვახტანგ VI-ის ასული. ერეკლეს ბავშვობისა და სიყმაწვილის პერიოდში ქართლისა და კახეთის სამეფოები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

XVII საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის გამწვავდა ირან-ოსმალეთს-რუსეთის ბრძოლა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. 1722 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა ლაშქრობა დაიწყო და დარუბანდი დაიკავა, მაგრამ შემდგომ ლაშქრობა აღარ გაუგრძელებია. პეტრე I-ის ამგვარმა მოქმედებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ირანის წინააღმდეგ რუსეთის მოკავშირე, ქართლის მეფე ვახტანგ VI. ამ დროისათვის ირანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა – დედაქალაქს ავღანელები უტევდნენ. 1723 წლის მაისში კახეთის გამაჰმადიანებულმა მეფემ, ერეკლე II-ის უფროსმა ბიძამ კონსტანტინემ ირანელთა დახმარებით თბილისი დაიკავა. ამის საპასუხოდ ოსმალეთმა ირანთან დადებული ზავი დაარღვია და 1723 წლის ივნისში თბილისი აიღო. გააქტიურდა რუსეთიც. 1723 წლის ივლისში რუსებმა ბაქო აიღეს. 1723 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში რუსეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დარუბანდი და ბაქო, ასევე გილიანის, ასტრახადისა და მაზანდარანის პროვინციები რუსეთს დარჩა. 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში

ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება. რუსეთმა აღიარა ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა. ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა დადასტურდა ირან-ოსმალეთის 1731 წლის ჰამადანის ზავით.

ოსმალთა და ლეკთაგან აკლებულ კახეთში სამეფო ოჯახს აღარ დაედგომებოდა. თეიმურაზი ოჯახითურთ ფშავეში გაიხიზნა. მალე მამამ თხუთმეტი წლის ერეკლე ალავერდში გაგზავნა, რათა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას ჩასდგომოდა სათავეში. ერეკლემ ჯარი შეკრიბა, 1735 წელს ქიზიყიდან მომავალ ლეკებს ნეიშინის ველზე შეებრძოლა და სასტიკად დაამარცხა. ლეკთა უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა. ერეკლემ მტერს დიდძალი ტყვე (სოფლებში მოტაცებული ქართველები) და ნადავლი დაატოვებინა. ნეიშინის ველზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით დაიწყო ერეკლეს მიერ გადახდილი ომების სერია.

ირანის დასუსტებით ისარგებლეს ოსმალეთმა და რუსეთმა, რომლებიც ირანის ტერიტორიის გადასანაწილებლად ემზადებოდნენ. ირანისთვის ამ საბედისწერო უამს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ირანის შაჰის სარდალი ნადირი. 1729 წელს ნადირმა ისპაჰანთან სასტიკად დაამარცხა ავღანელები, ხოლო 1730 წელს ისინი საერთოდ განდევნა ქვეყნიდან. ამის შემდეგ ნადირმა რამდენიმეჯერ დაამარცხა ოსმალები და 1735 წლისათვის ისინი ირანიდან განდევნა. კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა თეიმურაზმა (მომავალმა მეფემ თეიმურაზ II-მ) და მისმა ვაჟმა ერეკლემ (მომავალმა მეფემ ერეკლე II-მ) ოსმალთა და ლეკთა თარეშისაგან ქართლისა და კახეთის სამეფოების დახსნა ირანის დახმარებით გადაწყვიტეს და ნადირს მიეხმარნენ. 1735 წელს ნადირმა თეიმურაზის დახმარებით ოსმალები თბილისიდან განდევნა. საქართველოდან წასვლის წინ ნადირმა თბილისში ქართლის სამეფოს განმგებლად სეფი-ხანი დატოვა, ხოლო თელავში კახეთის სამეფოს განმგებლად – თეიმურაზის ძმის, კონსტანტინეს, გამაჰმადიანებული ვაჟი – ალი-მირზა, ანუ ალექსანდრე ბატონიშვილი. 1736 წელს ნადირმა თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. სახელგანთქმული სარდალი ინდოეთში სალაშქროდ ემზადებოდა. სეფი-ხანმა და ალი-მირზამ ქვეყანაში წესრიგი ვერ დაამყარეს. ხალხის ძლიერი უკმაყოფილება სეფი-ხანმა ქართველებს დააბრალა. მან თეიმურაზი, გივი ამილახვარი და სხვები გორში მიიწვია, ყველანი ღალატით შეაპყრობინა და ბორკილდადებული ირანში გაგზავნა. თეიმურაზი ნადირ-შაჰის რისხვას შედარებით ადვილად გადაურჩა. შაჰმა იგი ავღანეთში სალაშქროდ წაიყვანა, ხოლო შემდეგ კახეთიდან მისი შვილების, ერეკლესა და

ქეთევანის დაბარება მოსტოვა. ყანდაღარის ციხის აღების შემდეგ ნადირ-შაჰმა თეიმურაზი საქართველოში გამოაბრუნა, ხოლო ერეკლე ინდოეთში სალაშქროდ მიმავალმა თან იახლა. მძიმე და ხანგრძლივი ლაშქრობის დროს ნადირ-შაჰს ერეკლე მუდამ თან ახლდა. ერეკლემ მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი. ინდოეთში ლაშქრობის დასრულების შემდეგ, შაჰმა ერეკლე უხვად დააჯილდოვა და ამაღასთან ერთად საქართველოში გამოისტუმრა. ერეკლე საქართველოში 1739 წლის დეკემბერში დაბრუნდა.

1741 წლის გაზაფხულზე ნადირ-შაჰმა დაღესტანზე ილაშქრა. ირანის ჯარს სურსათ-სანოვაგით ქართლ-კახეთის მოსახლეობა ამარაგებდა, რაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. მალე ქართლში, **გივი ამილახვარის** წინამძღოლობით, დიდი აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებს ოსმალეთის სულთანმა ჯარი მიაშველა. გივი ამილახვარმა და ოსმალთა ფაშამ **გორსა** და **რუისს** შორის დაამარცხეს თეიმურაზისა და თბილისში მყოფი ირანის ხანის ჯარები. თეიმურაზმა და ირანის ხანმა გორის ციხეს შეაფარეს თავი. გივი ამილახვარმა და უსუფ-ფაშამ დაღესტნიდან დამხმარე ჯარის გადმოყვანა განიზრახეს. ეს ამბავი თეიმურაზმა შეიტყო და მაშინვე თელავში მყოფ ერეკლეს აცნობა. ერეკლემ სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი, შეიერთა თბილისში მყოფი ირანელთა ჯარი და დაღესტნიდან მომავალი ლეკთა ლაშქარი **საგურამოსთან** სასტიკად დაამარცხა. ნადირ-შაჰი მიხვდა რომ ქართლ-კახეთის დაწყნარებას მისი ხანები ან გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილები ვერ შეძლებდნენ. 1744 წელს შაჰმა ქართლის მეფობა თეიმურაზს, ხოლო კახეთის მეფობა ერეკლეს უბოძა. ქრისტიანი ბაგრატიონების ქართლისა და კახეთის მეფეებად დასმით ნადირ-შაჰმა უარყო სეფიანი შაჰების პოლიტიკა. 1632 წლიდან ქართლისა და კახეთის სამეფოთა ტახტი ირანის შაჰებს ქრისტიანი ბაგრატიონებისთვის არ უბოძებიათ. ნადირ-შაჰი დათმობაზე, ცხადია, გარკვეული პოლიტიკური მიზნებით მიდიოდა. ირანის შაჰმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის იმპერიამ სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასიისათვის ბრძოლა დროებით შეწყვიტა. ხელსაყრელ ვითარებაში რუსეთი ისევ შეეცდებოდა ირანის შევიწროვებას კასპისპირეთში. ნადირ- შაჰს სურდა რუსეთისა და ირანის მომავალ დაპირისპირებაში ქართლისა და კახეთის მეფეებს ვახტანგ VI-ისათვის არ მიებაძათ და პროირანულ ორიენტაციაზე დარჩენილიყვნენ. ცხადია, ქართლისა და კახეთის მეფეების მიმხრობა ირანის მხრიდან გარკვეულ დათმობებს ითხოვდა. თავის დროზე სეფიანი შაჰები ამ დათმობებზე არ წავიდნენ. ნადირ-შაჰმა ვითარება ზუსტად შეაფასა და წინამორბედების შეცდომა არ გაიმეორა. **თეიმურაზ II** და **ერეკლე II** ტახტზე ქრისტიანები ავიდნენ.

ნადირ-შაჰის ლაშქრობები ძალზე ძვირად უჯდებოდა ირანის ხაზინას. ხაზინის შევსების მიზნით, შაჰმა დაპყრობილ ხალხებსა და ვასალურ ქვეყნებს ახალი გადასახადები შეაწერა. ქართლისა და კახეთის მეფეებს თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს 200000 თუმანი უნდა გადაეხადათ. ქართლი და კახეთი ისე იყო გაპარტახებული, რომ ამოდენა გადასახადის გადახდა შეუძლებელი იყო. თეიმურაზ II-მ გადაწყვიტა ნადირ-შაჰს განდგომოდა. მეფე თბილისიდან აიყარა და არაგვის ხეობაში (ანანურში) გამაგრდა. მას თან გაჰყვნენ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I სამღვდელთაგან, დიდებულები და თბილისის შეძლებული მოქალაქეები. ერეკლე II-მ მამის მსგავსად უარი თქვა გადასახადის გადახდაზე. მეფემ კახეთის მოსახლეობის ნაწილი მთებში გახიზნა, ნაწილმა ციხეებს შეაფარა თავი. შაჰმა ქართლსა და კახეთში ჯარის გამოგზავნა გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და თეიმურაზსა და ერეკლეს ურჩობა აპატია. შაჰმა საქართველოსკენ დაძრული ჯარი უკან გაიწვია, ერეკლე კი ირანში დაიბარა მოსალაპარაკებლად. თეიმურაზს შვილის ირანში გაშვება სახფათოდ ეჩვენა და ისპაჰანში თავად გაემგზავრა. თეიმურაზმა ნადირ-შაჰს ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო. 1747 წელს შეთქმულებმა ნადირ-შაჰი მოკლეს. ირანში შინააშლილობა დაიწყო.

ირანში გამგზავრების წინ თეიმურაზ II-მ ქართლის გამგებლად ვახტანგ VI-ის გამაჰმადიანებული ძმის იესეს შვილი არჩილი, გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგი (კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ძმა) დატოვა. აბდულა-ბეგი იმხანად სამშვილდის ციხეში ცხოვრობდა. ნადირ-შაჰის მოკვლისა და ირანში დაწყებული შინააშლილობის ამბავი რომ გაიგო, აბდულა-ბეგმა 1747 წელს სამშვილდის ციხე გაამაგრა, ციხეში ლეკთა რაზმები შეიყვანა და რამდენიმე თავადიც მიიმხრო. აბდულა-ბეგმა მხარდაჭერის გარანტია მიიღო თბილისში მდგარი ირანის გარნიზონისაგან. ამის შემდეგ მან წერილი მისწერა ერეკლეს: კახეთს არ გეცილები, ქართლს ნუ შემედავები, ჩემი სამკვიდროაო. ერეკლემ აბდულა-ბეგთან თბილელი მიტროპოლიტის მეშვეობით მოლაპარაკება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ერეკლემ ჯარი შეკრიბა და სამშვილდეს მიადგა, მაგრამ ვერ აიღო. სამშვილდიდან ერეკლე თბილისში დაბრუნდა. ამით ისარგებლა აბდულა-ბეგმა, ციხიდან გამოვიდა, აზერბაიჯანის მმართველ ასლან-ხანთან მივიდა და 1000 ავღანელი ჯარისკაცი გამოთხოვა ერეკლეს წინააღმდეგ საბრძოლველად. აზერბაიჯანიდან დაძრული აბდულა-ბეგი სოფელ კოდასთან შეჩერდა. კრიტიკულ ვითარებაში, ქართლის თავადებმა, ქვემო ქართლის თავადების გარდა, ერეკლეს დაუჭირეს მხარი. ერეკლეს დაიჭირა მხარი კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა. ერეკლესა და აბდულა-ბეგს შორის ბრძოლა **სოლოლაკის** მთის ფერდობზე გაიმართა. აბდულა-ბეგი დამარცხდა და

ბრძოლის ველიდან გაიქცა. იგი სამშვილდის ციხეში გამაგრდა, ლეკთა ახალი რაზმები დაიქირავა და ბრძოლისათვის მოემზადა. აბდულა-ბეგის დამარცხების შემდეგ ერეკლემ თბილისიდან ირანელთა გარნიზონის განდევნა გადაწყვიტა. დიდი ბრძოლების შემდეგ მეფემ თაბორისა და ნარიყალას ციხეები აიღო. ირანელთა გარნიზონმა იარაღი დაჰყარა. თბილისის ირანელთა გარნიზონის კაპიტულაციამ აბდულა-ბეგი ისე შეაშინა, რომ წინააღმდეგობა შეწყვიტა და სამშვილდის ციხე ჩააბარა. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის მეშვეობით, ერეკლე II-მ აბდულა-ბეგი შეირიგა და საუფლისწულო მამული უბოძა.

ირანში მიმდინარე შინააშლილობით კარგად ისარგებლეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ და ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური გავლენის სფერო გააფართოვეს. ირანში მყოფმა თეიმურაზმა, თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით, მიადგინა იმას, რომ ირანის შაჰმა ქართლის მეფეს **ყაზახი** უბოძა. შინააშლილობის პერიოდში ბევრი ავანტიურისტი გამოჩნდა ასპარეზზე. ერთ-ერთი მათგანი იყო მაჰმად-ხანი, რომელიც ერეკლეს სახანოს ტერიტორიას არბევდა. 1750 წელს ერეკლეს ხანმა დახმარებისთვის თეიმურაზსა და ერეკლეს მიმართა. მაჰმად-ხანის დასასჯელად გაგზავნილი ქართველთა ჯარი, ჯერ კიდევ ყაზახსაც არ გასცილებოდა, რომ თეიმურაზთან და ერეკლესთან განჯის ხანის ელჩი მოვიდა თხოვნით: განჯის სახანოს ყარაბაღის მფლობელი ფარა-ხანი არბევს და გვიშველეთო. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ ერეკლეს სახანოზე ილაშქრეს. მეფეებმა მაჰმად-ხანი სასტიკად დაამარცხეს, 1700 კაცი დახოცეს და ტყვედ აიყვანეს, ხელთ იგდეს დიდალი ნადავლი. მაჰმად-ხანის დამარცხებამ შეაშინა ფარა-ხანი. თეიმურაზისა და ერეკლეს მოთხოვნით, მან განჯის სახანო დატოვა. მფარველობის სანაცვლოდ მეფეებმა ერეკლესა და განჯის სახანოებს ხარკი დააკისრეს. ფარა-ხანმა პირობა დაარღვია და განჯის ციხეს მიადგა. განჯის ხანმა თბილისში ძმა გამოგზავნა და დახმარება ითხოვა. თბილისში დახმარების სათხოვნელად ჩამოვიდა სომეხთა ეპისკოპოსიც, რომელიც ყარაბაღის ხანისგან ქრისტიანთა დაცვას ითხოვდა. ყარაბაღის სახანოს გაძლიერება საშიში იყო ქართლისა და კახეთის სამეფოებისთვის. 1750 წელს ქართველთა ჯარი, თეიმურაზისა და ერეკლეს სარდლობით, განჯისკენ დაიძრა. ფარა-ხანმა ბრძოლას ამჯერადაც თავი აარიდა, განჯის ციხეს ალყა მოხსნა და გაიქცა. განჯიდან ქართველთა ჯარი ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. ფარა-ხანი წინასრავ მომზადებულ პოზიციაზე 6000 კაცით გამაგრდა. ყარაბაღელებმა ქართველთა შეტევას ვერ გაუძლეს და სასტიკი მარცხი იწვნეს. ფარა-ხანის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა, ქართველებმა ხელთ იგდეს დიდი ნადავლი. თეიმურაზმა და ერეკლემ მტრის დევნა

განაგრძეს. ქართველთა ლაშქარმა მდინარე არეზამდე მიაღწია, მდინარის ორივე მხარე მოარბია, დიდი რაოდენობით ტყვე და ნადავლი იგდო ხელთ. ქართველთა ჯარის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. თავრიზის ბეგლარ-ბეგმა და მისმა ხელქვეითმა ხანებმა თეიმურაზსა და ერეკლეს გამარჯვება მიულოცეს და საჩუქრები მიართვეს.

ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ განჯის ხანმა **შამშადილუ** დათმო. ყაზახ-მაშადილუს შეერთების შემდეგ ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარმა მდ. **ძეგამის** ხეობიას მიაღწია. თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა და ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოებამ გავლენა იქონია ნახჭევანის ხანზე. ჯერ კიდევ ყარაბაღის ხანი საბოლოოდ დამარცხებული არ იყო, როცა ნახჭევანის ხანმა თეიმურაზსა და ერეკლეს მფარველობა სთხოვა. ქართველთა ჯარის შესვლამ ნახჭევანში კიდევ უფრო აამაღლა თეიმურაზისა და ერეკლე ავტორიტეტი. ქართლისა და კახეთის სამეფოების გავლენის სფეროს საზღვარმა მდ. **არეზის** ხეობამდე მიაღწია.

ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოების ქართლისა და კახეთის სამეფოების გავლენის სფეროდ გადაქცევამ ირანის შაჰის ტახტის მაძიებელთა ყურადღება მიიპყრო. 1750 წლისათვის ტახტისთვის ბრძოლაში ორი პრეტენდენტი გამოიკვეთა: ქერიმ-ხანი (ისპაჰანში) და აზატ-ხანი (თავრიზში). შაჰის ტახტისთვის ბრძოლაში თეიმურაზსა და ერეკლეს შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ. მოულოდნელად, ქართლისა და კახეთის სამეფოების სტაბილური მდგომარეობა შაქ-შირვანის მფლობელმა ჰაჯი-ჩალაბმა შეარყია. მან ქართლისა და კახეთის სამეფოების წინააღმდეგ კოალიცია შექმნა. ჰაჯი-ჩალაბმა თავდაპირველად დაახლოებით 8000 მებრძოლს მოუყარა თავი, რომელთა შორის შირვანელების გარდა ჭარელი ლეკები და სომხებიც იყვნენ. თეიმურაზსა და ერეკლეს უნდოდათ ჰაჯი-ჩალაბი მისი კოალიციის კიდევ უფრო გაზრდამდე დაემარცხებინათ. 1752 წელს ქართველთა ჯარი ყაზახ-ბორჩალოელი თათრებისა და განჯის ხანის ლაშქართან ერთად ალაზანზე გადავიდა და ნუხის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. პირველსავე ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის მოწინავე რაზმებმა (ქიზიყელებმა და ქვემო ქართლებმა) ლეკთა ცხენოსანი ჯარი დაამარცხა და უკუაქცია. მოულოდნელად ჰაჯი-ჩალაბის ქვეითი ჯარი სანგრებიდან გამოვიდა და ქართველთა ჯარის მარცხენა ფლანგი (ქსნისა და არაგვის საერისთაოს რაზმები) უკუაქცია. მარცხენა ფლანგის ზურგში განჯის-ხანის ჯარი იდგა, რომელმაც წინააღმდეგობის გარეშე დატოვა ბრძოლის ველი. განჯელების დალატის

შემდეგ ერეკლემ ქართველთა ჯარის მოწინავე რაზმებისა და მარცხენა ფლანგის თავდაცვის ორგანიზება ვეღარ შეძლო. ქართველებმა უწესრიგო უკანდახევა იწყეს. ბრძოლაში მრავალი ქართველი დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი უკან დახევისას ალაზანში დაიხრჩო. მტერს დიდძალი ალაფი დარჩა.

ჰაჯი-ჩალაბის მიერ ქართველთა დამარცხებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დაღესტნისა და ირანის სახანოების მაჰმადიანებზე. განჯისა და ერევნის სახანოებში, ასევე ყაზახ-ბორჩალოში თავი იჩინა საქართველოდან განდგომის ტენდენციამ. მთელს ქართლ-კახეთს ლეკთა რაზმები მოედვნენ.

ქართლისა და კახეთის ამ მეტად კრიტიკულ მომენტში გააქტიურდა ირანის შაჰის ტახტის მადიებელი აზატ-ხანი. აზატ-ხანის ჯარმა გადმოლახა მდ. არეზი, დაიკავა ნახჭევნის სახანო და იქედან გააძევა თეიმურაზისა და ერეკლეს ქვეშევრდომი ხანი, დაარბია ერევნის სახანოს ტერიტორია და ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს. 1752 წელს ერეკლე ქართლისა და კახეთის ჯარით ბამბაკის გზით ერევნისაკენ დაიძრა. აზატ-ხანმა ერეკლეს მიახლოების ამბავი რომ გაიგო, ერევნის ციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ერეკლემ **ყირხბულახთან** დაიკავა პოზიციები. აზატ-ხანმა 18000 კაცს მოუყარა თავი, მდ. არეზი გადმოლახა და საბრძოლო პოზიციები დაიკავა. ბრძოლის პირველ დღეს აზატ-ხანმა ქართველთა მარცხენა ფლანგს შეუტია. თავდაპირველად ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შემდეგ უკან დაიხიეს და ახალ პოზიციებზე გამაგრდნენ. ძალები აშკარად არათანაბარი იყო. ერეკლეს უკან დახევისაც კი ურჩევდნენ. მეფემ რჩევა არ მიიღო და ბრძოლა გააგრძელა. გადამწყვეტ დღეს მეფემ ხერხი იხმარა. ერეკლე და მისი ჯარი (5 000 კაცი) ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ და მტრისაკენ გაემართნენ. მოწინააღმდეგეებს სულ მცირე მანძილი აშორებდათ ერთმანეთისგან. აზატ-ხანმა იფიქრა, ალბათ, ქართველები ტყვედ მბარდებიანო. ერეკლეს ნიშანზე ქართველებმა, მოულოდნელად, ცეცხლი გახსნეს, შეტევაზე გადავიდნენ და მტერი უკუაქციეს. ქართველთა ჯარმა 40 კილომეტრის მანძილზე სდია მტერს და დიდი ნადავლი იგდო ხელთ (1761 წელს ერეკლემ აზატ-ხანი კვლავ დაამარცხა დაატყვევა და ქერიმ-ხანს გაუგზავნა).

აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ ერეკლეს და თეიმურაზის მორიგ ამოცანას ჰაჯი-ჩალაბისა და მისი მოკავშირე ლეკების ალაგმვა წარმოადგენდა. მეფეები ქართველთა ჯარით განჯაში მივიდნენ, სადაც მათ განჯის, ერევნისა და ყარაბაღის ხანები შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით. ხანები ორპირ პოლიტიკას აწარმოებდნენ, მათ საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული ჰაჯი-ჩალაბთან. ქართველმა მეფეებმა

ეს გაიგეს და მაჰმადიანი ხანები დაატუსაღეს. ამან არევ-დარევა გამოიწვია ერეკლესა და თეიმურაზის ჯარში. რითაც ჰაჯი-ჩალაბმა მოხერხებულად ისარგებლა 1752 წელს და ქართველები ხელახლა დაამარცხა. უკან გამოქცეულ ქართულ ლაშქარს გზა გადაუღობეს შამშადილუელებმა და დიდი ზიანი მიაყენეს. 1752 წელს მძიმე მდგომარეობაში მყოფმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ელჩობა გაგზავნეს რუსეთში, მაგრამ ვერანაირი დახმარება ვერ მიიღეს. ერეკლე იძულებული გახდა 1752 წელს ჩერქეზეთიდან დაქირავებული ჯარი გადმოეყვანა. ამ ჯარის ერთ-ერთი ნაწილი მან ქართლ-კახეთის ჯარს შეუერთა და ჰაჯი-ჩალაბისა და მისი მოკავშირე განჯის ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ქართველებმა **შამშადილუში** სასტიკად დაამარცხეს მტრის ჯარი, რომელსაც ჰაჯი-ჩალაბის შვილი მეთაურობდა, და მას განჯის ციხის გალავანამდე სდიეს. ერეკლეს ასეთმა წარმატებამ აზატ-ხანი აიძულა ზავი დაედო მასთან. ქართლ-კახეთის განდგომილი ვასალები ისევ მორჩილების გზას დაადგნენ, ხოლო შირვანის დამოუკიდებელმა მფლობელებმა ქართველ მეფეებს მეგობრული კავშირი შესთავაზეს.

ამრიგად, ერეკლე II-მ გონივრული პოლიტიკისა და ენერგიული საომარი მოქმედებების შედეგად დაამარცხა მის წინააღმდეგ მიმართული კოალიცია, ჰეგემონია მოიპოვა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ქართლ-კახეთის აღმოსავლეთის საზღვრებზე კარგა ხნით მშვიდობიანობა დაამყარა.

ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა ლეკების ალაგმვა. მარტო 1755 წლის განმავლობაში მათ, გარდა წერილი თარეშებისა, სამჯერ შემოესივნენ ქართლ-კახეთს. ხუნძახის მფლობელმა ნურსალ-ბეგმა დიდი ჯარით ფარულად გადმოიარა შიდა კახეთზე, დაარბია არაგვის ხეობა და, ბოლოს, **მჭადისჯვრის** ციხეს მიადგა. მართალია, იქ მას თეიმურაზმა და ერეკლემ მიუსწრეს და გაქციეს, მაგრამ იმავე 1755 წელს მან ავარიაში კიდევ უფრო მეტ ჯარს მოუყარა თავი, მიიმხრო ჭარელებისა და შაქ-შირვანელების ძლიერი რაზმები და **ყვარლის** ციხეს ალყა შემოარტყა. ყვარლის ციხის ალყა თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა, ციხის გარნიზონი საკვებისა და ტყვია-წამლის ნაკლებობამ დიდად შეაწუხა. მაშინ ერეკლე მეფემ დიდი ჯილდო აღუთქვა მათ, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ალყის გარღვევაში. ასეთი რაზმი სასწრაფოდ შედგა ქიზიყში. რაზმში ორასმა ვაჟაკმა მოიყარა თავი. ეს რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა ლეკთა მოალყე ჯარს, ხმალდახმალ ბრძოლით გაარღვია ალყა, შევიდა ციხეში და პროდუქტი და ტყვია-წამალი მიაშველა ციხის დამცველებს. იმავე დროს ერეკლემ ჯარი შეუსია ჭარ-ბელაქანს, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. ჭარელების რაზმები ყვარლიდან

აიყარნენ და შინ დაბრუნდნენ. ამან გაბოროტება გამოიწვია დარჩენილ მოალოყეებში. ისინი ჭარელებს დაერივნენ შურის საძიებლად. ამრიგად, ალყა მოიშალა და ყვარლის ციხე განთავისუფლდა.

1760 წელს თეიმურაზ II რუსეთში გაემგზავრა, რათა დახმარების თაობაზე პირადად ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის. რუსეთი არანაირი ვალდებულების აღებას არ აპირებდა, რის გამოც მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. 1762 წლის იანვარში თეიმურაზ II პეტერბურგშივე გარდაიცვალა. ერეკლე II გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე გახდა.

ერეკლე II საოცრად მკაცრ საშინაო პოლიტიკას ატარებდა და თავადების თვითნებობას ვერ ითმენდა. ერეკლეს მტკიცე ხელი და მისი მკაცრი დამოკიდებულება თავადებისადმი ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებას იწვევდა. თავადების ნაწილმა ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულების მზადება დაიწყო. შეთქმულებს ერეკლეს ნაცვლად ტახტზე ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის პაატა ბატონიშვილის აყვანა უნდოდათ. შეთქმულება შემთხვევით გამჟღავნდა. 1765 წელს შეთქმულების მონაწილენი შეიპყრეს. ერეკლემ შეთქმულთა გასასამართლებლად სამეფო დარბაზის საგანგებო სხდომა მოიწვია. პაატა ბატონიშვილი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, დავით აბდულა-ბეგის ძე სიკვდილით დასაჯეს. თავად ციციშვილს ენა მოკვეთეს, ხოლო ალექსანდრე ამილახვარს ცხვირი მოჭრეს და კოჭის ძარღვები გადაუჭრეს. შეთქმულთა მკაცრი დასჯა იმით იყო განპირობებული, რომ სასჯელი სამაგალითო ყოფილიყო მეფის ყველა მოწინააღმდეგისათვის.

1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. რუსეთის მოკავშირედ ამ ომში იმერეთის მეფე სოლომონ I და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II გამოვიდნენ. სოლომონი და ერეკლე რუსეთზე დიდ იმედებს ამყარებდნენ: იმერეთის მეფე ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას, ხოლო ქართლ-კახეთის მეფე სამცხე-საატაბაგოს შემოერთებას ვარაუდობდა. სამწუხაროდ, რუსეთს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. როდესაც საქართველოში ჯარს აგზავნიდა, რუსეთის საიმპერატორო კარს არ აწუხებდა არც ქართლ-კახეთის და არც იმერეთის ბედი. რუსეთისათვის მთავარი იყო, რომ ოსმალეთს სერიოზული პრობლემები შექმნოდა კავკასიაში და, აქედან გამომდინარე, შეესუსტებინა ოსმალეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა მთავარ ფრონტზე – ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. იმპერატორმა ეკატერინე II-მ საქართველოში გამოგზავნილი ჯარის სარდლად დანიშნა გენერალი გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენი.

ერეკლემ ტოტლებენს **ახალციხეზე** ლაშქრობა შესთავაზა. ქართველებისა და რუსების გაერთიანებული ჯარი მართლაც დაიძრა ახალციხისაკენ, მაგრამ **აწყურის** ციხესთან ტოტლებენმა მიატოვა ერეკლე და ქართლში დაბრუნდა (თავად გენერალი, შემდგომში, ამ გადაწყვეტილებას სურსათის ნაკლებობით ხსნიდა). მართალია, ერეკლემ 1770 წლის 20 აპრილს **ასპინძასთან** სასტიკად დაამარცხა თურქებისა და დაღესტნელების გაერთიანებული ლაშქარი, მაგრამ მაინც იძულებული გახდა თავადაც ქართლში დაბრუნებულიყო. ამის მიზეზი ტოტლებენის საქმიანობა იყო. იგი დაუკავშირდა ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადებს, დაიწყო ციხეების დაკავება და ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება. როგორც ირკვევა, ტოტლებენის ზრახვები უფრო შორსაც მიდიოდა. ტოტლებენს ერეკლე II-ის ტახტიდან გადაყენებაც კი ჰქონდა ჩაფიქრებული. გარკვეული მიზეზების გამო, საბოლოოდ, გენერალმა ამ განზრახვაზე ხელი აიღო. საეჭვოა, რომ ტოტლებენის მთელი საქმიანობა მხოლოდ პირადი ინიციატივა იყო. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა ქართლ-კახეთს ვერავითარი შედეგი ვერ მოუტანა, ერეკლეს ომში მონაწილეობამ ირანი და ოსმალეთი კი გააღიზიანა.

რუსეთის ჯარის ყოფნამ არავითარი სარგებელი არ მოუტანა ერეკლეს. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქართველებმა უშუალოდ ნახეს რეგულარული ჯარი და შეიტყვეს რა უპირატესობა ჰქონდა მას. რეგულარული ჯარის შექმნის საშუალება ერეკლე არ ჰქონდა, მაგრამ მეფემ საინტერესო გამოსავალი მოძებნა. 1774 წელს დაწედა **მორიგე ჯარი**. ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა მამაკაცი – არ ჰქონდა მნიშვნელობა იყო ის ბატონიშვილი, თავადი, აზნაური, გლეხი, ხელოსანი, თუ სხვა ვინმე – ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვით წასულიყო ჯარში. ამან საშუალება მისცა ერეკლეს მუდმივად მზად ჰყოლოდა 5000 მოლაშქრე. „მორიგე ჯარმა“ განსაკუთრებით კარგი შედეგი გამოიღო დაღესტნელების მარბიელი ლაშქრობების წინააღმდეგ. „მორიგე ჯარის“ სულისჩამდგმელი და სარდალი იყო ერეკლეს ძე **ლევანი**. ამიტომ ერეკლესა და მთელი სამეფოსათვის დიდი დარტყმა იყო ლევან ბატონიშვილის უეცარი გარდაცვალება. ლევანი ძალიან ჭკვიანი და ენერგიული მოღვაწე იყო. იგი ყოველთვის მამის გვერდით იდგა და ბევრ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს აგვარებდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდში, კერძოდ 1771-1772 წლებში ერეკლე II საგარეო პოლიტიკის კურსს ცვლის. ერეკლეს სტრატეგია, ანუ პროირანული ორიენტაციის პრორუსული შეცვლა ლოგიკური იყო. ამასთან ერთად ერეკლე II-მ ვერ გათვალა რამდენიმე კონკრეტული საკითხი: 1) ირანის დასუსტების და

მისი დაშლის ტემპები; 2)რუსეთის მიერ სამხრეთ-კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის გაძევების ზუსტი ვადები. შეეძლო თუ არა ერეკლე II-ს ამ ყველაფრის ზუსტად განსაზღვრა? ცხადია არა. ერეკლე II-ს, ქართლ-კახეთის სამეფოს დაზვერვასა და დიპლომატიას ასეთი რთული საკითხების გასარკვევად აუცილებელი ინფორმაცია არ გააჩნდა. რუსეთის მოსვლა სამხრეთ-კავკასიაში დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა რუსეთ-ევროპის ურთიერთობა (ბრძოლა ქუჩ-პოსპოლიტას გადანაწილებისათვის), რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა (ბრძოლა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთისათვის) და ა.შ. ერეკლე II-ს არც ირანში მიმდინარე შიდა პროცესების ზუსტი პროგნოზირება შეეძლო.

საბოლოოდ, რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოჭრა დაახლოებით ოცდაათი წლით შეფერხდა. ქერიმ-ხანის გარდაცვალების (1779 წ.) შემდეგ ირანის დაშლა დროებით შეაჩერა ალა-მაჰმად-ხანმა და ქვეყნის მნიშვნელოვანმა ნაწილზე თავისი ძალაუფლება გაავრცელა. ეს ორი მოვლენა (რუსეთის შეფერხება და ირანის გაერთიანება) გახდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაღუპვის მიზეზი.

ყოველივე ამას დაემატა რუსეთის ვერაგული პოლიტიკა. რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ს ჭკვიან დიპლომატად და გამოცდილ მხედართმთავრად მიიჩნევდა. რუსეთი ანგარიშს უწევდა იმას, რომ ერეკლეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელს კავკასიაში, ირანსა და ოსმალეთში. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს და მომდევნო წლებში რუსეთის საიმპერატორო კარის შეხედულება იცვლება. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა სერიოზულად შეისწავლეს ქართლ-კახეთის მდგომარეობა და დაასკვნეს: ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იყო, დემოგრაფიული ვითარება – კატასტროფული, რაც გავლენას ახდენდა ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობაზე. ერეკლე II-ს, ქართლის თავადების სახით, ქვეყნის შიგნით ჰყავდა დიდი ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა. რუსებს არც სამეფო კარზე არსებული დაპირისპირება დარჩენიათ შეუმჩნეველი. რუსეთის საიმპერატორო კარმა უადრესად ზუსტად შეაფასა არსებული ვითარება და პეტერნურგში ქართლ-კახეთის სამეფოსათვის საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღეს: **სამხრეთ კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის გაძევებისათვის მომავალ ომებში ერეკლე II სერიოზულ მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ადგილი აღარ რჩებოდა.**

სწორედ, ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამო იყო, რომ რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას 1772 წლიდან 1783 წლამდე აჭიანურებდა.

ერეკლე II ინტუიციით ხვდებოდა, რომ რუსეთი ვაღდებულების ადებას ერიდებოდა. ერეკლე ყოველ ღონეს ხმარობდა მფარველობითი ხელშეკრულება დროზე გაეფორმებინა. ერეკლე II ცდილობდა ცდილობდა რუსეთის დაინტერესებას და საიმპერატორო კარს ქართულ-რუსული ჯარით ირანის ტერიტორიის დაკავებას სთავაზობდა. ერეკლეს სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის რეალიზებაში არსებითი როლი შეესრულებინა – რუსეთის მოკავშირედ გამოსულიყო. რუსეთი ერეკლეს ინიციატივას არად აგდებდა და, როგორც აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს მოკავშირედ არ განიხილავდა, სამხრეთ-კავკასიაში გაბატონებას ერეკლეს დახმარების გარეშე აპირებდა. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) პირობები ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის მისაღები იყო. გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შედიოდა: ქართლ-კახეთში სამეფო დინასტია უცვლელად უნდა შენარჩუნებულიყო, მეფის ტახტზე ასვლას ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი; რუსეთი არ ერეოდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში; საგარეო ურთიერთობები ქართლ-კახეთს უნდა შეეთანხმებინა რუსეთთან; საქართველოში უნდა მდგარიყო რუსეთის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით. ომის შემთხვევაში კი გამოიგზავნებოდა დამატებითი ძალები. რუსეთი ეცდებოდა დაებრუნებინა მტრის მიერ მიტაცებული საქართველოს ტერიტორიები.

ცუდი და მიუღებელი ის იყო, რომ რუსეთი ტრაქტატის შესრულებას არ აპირებდა. ასეთი გადაწყვეტილება რუსეთის საიმპერატორო კარზე შემთხვევით არ მიუღიათ, იგი 1783 წელსვე იყო ცნობილი. რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლით (გეორგიევსკის ტრაქტატით) ერეკლე II ქართლ-კახეთის გადარჩენასა და გაძლიერებას, საუკუნეების განმავლობაში მტრის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას აპირებდა. **ცხადია, 1783 წლისათვის ერეკლე II-ს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ რუსეთი მას მოკავშირედ აღარ განიხილავდა და, აქედან გამომდინარე, არც გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას აპირებდა.** ამიტომ იყო რომ 1784 წელს ქართლ-კახეთში შემოსული რუსის ჯარი, 1787 წელს, რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დაწყების შემდეგ, უკან იქნა გაწვეული. რუსეთის ჯარი საქართველოში 1799 წლამდე აღარ შემოსულა და ქართლ-კახეთი ისლამური სამყაროს წინააღმდეგ მარტო დარჩა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას ქართლ-კახეთის მეზობელი მაჰმადიანური სახანოები თავიდანვე შიშით შეხვდნენ. მალე ეს შიში აგრესიით შეიცვალა. ტრაქტატის დადებას ყველას დაანახა, რომ ერეკლე რუსეთის მოკავშირე იყო. სამხრეთ

კავკასიაში რუსეთის გამოჩენა ხელს არ აძლევდა არა მარტო ოსმალეთსა და ირანს, არამედ ევროპის დიდ სახელმწიფოებს – ინგლისსა და საფრანგეთს.

პირველი სერიოზული დარტყმა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ მიიღო, დადესტნელთა შემოსევა იყო. 1785 წელს ომარ-ხანის წინამძღოლობით დადესტნელთა ლაშქარი ქართლ-კახეთს შემოესია. რუსეთმა ერეკლე II-ს რეალური დახმარება არ აღმოუჩინა. ქართლ-კახეთის მეფემ ომარ-ხანს ფაქტობრივად ხარკის გადახდა აღუთქვა და ამ გზით სცადა ქვეყნის უსაფრთხოების მოპოვება.

1790 წელს ერეკლე II-ის მდივნის **სოლომონ ლიონიძის** ძალისხმევით დაიღო „ტრაქტატი ივერიელ მეფეთა და მთავართა.“ ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს სამთავროსა და გურიის სამთავროს მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით მოქმედებას ითვალისწინებდა.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე II-მ ორი ბრძანება გამოსცა, რომლებმაც საკმაოდ გაართულა ვითარება ქვეყნის შიგნით. 1791 წელს მიღებული ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონის მიხედვით, მეფობა უნდა გადასულიყო ძმიდან ძმაზე. კანონი ერეკლეს ყველა ვაჟს უფლებას აძლევდა მეფობა მოეთხოვა. ეს კი სამეფოში მუდმივი არეულობის მიზეზი იქნებოდა. მეორე ბრძანებით, მეფემ თავის ვაჯებს საუფლისწულოები გამოუყო. ამით, ფაქტობრივად, დაიშალა ქართლ-კახეთის სამეფოს ერთიანობა, რადგან ბატონიშვილები საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და აღარავის ემორჩილებოდნენ.

XVIII საუკუნეში, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, განათლების და კულტურის ძირითად კერებს წარმოადგენდნენ ეკლესია-მონასტრები, სამეფო კარი, ცალკეული ფეოდალების ციხე-დარბაზები თუ სასახლეები. ერეკლე II დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა განათლებას. 1755 წელს თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, გაიხსნა **სასულიერო სემინარია**. მისი ხელმძღვანელი იყო **ფილიპე ყაითმაზაშვილი**. სემინარიაში ასწავლიდნენ: გრამატიკას, ლიტერატურეს, გალობას, ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკას. 1758 წელს სემინარია გაიხსნა თელავშიც, რომელიც 1782 წელს ადაკეთდა **ფილოსოფიურ სემინარიად**. მისი პირველი რექტორი იყო **გაიოზი**. გაიოზმა თავდაპირველი განათლება თბილისის სემინარიაში მიიღო. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ანტონ I და ფილიპე ყაითმაზაშვილი. გაიოზი იყო თელავის სემინარიის შექმნის ინიციატორი და პირველი რექტორი. გაიოზი 1783 წელს რუსეთში მოღვაწეობდა. იგი

ხელმძღვანელობდა ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელ კომისიას, შემდგომში იყო ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსი. გაიოზის კალამს ეკუთვნის, როგორც ორიგინალური, ისე ნატარგმნი ნაწარმოებები. გაიოზის შემდეგ თელავის სემინარიას ხელმძღვანელობდა **დავით ალექსი-მესხიშვილი**. მას ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო, წერდა ლექსებს, იყო შესანიშნავი კალიგრაფი და არაერთი ნაწარმოები აქვს გადაწერილი. ქართლ-კახეთის სამეფოში არსებობდა კერძო სკოლებიც. იყო კათოლიკეთა კერძო სკოლაც (სკოლა დაიხურა 1755 წელს, როცა თეიმურაზ II-მ კათოლიკეები გაასახლა).

ქერიმ-ხან ზენდის სიკვდილის (1779 წ.) შემდეგ ირანში სამოქალაქო ომი დაიწყო. მის ახლო ნათესაეებსა და ტახტის სხვა პრეტენდენტებს შორის ატყდა უღმობელი ბრძოლა, რომელიც მათ მიერ ურთიერთგაუღელტოვებით დასრულდა. შაჰის ტახტისათვის ბრძოლაში უპირატესობა მიიპოვა ყაჯართა ტომის ბელადმა ალა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც ირანის დიდი ნაწილი გააერთიანა. ალა-მაჰმად-ხანი ერეკლე II-ს გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმებას ურჩევდა. ერეკლე პრორუსულ პოლიტიკას აგრძელებდა, რაც ალა-მაჰმად-ხანის გაღიზიანებას იწვევდა. ირანის გაერთიანების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანს შეეძლო 70-75 ათასიანი ლაშქრის შეკრება, რაც ქართლ-კახეთისათვის სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა. ერეკლე II ყურადღებით ადევნებდა თვალს ალა-მაჰმად ხანის მოქმედებას. 1789 წელს ერეკლე შეხვდა ფათ-ალ-ხანს. გადაწყდა, რომ ერთობლივად ემოქმედათ ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. 1795 წლის ივნისში ერეკლემ **ალექსანდრე ბატონიშვილის** სარდლობით, ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ჯარი მიაშველა ერევნისა და შუშის ხანებს. ქართველებმა მტერი დაამარცხეს. ამის შემდეგ ერეკლე და იმერეთის მეფე სოლომონ II ჯარით შევიდნენ ირანის ჩრდილოეთ რაიონებში, რათა ალა-მაჰმად-ხანის ძალები შეეფასებინათ და მისი სამოქმედო გეგმა ამოეცნოთ. გარკვეულ პერიოდამდე ალა-მაჰმად-ხანი რუსეთის შიშით თავს იკავებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისაგან. 1795 წლის სექტემბერში, მას შემდეგ რაც ალა-მაჰმად-ხანი დარწმუნდა, რომ რუსეთი ქართლ-კახეთს სამხედრო ძალით არ დაეხმარებოდა, თბილისზე სალაშქროდ დაიძრა. 11 სექტემბერს **კრწანისის** ველზე, გამირული წინააღმდეგობის შემდეგ, ქართლ-კახეთის ჯარი დამარცხდა. ერეკლე II ძალით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ქართველებს იმ პერიოდში ალა-მაჰმად-ხანის დამარცხება და ირანიდან მომდინარე საფრთხის ლიკვიდაცია არ შეეძლოთ. ერეკლე II-ს ძალუძდა კიდევ ერთი ან ორი ბრძოლის მოგება (ისევე როგორც 10 სექტემბერ შეძლო ალა-მაჰმად-ხანის დამარცხება), მაგრამ ირანთან მარტოდმარტო გამკლავება ქართლ-კახეთის სამეფოს ძალებს

აღმატებოდა. კრწანისის ბრძოლაში მარცხი განაპირობა სამმა მიზეზმა: ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრის დიდმა რიცხოვრივმა უპირატესობამ, რუსეთის დალატმა და ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგანმა სისუსტემ. ერეკლე II-ს, როგორც სარდალს, არც კრწანისის ბრძოლის წინ და არც ბრძოლის დროს არსებითი შეცდომა არ დაუშვია. ერეკლემ, როგორც პოლიტიკოსმა, ვერ ამოიცნო (არც შეეძლო ამოეცნო) რუსეთის ვერაგული გეგმები. ერეკლემ გამოდიოდა იქედან, რომ სამხეთ კავკასიაში ალა-მაჰმად-ხანის გაბატონება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს და ამდენად რუსეთი წინ უნდა აღდგომოდა ალა-მაჰმად-ხანის აგრესიას ქართლ-კახეთში.

1796 წელს რუსეთის ჯარებმა ირანზე ლაშქრობა დაიწყო, რომელიც მოულოდნელად 1797 წელს შეწყდა. ალა-მაჰმად ხანმა აღარ დააყოვნა. 1797 წელს მან თავისი მხედრობით მდ. არეზი გადმოლახა და ყარაბაღს შეესია. ქართლ-კახეთი იხსნა ალა-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა მკვლელობამ 1797 წლის 4 ივნისს.

კრწანისი ბრძოლის შემდეგ თელავში მოხუცმა ერეკლემ მხოლოდ სამ წელიწადს იცოცხლა. ბოლოს მეფე მიიმეღ დასნეულდა წყალმანკით, რამაც მას სიცოცხლე მოუსწრაფა. ერეკლე II გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს. მეფე იმავე დარბაზსა იმავე საწოლში გარდაიცვალა სადაც დაბადებული იყო.

ერეკლე II-ის გარდაცვალების დროს თბილისსა და ქართლის უმეტეს რაიონებში 1795 წელს გაჩენილი შავი ჭირი მძვინვარებდა. ამიტომ იყო, რომ მეფის ცხედარი თელავიდან თბილისის გვერდის ავლით მცხეთაში გადაასვენეს და **სვეტიცხოველში** დაკრძალეს. მცხეთაშიც შავი ჭირი მძვინვარებდა. მცხეთამდე მეფის ცხედარი სულ რამდენიმე ადამიანმა მიაცილა. დაკრძალვას არც სამეფო სახლის წევრები და არც დიდებულები არ ესწრებოდნენ. ერეკლე II-ს პანაშვიდი გადაუხადა და რამდენიმე ბერთან ერთად უკანასკნელი პატივი მიაგო მცხეთელმა მღვდელმა **ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილმა**.

სოლომონ I

1752 წელს ალექსანდრე V გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე მისი უფროსი შვილი – სოლომონი ავიდა. სოლომონმა მემკვიდრეობით მიიღო დაუძღვრებული, სათავადოებად დაფლეთილი სამეფო. იმერეთის მთავარი ციხეები: ქუთაისი, ბაღდათი, შორაპანი და ცუცხვათი ოსმალებს ეპყრათ. ტახტზე ასვლისთანავე სოლომონის წინააღმდეგ შეთქმულებამ იჩინა თავი. ლევან აბაშიძე – სოლომონის ბაბუა (დედის მამა), როსტომ რაჭის ერისთავი, მეფის ორი ბიძა – მამუკა და გიორგი ბატონიშვილები და თვით მეფის დედა თამარი ახალგაზრდა მეფეს აუჯანყდნენ და ტახტიდან გადააყენეს. იმერეთიდან დევნილმა მეფემ დახმარებისთვის ახალციხის ფაშას მიმართა, რომლის დახმარებითაც სოლომონმა ტახტი დაიბრუნა. მეფემ აჯანყების მოთავეები დასაჯა. მეამბოხეებთან ანგარიშწორების შემდეგ, მეფე მეტი სიფრთხილით შეუდგა თავისი პოლიტიკის განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ფეოდალთა შორის ძლიერი მოკავშირის მოპოვება. ამ მიზნით, იგი გაეყარა თავის ცოლს – აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის ასულს და ჯვარი დაიწერა სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ასულ **მარიამზე**. მეფემ შემოირიგა მამია გურიელი. სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან ურთიერთობის მოგვარებით სოლომონმა ხელისუფლება განიმტკიცა და ენერგიულ მოქმედებას შეუდგა.

სოლომონის გამეფებამდე იმერეთის სამეფო ოსმალეთს ხარკის სახით ფულად გადასახადს უხდიდა, ხონთქარს უგზავნიდა გოგო-ბიჭებს და, რაც მთავარია, სრულ თავისუფლებას ანიჭებდა ტყვეებით მოვაჭრეებს. **ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა ქრისტიანობის განმტკიცებას მოითხოვდა**. ეს საქმე ეკლესიას უნდა ეკისრა. მაგრამ ამ დროს ეკლესია უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა: ყმა-მამულის დიდი ნაწილი ფეოდალებს ჰქონდათ მიტაცებული, მრავალი საეპისკოპოსო კათედრა გაუქმებული იყო. ოსმალები არამც თუ ახალი მონასტრების აგებას, ძველების შეკეთებასაც კი კრძალავდნენ. სოლომონ I-მა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეკლესიის ავტორიტეტის აღდგენას. წინათ ფეოდალების მიერ მიტაცებული ეკლესიის ყმა-მამულები ისევ ეკლესიას დაუბრუნა, ხოლო საეკლესიო გლეხები ყოველგვარი გადასახადებისაგან

გაათავისუფლა. ასეთი ზომებით ეკლესიის ავტორიტეტი თანდათან მტკიცდებოდა. სამეფო ხელისუფლების განმტკიცების პირობებშიც კი ტყვეთა სყიდვის აღკვეთა ძნელი შეიქნა. მეფემ გადამჭრელი ღონისძიებების გატარება დაიწყო. სოლომონ I ტყვეებით მოვაჭრე ყველა თავის ქვეშევრდომს დიდი ჯარიმითა და სიკვდილით დასჯით დაემუქრა. ტყვეთა სყიდვის აკრძალვამ იმერეთის თავადების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათ დიდი შემოსავლის წყარო ეცლებოდათ ხელიდან.

იმერეთის ციხეები თავადებისა და ოსმალების ხელში იყო. ამიტომ მეფე შეუდგა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხეების ხელში ჩაგდებას. მან ისარგებლა აბაშიძეებს შორის ატეხილი მტრობით და 1752 წელს გიორგი აბაშიძე-მამუკაშვილისაგან იყიდა ხარაგაულის ციხე მამულით, აზნაურებით, მსახურებითა და გლეხებით. სვერის ციხე ჯერ კიდევ სოლომონის მამამ აღექსანდრემ დაისაკუთრა, კაცხის ციხეც 1753 წლიდან მეფის ხელში გადავიდა. უფრო მოგვიანებით (1762 წ.) სოლომონმა ჩხერის ციხე შეისყიდა. ამასთან ერთად, მეფემ აბაშიძეების მეზობელი წერეთლები გაიერთოგულა და ურიც თავადების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოემზადა. სოლომონ I მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში „ფიცის კაცებს“ ეყრდნობოდა. „ფიცის კაცნი“ იყვნენ შემდეგი გვარების წარმომადგენლები: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურნი: მესხები, ავალიანები, იოსელიანები, დოღობერიძეები, მიქაბერიძეები, ყიფიანები, იაშვილები, ჭაბუკიანები და სხვები. ფიცის კაცნი სამღვდელოების თანდასწრებით იკრიბებოდნენ ყოველი წლის 15 მაისს და ფიცს დებდნენ, რომ მეფის ერთგულნი იქნებოდნენ.

ოსმალეთისათვის მიუღებელი იყო სოლომონ მეფის ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ახალციხის ფაშამ არაერთხელ შემოუთვალა სოლომონს, რომ იმერეთში ტყვეთა სყიდვა ჩვეულებრივ ნებადართ ღი ყოფოლიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა. პირიქით, მან ტყვეთა სყიდვა კიდევ უფრო სასტიკად აკრძალა და მისთვის კიდევ უფრო სასტიკი სასჯელი დააწესა. ტყვეთა სყიდვის აკრძალვას ოსმალეთის გარდა თავადებიც

ეწინააღმდეგებოდნენ. ამდენად, მეფის წინააღმდეგ გარე და შიდა ძალა გაერთიანდა. ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი ახალციხის ფაშას დაუკავშირდნენ. იმერეთში შემოსატრელად გამზადებულ ოსმალთა ჯარს ლევან აბაშიძემ მეგზურობა გაუწია. იმერეთში შემოსული მტერი ოკრიბაში (ამჟამად ტყიბულის რაიონი) – **ხრესილის** მინდორზე დაბანაკდა. ამ დროისათვის ოსმალებს იმერეთში ეკავათ: ცუცხვათის, ბაღდათის, შორაპნისა და ქუთაისის ციხეები. მეფის მდგომარეობა მძიმე იყო: რაჭის ერისთავმა როსტომმა მეფეს უღალატა, მთელი ზემო იმერეთი ლევან აბაშიძეს გადაებირებინა, ზოგი სულმოკლე თავადიც (წულუკიძე რაჭის საერისთაოდან) მტერს მიეკედლა. სოლომონმა თავის სიმამრს ოტია დადიანს სთხოვა დახმარება. ოტიამ მოხუცებულობის გამო ომში მონაწილეობა ვერ შეძლო, მაგრამ საბრძოლველად თავისი შვილი კაცია გამოგზავნა ჯარით. მეფის დასახმარებლად გამოეშურა ასევე მამია გურიელიც. სოლომონისათვის მოულოდნელი არ იყო მტრის შემოსევა. მეფემ 1757 წლის ბოლო თვეებში ფარულად დიდი სამზადისი დაიწყო იმერეთიდან ოსმალთა განსადევნად. 1757 წლის 14 დეკემბერს სოლომონ მეფე თავს დაესხა მტრის ლაშქარს. მტერი არ დაბნეულა. ოსმალებმა პირველ ხანებში წარმატებასაც კი მიაღწიეს. მათ ხელთ იგდეს სამეფო დროშა, მაგრამ ქართველთა ლაშქრის სიმტკიცემ ომის ბედი შემოაბრუნა. მტრის ჯარის დიდი ნაწილი გაიჟლიტა, ნაწილი დაატყვევეს, მცირე ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, მაგრამ იმერეთის ტერიტორიას მაინც ვერ გასცილდა – მათ გზადაგზა ხოცავდნენ ან ატყვევებდნენ. ამ ბრძოლაში დაუღუპა ოსმალთა სამი ფაშა. ბრძოლაში მოკლეს მეფის მოღალატე ბაბუა – ლევან აბაშიძე, ხოლო რაჭის ერისთავმა როსტომმა გაქცევით უშველა თავს. ზარალი მეფის მხრიდანაც დიდი იყო. დაიღუპა კაცია დადიანის თანმხლები სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შერვაშიძე, რომელმაც ხმლით 16 ოსმალო ჯარისკაცი აკუწა.

სოლომონ I-მა ისარგებლა ხრესილის ომში გამარჯვებით დაკიდევ უფრო განიმტკიცა ძალაუფლება. 1759 წლის დეკემბერში მეფემ **საეკლესიო კრება** მოიწვია. მასში მონაწილეობდნენ: მეფე, კათოლიკოს-პატრიარქი, დასავლეთ საქართველოს მაღალი სამღვდელთა, მთავრები, თავადები და აზნაურები. კრებამ დასველეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო: 1) საეკლესიო საკითხების მოწესრიგება, 2) ტყვის სყიდვის აკრძალვა. სოლომონის ტახტზე ასვლის დროისათვის ეკლესია უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყმა-მამულის დიდი ნაწილი ფეოდალებს ჰქონდათ მიტაცებული, მრავალი მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა გაუქმებული იყო. საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მიტაცებული ყმა-მამულები ეკლესიას დაუბრუნდა; საეკლესიო გლეხები გაათავისუფლეს ზოგიერთი გადასახადისაგან, ერისკაცებს აკრძალათ ეკლესიის სამეურნეო საქმეებში ჩარევა; საეკლესიო თანამდებობებიდან გადააყენეს უღირსნი. საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ეკლესიასა და მონასტერს შეეხო.

ხრესილის ომის მარცხს ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა. ახალციხის ფაშას სტამბოლიდან ბრძანება მოუვიდა იმერეთის მეფის დამორჩილების თაობაზე. სანამ ლაშქრობას დაიწყებდა, ახალციხის ფაშამ სოლომონ I-ს მოსთხოვა ხარკისა და ჯარიმის გადახდა და ტყვეებით თავისუფალი ვაჭრობის აღდგენა. ქვეყნის აოხრების თავიდან აცილების მიზნით, სოლომონი პირველ მოთხოვნაზე დასთანხმდა, ხოლო მეორეზე ფაშას უარი შეუთვალა. მაშინ ოსმალთა დიდძალი ჯარი ხუნძახის ბატონთან და ლეკებთან ერთად 1758 წელს იმერეთის დასავლეთით დაიძრა. მტერმა მთელი ქვეყანა ააოხრა და გაძარცვა, მათ შორის გელათის მონასტერიც. მეფე იძულებული გახდა ოსმალებს ყველა პირობაზე დათანხმებულიყო. ალაფით დატვირთული ოსმალები უკან დაბრუნდნენ, ხოლო ხარკის აკრეფა იმერეთის ციხეებში ჩაყენებულ თავიანთ მეციხოვნეებს დაავალეს. ოსმალების მიერ ხარკის აკრეფამ ძარცვის ხასიათი მიიღო. სოლომონ მეფე ახალციხის ფაშას ეახლა. ფაშამ მეფის საჩივარი შეისმინა, სოლომონს სამი ათასი ოსმალო გამოაყოლა, რათა ამ ჯარით იმერეთის ციხეებში მდგარი, ძალადობაში შემჩნეული, ოსმალო მეციხოვნეები დაესაჯა. ოსმალებს იმერეთამდე არც კი ჩამოუღწევიათ. სოლომონ მეფემ ისინი გზაშივე გაანადგურა ფიცის კაცების ჯარით, რომელიც მან იმერეთიდან საიდუმლოდ გამოიწვია. თურქეთის სულთანმა ახალციხის ახლად დანიშნულ ფაშას დაავალა იმერეთის დამორჩილება. 1758 წელს ახალციხის ფაშა ორჯერ შემოიჭრა იმერეთში, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა. 1759 წელს სულთანმა

დამარცხებული ახალციხის ფაშა კვლავ შეცვალა. ახალციხეში იმერეთის დედოფალი მარიამი ჩავიდა და ფაშას დაზავება შესთავაზა. დაზავების სანაცვლოდ ფაშამ ტყვეთა სყიდვის თავისუფლება მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო და მოლაპარაკებაც ჩაიშალა. 1760 წელს ოსმალებმა ისევ შემოუტიეს იმერეთს, მათი მიზანი იყო სოლომონ მეფის დამორჩილება, ხარკის გადახდევინება და ტყვეთა სყიდვის აკრძალვის გაუქმება. სოლომონმა ოსმალები სასტიკად დაამარცხა. მეფემ ოსმალები 1761 წელსაც დაამარცხა. ამის შემდეგ ოსმალები სერიოზულად მოემზადნენ და 1763 წელს 15000-იანი ლაშქრით ორ ტალღად შემოიჭრნენ იმერეთში. ამჯერად მტერმა წარმატებას მიაღწია. მალე ოსმალთა ჯარში უთანხმოება ჩამოვარდა: იანიჩარებს სურდათ იმერეთის დამორჩილება, ხოლო ქურთები ქვეყნის გაძარცვას მოითხოვდნენ. ოსმალთა ლაშქარში დისციპლინა მოიშალა, რითაც ისარგებლეს ქართველებმა და მუსრი გაავლეს მტერს. იმავე 1763 წელს ოსმალთა ლაშქარი კვლავ დაესხა თავს იმერეთს, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდა და უკუიქცა. ამის შემდეგ ოსმალებმა აღმოსავლეთიდან სცადს იმერეთში შეჭრა, მაგრამ მეფე ერეკლე II-მ გზა ჩაუკეტა ოსმალებს და ისინიც უკან გაბრუნდნენ. სოლომონ I-ის შეურიგებელმა ბრძოლამ ოსმალეთის წინააღმდეგ შედეგი გამოიღო. 1767 წლის ხელშეკრულებით, ოსმალეთი იმერეთს ცნობდა არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ ქვეყანად.

ოსმალთა ხელისუფლება ისევ ნაცად ხერხს მიმართა და იმერეთის თავადების გადაბირებას შეუდგა. ოსმალები იმერეთის სამეფო სახელში არსებულ წინააღმდეგობის გამოყენებასაც ცდილობდნენ. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მათ ქუთაისში მეფედ სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი გამოაცხადეს. 1768 წელს სოლომონმა საბოლოოდ დაამარცხა ტახტისათვის მებრძოლი თეიმურაზი. ამის შემდეგ მეფისათვის ყველაზე მეტად საშიშ მოწინააღმდეგედ რაჭის ერისთავი როსტომი რჩებოდა. ოდიშის მთავარი დადიანი აშკარად უჭერდა მხარს რაჭის ერისთავს. ამ დაპირისპირებაში აფხაზეთის მთავარი ოდიშის მთავრის მოკავშირე იყო. ხოლო გურიაში ოსმალებს იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე მთავარი ჰყავდათ დასმული. 1768 წელს სოლომონ მეფე რაჭაში შეიჭრა, მაგრამ ერისთავი ვერ შეიპყრო, რაჭის ერისთავი დადიანთან გაიქცა.

1769 წელს მეფე კვლავ შეიჭრა რაჭაში, მაგრამ ერისთავი ვერც ამჯერად შეიპყრო. იმავე 1769 წელს სოლომონ I-მა რაჭის ერისთავი როსტომი შვილებითურთ შეაპყრობინა და ყველას თვალები დასთხარა. ამის შემდეგ მეფემ რაჭის საერისთავო გააუქმა. რაჭის ერისთავის დასჯამ ოდიშის მთავარი დააშინა და სოლომონის წინააღმდეგ მოკავშირეებს დაუწყო ძებნა, თუმცა, 1776 იძულებული გახდა მეფეს დამორჩილებოდა.

ასპინძის ბრძოლაში (1770 წ.) ოსმალების დამარცხების შემდეგ სოლომონ მეფეს ხელსაყრელი პირობები შეექმნა იმერეთის ციხეებიდან მტრის განსადევნად. 1770 წლის 15 მაისს იმერთა მეფემ ცუცხვათის ციხე გაათავისუფლა ოსმალებისაგან. შემდეგ ჯარით შევიდა ქუთაისში. რადგან სოლომონს ქუთაისის ციხის ასაღებად საკმარისი ზარბაზნები არ გააჩნდა, ციხეს ალყა შემოარტყა. მეფე ვარაუდობდა, რომ ოსმალო მეციხოვნეები მას დანებდებოდნენ. ამავე დროს სოლომონმა აიღო შორაპნის ციხეც.

რუსეთის საექსპედიციო საექსპედიციო კორპუსი (4 000 კაცი), გენერალ გოტლიბ კურტ ჰენრიხ ტოტლებენის სარდლობით, აწყურის ციხიდან უკან დახევის შემდეგ, იმერეთში გადავიდა და რუს-ქართველთა ლაშქარი ბაღდათის ციხეს შემოადგა. ციხეში მხოლოდ 30 ოსმალო იყო გამაგრებული. ბაღდათის ციხის აღების შემდეგ რუს-ქართველთა ლაშქარმა ქუთაისის ციხეს შემოარტყა ალყა. 1770 წლის 6 აგვისტოს ღამით ოსმალები ციხიდან გაიპარნენ. სავარაუდოა, რომ თურქებს გაქცევის საშუალება რუსმა გენერალმა მისცა. ამიტომ იყო, რომ გ. ტოტლებენმა ოსმალების გაქცევის ამბავი მეფეს გვიან აცნობა. სოლომონმა ზომები მიიღო, მაგრამ ამასობაში ოსმალები მიიმაღნენ და მიიმაღნენ, მხოლოდ ერთი მათგანი შეიპყრეს და ერთიც მოკლეს.

გენერალი გ. ტოტლებენი სოლომონს შემომწყრალ და ოსმალების ყოფილ მოკავშირეს – სამეგრელოს მთავარს დაუკავშირდა და შავი ზღვის პირას მდებარე ციხეების აღება გადაწვევითა. ოსმალების ყოფილ მოკავშირეს, იმერთა მეფის მტერს, დადიანს დაუახლოვდა და მისი მოკავშირეობით შავი ზღვისაკენ სალაშქროდ დაიძრა. რუსეთის ჯარის მოახლოებისთანავე ანაკლიისა და რუხის ციხეები, რომლებშიც 20-20 ჯარისკაცი იდგა, ოსმალებმა დაცალეს

და რუსები მიტოვებულ ციხეებს დაეუფლნენ. 1771 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენი ფოთის ციხისკენ დაიძრა, ალყა შემოარტყა, მაგრამ საბოლოოდ ციხე ვერ აიღო. რუსების ჯარში მასობრივმა დაავადებამ იჩინა თავი. მარცხი გენერალმა სოლომონს გადააბრალა. სახელგატეხილი გენერალი რუსეთის იმპერატორმა საქართველოდან გაიწვია. 1771 წლის მაისში იმერეთში ტოტლებენის შემცველი გენერალი **პ. სუხოტინი** ჩავიდა, მაგრამ ფოთი ვერც მან აიღო. მარცხი პ. სუხოტინმაც იმერეთის მეფეს გადააბრალა. სინამდვილეში კი სოლომონ I ტოტლებენსაც და სუხოტინსაც ურჩევდა ზამთრის დადგომამდე და ჭაობის გაყინვამდე ფოთზე ლაშქრობა არ დაეწყოთ, რადგან ჭაობის ჰავა ციებ-ცხელებას შეჰყრიდა ჯარს. არც ტოტლებენმა და არც სუხოტინმა რჩევა არ მიიღეს. 1771 წლის ოქტომბერში პ. სუხოტინმა ფოთის ციხეს ალყა მოხსნა და თვითონაც ციებ-ცხელებით დაავადებული ქუთაისში დაბრუნდა. 1772 წლის 5 მაისს რუსეთის ჯარმა იმერეთი დატოვა.

რუსეთის საექსპედიციო კორპუსის წასვლის შემდეგ ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა 1758 წელს დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულების განახლება გადაწყვიტეს. 1773 წლის 27 ივლისს სოფ. სანგარში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის სამხედრო კავშირის ხელშეკრულება დაიდო, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ „ერთობის წერილი დაწერეს“. 1773 წლის ოქტომბერში, ამ ხელშეკრულების ძალით, მეფეებმა ერთად გაილაშქრეს ჯავახეთში. იმერეთ-ქართლ-კახეთის 11000-იანი ლაშქარი და ჯავახეთში გადავიდა და ახალქალაქის ციხე აიღო. მეფეებთან შესაბამეად ახალციხის ფაშამ გადმოსვლა ვერ გაბედა. ქართველთა ლაშქარმა მოარბია ახალციხის საფაშოს ტერიტორია. ლაშქრობისას სოლომონ I ციებ-ცხელებით გახდა ავად და მეფეებმა უკან დაბრუნება გადაწყვიტეს.

ჯავახეთში ლაშქრობის საპასუხოდ, ახალციხის ფაშამ სოლომონ მეფის წინააღმდეგ 1774 წლის იანვარში 4000-იანი ლეკ-ოსმალთა ლაშქარი გამოგზავნა. მეფეს ზოგიერთმა ქვეშევრდომმა უღალატა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა სოლომონ მეფე დახმარება ერეკლე მეფეს სთხოვა. ერეკლემ იმერეთში სასწრაფოდ 2000 კაციანი ლაშქარი გაგზავნა. 6 თებერვალს მტერი ჩხერის ვიწრობს მიადგა, მაგრამ იქ მყოფ ქართველ მეთოფეთა ძლიერ ცეცხლს

წააწყდა. იმავდროულად ქართველებმა ზურგიდან ისე ძლიერად დაარტყეს ლეკ-ოსმალთა ჯარს, რომ მათი წინააღმდეგობა ერთბაშად მოიშალა. მტერი სასტიკად დამარცხდა და ბრძოლის ველზე 1000 მოკლული დატოვა. 600 კაცი ქართველებმა ყვედ აიყვანეს. მტრის გაქცეულმა ლაშქარმა ჩხერიდან ვახანის ციხემდე კიდევ 1400 კაცი დაკარგა, ახალციხემდე მხოლოდ 700-მა მებრძოლმა ძლივს მიაღწია. ქართველთა დანაკარგი შეადგენდა 50 მოკლულსა და 100 დაჭრილს. დატყვევებული აღმოჩნდა ლეკთა ცნობილი ბელადი რაჯაბა – ქართლ-კახეთის მრავალჯერ დამრბევი. სოლომონ მეფემ იგი საჩუქრად გაუგზავნა ერეკლე მეფეს.

რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდა, საზავო ხელშეკრულება დაიდო 1774 წლის 10 ივლისს **ქუჩუკ-კაინარჯში**. ამ ხელშეკრულების 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა. რუსეთი იმერეთს ოსმალეთის ვასალურ სამეფოდ ცნობდა და მას უფლებას აძლევდა ხელახლა დაეჭირა ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეები. თავის მხრივ, ოსმალეთი ხელს იღებდა ქრისტიანობის დევნაზე და აღარ მოითხოვდა ხარკს ნატურისა და ახალგაზრდა ქალ-ვაჟების სახით. ამასთან ერთად, ოსმალეთს ეკრძალებოდა რუსეთის მხარეზე მემორი იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს დასჯა. ოსმალეთმა ვერ გამოიყენა 23-ე მუხლში აღნიშნული თანხმობა ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეების დაკავების თაობაზე, რადგან, სოლომონ მეფის წინდახედულობით, ეს ციხეები ადებისთანავე დაანგრის. რუსეთთან ომის შემდეგ დაუძღურებულ ოსმალეთს აღარ შეეძლო ამ ციხეების ხელმეორედ აგება. გარდა ამისა, ციხეების დაკავების საშუალებას ოსმალებს სოლომონ I აღარ მისცებდა უომრად.

იმერეთიდან რუსეთის საექსპედიციო კორპუსის წასვლის შემდეგ სოლომონ მეფემ მტკიცედ გადაწყვიტა გურიელისა და დადიანის დამორჩილება. გურიელი, რომელიც ხან სოლომონ I-ს უჭერდა მხარს, ხანაც ახალციხის ფაშას ეკედლებოდა, 1775 წელს საბოლოოდ დაიმორჩილა მეფემ. იმავე წელს სოლომონმა ოდიშის მთავარიც დაიმორჩილა. ოდიშის სამთავროზე გავრცელდა აფხაზეთ-იმერეთის კათოლიკოს პატრიარქის იურისდიქცია, რომელიც დროებით შეწყვეტილი იყო.

მთავრების დამორჩილებითა და ეკლესიის ერთიანობის აღდგენით იმერეთის სამეფო საგრძნობლად გაძლიერდა. სოლომონ მეფის გაძლიერებამ რუსეთის მიერ შევიწროებული ოსმალეთი აიძულა გადაესინჯა იმერეთთან დამოკიდებულება. 1776 წლის ოქტომბერში იმერეთის მეფეს ოსმალეთის ელჩობა ეახლა და ძვირფასი საჩუქრებიც მიართვა, რაც იშვიათი შემთხვევა იყო. მიუხედავად ამისა, იმერეთის ფეოდალების გარკვეული ნაწილი, რომელიც სოლომონის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო, ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა მეფის წინააღმდეგ გამოსასვლელად. თავადებმა გადაიბირეს ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი. შეთქმულების ორგანიზატორები იყვნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და მოურავი თამაზა მესხი. შეთქმულებას თანაუგრძნობდა სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. შეთქმულებმა რამდენიმე ციხე დაიკავეს და მეფის ტახტიდან გადასაყენებლად ემზადებოდნენ. სოლომონ მეფემ დიდი ლაშქარი შეკრიბა, თავად წულუკიძის დახმარებით აჯანყებულები დაამარცხა და დასაჯა. დავით აბაშიძე სახლთუხუცესობიდან გადააყენეს, სახლთუხუცესი გახდა ზურაბ წერეთელი. მეფემ დავით გიორგის ძე იმერეთიდან გააძევა.

იმერეთის სამეფოში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ოსმალეთმა. 1779 წლის ბოლოს ოსმალთა ლაშქარი აფსუების, ჯიქების, ოსების ჩერქეზების და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხების თანხლებით ოდიშის სამთავროში შეიჭრა. კაცია დადიანმა დახმარებისათვის სოლომონ I-ს მიმართა. 1779 წლის მიწურულს იმერეთის, ოდიშისა და გურიის ჯარმა მდ. ენგურის ნაპირას, რუხის ციხესთან, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მტრის ლაშქრის დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიხოცა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა და მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით. **რუხის** ბრძოლის შემდეგ სოლომონისა და მთავრების ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რასაც დასავლეთ საქართველოში შინაური მშვიდობის დამყარება მოჰყვა. მალე ეს მშვიდობა ისევ დაირღვა.

გურიის სამთავროს ოსმალეთი იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად თვლიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა გურიელის გადასაბირებლად. გურიის დაკარგვიდან მომდინარე საფრთხეს კარგად

აცნობიერებდა სოლომონ I. მეფემ გურიის სამთავროს შემოერთება გადაწყვიტა, რასაც წინ აღუდგნენ გურული თავადები. გურიის დათმობას არ აპირებდა ოსმალეთი. 1784 წელს ოსმალეთის დავალებით აჭარის ბეგმა გამაჰმადიანებულმა ქართველმა აბდულა ხიმშიაშვილმა დიდი თავდასხმა მოაწყო გურიაზე. გურულებმა მისი ლაშქარი დაამარცხეს, აბდულა ხიმშიაშვილი ბრძოლის ველზე დაიღუპა. სოლომონმა, როგორც დასავლეთ საქართველოს მბრძანებელმა, გურიაში აბდულა ხიმშიაშვილის ლაშქრობის გამო ახალციხის ფაშასთან იხივლა. ფაშამ აბდულას დასჯა არ ისურვა. ფაშას პასუხის შემდეგ, 1784 წლის გაზაფხულზე სოლომონ I-მა ქვემო გურიაში ილაშქრა. ეს ლაშქრობა მეფემ დიდი სიფრთხილით ჩაატარა, რადგან გიორგი გურიელი, როგორც ოსმალური ორიენტაციის მომხრე, საიმედოდ არ ეჩვენებოდა. მეფე წინასწარ მოელაპარაკა გიორგი გურიელს და ბათუმისკენ ლაშქრობაზე დაითანხმა, ხოლო მისი მემკვიდრე სიმონი ქუთაისში მიიპატიჟა და მძევლად დაიტოვა. გიორგი გურიელის მეორე ვაჟი ვახტანგი მეფემ გურიის ლაშქარს უსარდლა. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობა სოლომონმა დიდი სიფრთხილით მოამზადა, საიდუმლო მაინც გამჟღავნდა. ოდიშის მთავარმა დადიანმა ლაშქრობის გეგმა შეიტყო და ფოთის ფაშას აცნობა. ფაშამ, თავის მხრივ, ლაშქრობის თაობაზე შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებული ციხეების გარნიზონებს შეატყობინა. ეს უკანასკნელნი საბრძოლველად მოემზადნენ. თვითონ ფოთის ფაშამ ციხისძირთან ჯარი გადასხა და იმერეთის ლაშქარს ზურგში მოექცა.

1784 წლის 4 მარტს სოლომონ მეფემ 6000 მეომრით, გურიის ჯართან ერთად, ლაშქრობა დაიწყო. იმერეთისა და გურიის ჯარმა დაიკავა ქობულეთის მხარე, აიღო და დაანგრია ქობულეთის ციხე-სიმაგრე. ამის შემდეგ ქართველები ჩაქვის მხარეში შეიჭრნენ და იქიდან ოსმალები გარეკეს, ხოლო შემდეგ ბათუმამდე მივიდნენ. უკან მობრუნებულ მეფის ლაშქარს, 9 მარტს, ციხისძირთან, **ნაჭიშკრევის** ვიწრო გასასვლელში, რომელიც ტყით იყო დაბურული, თავს დაესხა ჩასაფრებული ოსმალთა ლაშქარი. ორცეცხლშუა მოქცეული იმერეთისა და გურიის ჯარი სასტიკად დამარცხდა, თავგანწირული ბრძოლის შემდეგ სოლომონი და ჯარის ნაწილი მტერს დაუსხლტა.

ღალატმა და ნაჭიშკრევის ბრძოლაში მარცხმა სულიერად დათრგუნა სოლომონ მეფე. 1784 წლის 23 აპრილს სოლომონ I გიორგობის დღესასწაულზე ხონში მიემგზავებოდა. ცხენზე ამხდრების დორს მეფე უეცრად ცუდად გახდა და გარდაიცვალა.

ანდერძის თანახმად სოლომონ I-ის ცხედარი გელათის ტაძარში დაკრძალეს.

ცდა ერთიანობის აღდგენისა (1790 წ.)

ერთიანი მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლის დროიდან (XV საუკუნის მეორე ნახევარი) საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყნის გაერთიანება თავისთავად ურთულეს პროცესს წარმოადგენდა. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც ირანმა და ოსმალეთმა საქართველო გაიყვეს და საქართველოს ისტორიული ტერიტორია ორ სახელმწიფოს შორის აღმოჩნდა გადანაწილებული. XVI საუკუნის დამდეგიდან დაიწყო ირან-ოსმალეთის ომები, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. სხვა ტერიტორიებთან ერთად ეს ორი სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის ხელში ჩაგდებასაც ცდილობდა. საქართველო ირანმა და ოსმალეთმა პირველად ამასიის ზავით (1555 წ.) გაიყვეს. ირანმა ცნო ოსმალეთის უფლება დასავლეთ საქართველოზე. უფრო ზუსტად ოსმალეთს ერგო: იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, დასავლეთ მესხეთი, ლაზისტანი. ოსმალეთმა ცნო ირანის უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე. უფრო ზუსტად ირანს ერგო: ქართლი, კახეთი, აღმოსავლეთ მესხეთი. ირან-ოსმალეთის ომის მორიგი ეტაპის შედეგები აისახა სტამბოლის ზავის პირობებში (1590 წ.). ამჯერად დამარცხებულმა ირანმა ოსმალეთს მთელი სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია) დაუთმო. 1612 წელს დადებული სტამბოლის ზავით აღსდგა ამასიის ზავის (1555 წ.) პირობები: ქართლი და კახეთი ირანს ერგო, ხოლო იმერეთი, სამეგრელო და გურია – ოსმალეთს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აღმოსავლეთ მესხეთი ახალციხითურთ ოსმალეთს დარჩა. 1612 წლის სტამბოლის ზავის პირობები დადასტურდა ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული სერაფის ზავით (1618 წ.) 1619 წლის სტამბოლის ზავით აღსდგა ამასიის ზავის (1555 წ.) პირობები, იმ განსხვავებით, რომ ირანი ოსმალეთს უთმობდა მთელ სამცხე-საათაბაგოს. ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომები 1639 წელს ზოჰაბის ზავით დასრულდა. საბოლოოდ ქართლი და კახეთი ირანს დარჩა, ხოლო იმერეთი, სამეგრელო, გურია და სამცხე-საათაბაგო – ოსმალეთს. ირანისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს გაერთიანება უკვე ქართველ მეფე-მთავართა მისწრაფებაზე, ქვეყნის შიგნით გაერთიანების მომხრე და მოწინააღმდეგე ძალთა თანაფარდობაზე აღარ იყო დამოკიდებული.

ირანი და ოსმალეთი ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებას არ დაუშვებდნენ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა გაერთიანებისაკენ მისწრაფება საქართველოში მუდამ არსებობდა, თუმცა მას არ შეიძლება რეალური შედეგები მოჰყოლოდა. პირიქით, შექმნილი ვითარება დაშლას უწყობდა ხელს. ერთიანი საქართველოს დაშლის დროისათვის (XV საუკუნის დასასრული). იმერეთის მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს უზენაესი ხელისუფალი იყო. შემდგომ საუკუნეებში სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდნენ იმერეთის მეფის ვასალებად. იყო მეფე-მთავართა შორის სამხედრო დაპირისპირების (ომების) ხშირი შემთხვევები.

ამ ფონზე ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1758 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის, კახეთის მეფე ერეკლე II-ის და იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ურთიერთდახმარების თაობაზე. 1760 წლის 15 იანვარს მეფეები ერთმანეთს ცხინვალში შეხვდნენ და 1758 წლის ხელშეკრულება განაახლეს. კავშირი ნათესაობითაც განმტკიცდა. ერეკლემ თავისი ქალიშვილი ცოლად მიათხოვა სოლომონ I-ის ძმას – არჩილს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ივერიელ მეფეთა და მთავართა **1790 წლის ტრაქტატი**. ტრაქტატი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ინიციატივით დაიდო. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის ტრაქტატი ოთხი დოკუმენტისაგან შედგება. პირველ დოკუმენტი შედგა თბილისში. ქართლ-კახეთის მეფე იმერეთის მეფეს **სოლომონ II-ს**, სამეგრელოს მთავარ **გრიგოლ დადიანსა** და გურიის მთავარ **სვიმონ გურიელს** კპირდება: 1) მტერთან ბრძოლაში დახმარებას (არტიკული პირველი: „შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოვლისა სამეფოსა ჩემისა ...“ არტიკული მეორე: „ ... ვიყო შემწე თქვენდა და წინააღმდეგ მტერთა თქვენთა;“ არტიკული მეოთხე: „უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი, ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვის ძალით, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.“); 2) რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის სურვილის შემთხვევაში დახმარებას; 3) ერეკლეს შთამომავლობის (ტახტის მემკვიდრეთა)

და ქვეშევრდომების მიერ მიცემული პირობის დაცვას. ერეკლე II-ის მიერ იმერეთის მეფის, სამეგრელოსა და გურიის მთავრებისადმი მიცემულ პირობას ხელს აწერენ: **ერეკლე II**, დედოფალი **დარეჯანი** და კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I**. **მეორე დოკუმენტი** წარმოადგენს იმერთა მეფის პირობას ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-სადმი. მას ხელს აწერენ: **სოლომონ II** და დედოფალი **მარიამი**. **მესამე დოკუმენტი** წარმოადგენს სამეგრელოს მთავრის პირობას ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სადმი, რომელსაც ხელს აწერს **გრიგოლ დადიანი**. **მეოთხე დოკუმენტი** წარმოადგენს გურიის მთავრი პირობას ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-სადმი, რომელსაც ხელს აწერს **სვიმონ გურიელი**. შინაარსობრივად სოლომონ II-ის, გრიგოლ დადიანისა და სვიმონ გურიელის მიერ დადებული პირობა გამომდინარეობს ერეკლე II-ის მიერ მათთვის მიხემული პირობიდან, ანუ, იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი და გურიის მთავარი ქართლ-კახეთის მეფეს მტერთან ბრძოლაში თანადგომასა და დახმარებას აღუთქვამდნენ.

ამრიგად, ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის ტრაქტატი არ წარმოადგენს ოთხმხრივ ხელშეკრულებას, ანუ, ერთსა და იმავე დოკუმენტზე (ხელშეკრულებაზე) ერეკლე II-ს, სოლომონ II-ს, გრიგოლ დადიანისა და სვიმონ გურიელის ერთად ხელი არ მოუწერიათ. ტრაქტატი წარმოადგენს ერეკლე II-ის პირობას იმერთა მეფის, სამეგრელოს მთავრისა და გურიის მთავრისადმი და ამ უკანასკნელთა მიერ ერეკლე II-სადმი დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე მიცემულ პირობას. სოლომონ II-ს, გრიგოლ დადიანსა და სვიმონ გურიელს ერთმანეთისათვის, არც ორმხრივად და არც სამმხრივად, პირობა არ მიუციათ და არც შესაბამის დოკუმენტზე (შეთანხმებაზე, ხელშეკრულებაზე) მოუწერიათ ხელი. იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს სამთავროსა და გურიის სამთავროს შორის ურთიერთობების მოგვარება 1790 წლისათვის ძალზე ძნელი იყო. თავს იჩინდა ბევრი მოუგვარებელი საკითხი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გროვდებოდა. ამიტომ იყო, რომ სოლომონ II-მ, გრიგოლ დადიანმა და სვიმონ გურიელმა, ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევისა და შეთანხმების გარეშე, დამოუკიდებლად მისცეს ერეკლე II-ს პირობა. ანუ, სვარეო საფრთხის

წინააღმდეგ გაერთიანება უპირატესად იქნა აღიარებული. ამ პერიოდისათვის ასეთ ნაბიჯს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რატომ დაიღო ივერიელ მეფეთა და მთავართა ტრაქტატი ამ ფორმით? ტრაქტატს ჰქონდა ერთადერთი მიზანი: **ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება საგარეო საფრთხის წინააღმდეგ**. გაერთიანების ინიციატორი იყო ერეკლე II. ერეკლე მოიაზრებოდა გაერთიანების პროცესის წინამძღოლად და გაერთიანებული ქართული სამხედრო ძალის მხედართმთავრად. ეს იყო ქართული პოლიტიკური აზრის დიდი მონაპოვარი. ამაზე მეტყველებს ერეკლე II-ის პირობის შემდეგი სიტყვები: „ ... ერთ რჯულ უდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ქვემოისა ივერისათანა ... ”

იოანე ბატონიშვილი

თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი და განმანათლებელი იოანე გიორგის ძე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) დაიბადა 1768 წლის 18 მაისს. იოანეს მამა იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII.

იოანე ბატონიშვილს, შეიძლება ითქვას, მიღებული ჰქონდა ენციკლოპედიური განათლება. მისი მასწავლებელი იყო დავით ალექსიმესხიშვილი. ნიჭითა და შრომის უნარით უხვად დაჯილდოვებულმა იოანემ მოღვაწეობის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა – შთამომავლობას დაუტოვა მდიდარი მემკვიდრეობა.

იოანე ბატონიშვილი ჯერ კიდევ ერეკლე II-ის მეფობის ჟამს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, იგი უკვე გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე იყო. 1789 წელს ერეკლე II-ის დახმარებით იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ I-ის ძმისშვილი და ერეკლე II-ის შვილიშვილი დავით არჩილის ძე, რომელიც სოლომონ II-დ იწოდდა. იმერეთის ტახტს დავით არჩილის ძეს ეცილებოდა სოლომონ I-ის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. 1789 წელს ტახტისთვის ბრძოლაში დამარცხებული დავით გიორგის ძე ახალციხეში გაიქცა, მაგრამ შემდეგ იმერეთში ჯარით დაბრუნდა და სოლომონ II-ის დამარცხება შეძლო. სოლომონ II-ის დასახმარებლად ერეკლე II-მ იმერეთში 500 კაციანი რაზმი გააზავნა სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის, იოანე ბატონიშვილის მეთაურობით. იოანე ბატონიშვილმა ლოსიანთხევში არტილერიის მარჯვედ გამოყენებით დავით გიორგის ძე დაამარცხა და სოლომონ II კვლავ მეფე გახდა.

იოანე ბატონიშვილი კრწანისის ბრძოლის აქტიური მონაწილეა. 1795 წლის 10 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანი იაღლუჯის მიდამოებთან შეტევაზე გადმოვიდა. მისი მიზანი იყო, კუმისის ტბის გვერდის ავლით, შინდისისა და ტაბახმელას დაკავება. აქედან მტერი თელეთისა და თაბორის ქედის ფერდობებით კრწანისის ველზე უნდა გასულიყო. იოანე ბატონიშვილის

მონაწილეობა 10 სექტემბრის ბრძოლებში არ ჩანს. ამ დღეს იგი სორანდულთან არსებულ ვიწრო ადგილებში იყო ჩასაფრებული, საიდანაც ქართულმა ჯარმა, ალყაში მოხვედრის საფრთხის გამო, უკან დაიხია და თავდაცვის მარჯვენა ფლანგი გაამაგრა. მტერმა 10 სექტემბერს სერიოზული მარცხი იწვნია. 11 სექტემბერს ადრე დილით ალა-მაჰმად-ხანი კვლავ გადმოვიდა შეტევაზე. ერეკლე II-მ ქართველთა ჯარი ასე განაღობა. თავდაცვის მარჯვენა ფლანგს სარდლობდა დავით გიორგის ძე, რომელსაც ტაბახმელიდან სოლოლაკისაკენ შეტევაზე გადმოსული მტერი უნდა შეეჩერებინა. მარცხენა ფლანგს იოანე მუსრანბატონი სარდლობდა, რომელსაც სოღანდულის ვიწრობიდან კრწანისისაკენ შეტევაზე გადმოსული მტერი უნდა შეეჩერებინა. მეწინავე რაზმს, რომელიც მტერს კრწანისის ველზე პირველი უნდა შეგებებოდა, იოანე ბატონიშვილი სარდლობდა. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ქართველებმა უკან დაიხიეს. უშუალოდ ქალაქის სიახლოვეს იოანე ბატონიშვილი და ბიძამისი ვახტანგ ერეკლეს ძე ბატონიშვილი უთანასწორო ბრძოლაში ცდილობდნენ მტრის შეჩერებას. სწორედ ვახტანგმა და იოანემ იხსნეს ერეკლე გარდაუვალი სიკვდილის ან ტყვეობისაგან. მეფე ძალით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან.

2

1798 წლის იანვარში ერეკლე II გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა გიორგი XII. ძნელბედობის უამს იოანე ბატონიშვილი გვერდით ედგა მამას. 1798 წელს, ივნისში, მეფე გიორგიმ იოანე ბატონიშვილი **ფელდციხისმეისტერად** დანიშნა. ეს ნიშნავდა, რომ იოანეს არტილერიის უფროსობა ევალებოდა, თოფჩანი, ტყვია-წამალი, იარაღი, ასევე ოფიცრები და ჯარი იოანეს განკარგულებაში გადადიოდა. ამავე დროს მეფემ იოანეს ქსანი გადასცა საუფლისწულოდ. 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გეორგიევსკის ტრაქტატითა და შემდგომი მოლაპარაკებების პირობების დარღვევის გამო აღშფოთებული იყვნენ სამეფო სახლის წევრები. ამიტომ რუსეთის საიმპერატორო კარმა მათი თანდათანობითი და გეგმაზომიერი გადასახლება დაიწყო რუსეთში. რუსეთში პირველები

გაიწვიეს **იოანე ბაგრატი** და **მიხეილ** ბატონიშვილები. მათ საქართველო 1801 წლის 9 მარტს დატოვეს.

1801 წლის აპრილში რუსეთში ჩასულ იოანეს 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ერთი ეგზემპლარი გამოქვეყნებამდე ჩაუგდია ხელში. იოანე რუსეთში გადასახლებულ ტახტის მემკვიდრეს დავით გიორგის ძეს ურჩევდა იმპერატორისათვის ერის სახელით ეთხოვნა არ გაეუქმებინა მეფობა ქართლ-კახეთში. დავითისა და იოანეს მიწერ-მოწერას რუსი მოხელეები აკონტროლებდნენ, ამიტომ იყო, რომ იოანეს გეგმა ჩაიშალა.

იოანე ბატონიშვილი, ისევე როგორც მისი ძმები და ბაგრატიონთა უმეტესობა, რუსეთიდან საქართველოში აღარ დააბრუნეს, ხოლო იოანეს სასწრაფოდ მისი მეუღლის რუსეთში გაწვევა მოსთხოვეს. რუსეთში სამუდამოდ დარჩენილმა იოანე ბატონიშვილმა თავისი ნიჭი და ენერჯია მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებას მოახმარა.

იოანე ბატონიშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მედიცინის განვითარებაში. მან შეადგინა **სამედიცინო ლექსიკონი** სამ ენაზე: ქართულ, ფრანგულ და სპარსულ ენებზე. 1805-1820 წლებში იოანემ შეადგინა 274 გვერდიანი „**სამკურნალო წიგნი**,” სადაც ავადმყოფობათა აღწერის გარდა აღწერილია რეცეპტურა და წამლის მომზადების წესები.

რუსეთში ჩასვლისთანავე იოანე ბატონიშვილი შეუდგა რუსული, ლათინური, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების შესწავლას. სპარსული, თურქული, სომხური ენები მან საქართველოში შეისწავლა. ენების ცოდნა იოანეს დაეხმარა ქართულ ენაზე შეექმნა მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი, დაეწყო მთარგმნელობითი საქმიანობა. ჯერ კიდევ 1791 წელს, საქართველოში ყოფნისას, იოანემ სპარსულიდან თარგმნა **სეილანიანი („დიდი ფალაგნობის საქმენი“)**, სპარსული ხალხური **დასტანი (ამბავი)**. იოანემ შეადგინა ქართული ენის **შემოკლებული გრამატიკა**. იოანემ თარგმნა სამკურნალო კარაბადინი და თავადაც დაამატა ბევრი რამ. შეადგინა სამკურნალო მცენარეთა ლექსიკონი. იოანეს კარაბადინს წინასიტყვაობაც ჰქონია დართული. დადგენილია, რომ იოანე ბატონიშვილი სწავლული ექიმი იყო. იოანე

ბატონიშვილის “კალმასობაში” მოცემულია მედიცინისა და სამედიცინო ცოდნის დანიშნულების ახალი განსაზღვრება. ქართველი მეცნიერები და ექიმები ბევრს მუშაობდნენ და რუსული მედიცინის მიღწევებს ნერგავდნენ ქართულ მედიცინაში. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში მოღვაწე ქართველთა ჯგუფი, რომელსაც იოანე ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ჯგუფის წევრების და უშუალოდ იოანე ბატონიშვილის

3

მონაწილეობით შედგენილი და გადმოთარგმნილი ყოფილა სამედიცინო კრებულები, სადაც რუსეთის, აგრეთვე გერმანიის, ინგლისის, შვედეთის და ევროპის სხვა ქვეყანათა მედიცინის მონაპოვარიც შეუტანიათ.

იოანე არ იზიარებდა ვოლტერისა და მის მიმდევართა ფილოსოფიურ შეხედულებებს, იგი ღრმადმორწმუნე მართლმადიდებლად რჩებოდა. მიუხედავად ამისა, მას მაინც უთარგმნია ვოლტერის რამდენიმე ლექსი.

იოანე ბატონიშვილმა, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დავალებით, 1798 წელს აღწერა ქართლ-კახეთი. ნაშრომში 2300-მდე ტოპონიმი შეტანილი. ქართლ-კახეთის გარდა მას აღწერილი აქვს პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი. იოანე სხვადასხვა წიაღისეულს შორის მოიხსენიებს ნავთს (ნავთობს) „ნავთლუღის ჭალაში.“

იოანე ბატონიშვილს ისტორიულ ნაშრომებში, საქართველოს ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად, შეტანილი აქვს ქართველ თავადთა და აზნაურთა გვარების წარმომავლობა.

იოანე ხელოვანიც იყო. მას მუსიკალური განათლებაც ჰქონია მიღებული. გამოცემული აქვს „მუსიკალური სახელმძღვანელო,“ რომელშიც არჩევს მუსიკის თეორიის საკითხებს, განიხილავს ვოკალურ და ინსტრუმენტალურ ნიშნებს.

იოანე ბატონიშვილი მხატვარიც ყოფილა. სხვადასხვა ავტოგრაფიულ ნუსხაში მას ჩახატული ჰქონია კარიკატურები, თავსამკაულები, ფოთლოვან-

ყვავილოვანი გამოსახულები. იოანეს თავის ხელით შესრულებული ნახატი მიურომევი ალექსანდრე პირველისათვის.

იოანე ბატონიშვილი, ისევე როგორც მისი წინაპრების, ძმებისა და ოჯახის წევრების უმეტესობა, მწერალიც იყო. ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ აღმოაჩინა იოანე ბატონიშვილის ერთი ნაშრომი.

ნაშრომის ავტორისეული სათაური თვით ნაწარმოებში არ ჩანს. ამ ნაშრომს „კალმასობას“ უწოდებენ (კალმასობა ეკლესიისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგისა და სხვა შეწირულობების შეგროვებას ნიშნავს). თხზულება 1813 წლიდან 1828 წლამდე იწერებოდა. ერთგან იოანე თავის ნამოღვაწარს „ხუმარსწავლას“ უწოდებს, რადგან მისი მთავარი გმირი, იოანე ხელაშვილი, ხუმრობით, იუმორთან შეზავებით, კითხვა-პასუხის სახით, გადმოგვცემს უზარმაზარ ენციკლოპედიურ მასალას. ნაწარმოებში ბევრი საინტერესო ამბავი თუ მეცნიერული განმარტებაა მოცემული.

იოანე ბატონიშვილმა 1798 წლის მაისში მამას, გიორგი XII-ს, წარუდგინა ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო რეფორმების პროექტი – „სჯულება“. პროექტი, პირველ რიგში, იმ ეპოქის პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. იოანე ცვლილებების შეტანას გეგმავდა სამხედრო სფეროშიც, კერძოდ, ჯარის ორგანიზაციის საქმეში. იგი საჭიროდ თვლიდა რეგულარული

ჯარის შექმნას. იოანეს პროექტი სახელმწიფო ცხოვრების რეორგანიზებას ითვალისწინებდა ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, მაგრამ იგი ანგარიშს უწევდა ქართულ სინამდვილეს.

იოანე ბატონიშვილმა, როდესაც თავისი შედგენილი ქართული ენის გრამატიკა საქართველოში დასაბეჭდად გამოგზავნა, თანმხლებ წერილში გამოხატა დიდი სურვილი, რომ საქართველოში არ დაევიწყებინათ მისი

პიროვნება. იოანეს სწამდა, რომ მის ნაშრომებს „საქართველოს შინა
მოსწავლენი არა უგულებელს ჰყოფენ და ამით ვიქნები მათგან დაუვიწყებელ.“

იოანე ბატონიშვილი 1830 წლის 15 თებერვალს პეტერბურგში
გარდაიცვალა.

ალექსანდრე ბატონიშვილი

ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილმა (ბაგრატიონმა) მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას შესწირა. იგი თავისუფლებისათვის ბრძოლისა და შეურიგებლობის სიმბოლოდ იქცა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა განათლება სამეფო კარზე მიიღო. ერეკლე II ენერგიული და მტკიცე ხასიათის ალექსანდრეს ახალგაზრდობიდანვე მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს ანდობდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი ერევნისა და შუშის სახანოებს შეესია. 1795 წლის ივნისში ქართველთა ჯარმა ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით დაამარცხა ქართლ-კახეთის საზღვრებს მოახლოებული ირანელები. კრწანისის ბრძოლაში ალექსანდრემ მონაწილეობა ვერ მიიღო. იგი იმდენად მძიმედ იყო ავად, რომ თბილისიდან საკაცით გაიყვანეს.

1794 წელს ერეკლემ ალექსანდრეს საუფლისწულო მამული შულავერში მისცა. ამ დროისათვის ალექსანდრეს საუფლისწულო საკუთრებაში იყო: დაახლოებით 1100 კომლი გლეხი და აზნაური თბილისში, სამშვილდეში, ცხინვალში, ზემო დვალეთში, შულავერში, წინწყაროში, ნახიდურში, ყაზახის რამდენიმე სოფელში და სხვ. დედოფალი დარეჯანი და ტახტის მემკვიდრე გიორგი ეჭვით უყურებდნენ სამეფო კარზე ალექსანდრეს აქტიურობასა და მისი ავტორიტეტის ზრდას. ძმებს შორის დაპირისპირების პირველი ნიშნები აშკარა გახდა ერეკლე II-ის ავადმყოფობის პერიოდში (1798 წლის დეკემბერი – 1798 წლის იანვარი). ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ 1798 წლის 14 იანვარს ქართლ-კახეთის მოსახლეობამ გიორგი XII-ის ერთგულების ფიცი დასდო. ალექსანდრე ბატონიშვილი მარტო დარჩა ერთმანეთში მორიგებული გიორგი XII-ისა და დარეჯან დედოფლის პირისპირ. გიორგი XII-მ ალექსანდრეს ჩამოართვა საუფლისწულო მამულების უდიდესი ნაწილი და იგი თავის შვილებს გადასცა. შეურაცხყოფილი ალექსანდრე ბატონიშვილი თბილისიდან საუფლისწულო მამულ შულავერში გადავიდა და 1800 წლის ივნისში ირანში

გაემგზავრა. ირანში ალექსანდრე ბატონიშვილი დიდი პატივით მიიღო ირანის უფლისწულმა, ტახტის მემკვიდრემ აბას-მირზამ. ალექსანდრე აბას-მირზას უახლოესი მრჩეველი გახდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ირანში გადახვეწის მიზეზად სამეფო კარზე მისი შეღახული უფლებების აღდგენას ასახელებენ. ასეთი ასხნა საკითხის ძალზე გაუბრალოებაა. იყო უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი. ალექსანდრე ბატონიშვილი ვერ ეგუებოდა იმას, რომ ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს სადავეები რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა იგდეს ხელთ. რუსები გიორგი XII-ს აშინებდნენ დარეჯან დედოფალისა და ძმების მხრიდან მომდინარე საფრთხით და მოსალოდნელ დაპირისპირებაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი მიხვდა, რომ რუსები ქართლ-კახეთის სამეფოს გასაუქმებლად ემზადებოდნენ და მარჯვედ იყენებდნენ სამეფო კარზე არსებულ დაპირისპირებას. ქართლ-კახეთს ესაჭიროებოდა შორსმჭვრეტელი და ენერგიული მეფე. არც ერთი ეს თვისება გიორგი XII-ს არ გააჩნდა. იგი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას წინ ვერ აღუდგებოდა, პირიქით, მეფე თავისი უნიათობით აჩქარებდა მოახლოვებულ კატასტროფას. ამიტომ იყო, რომ რუსები არ დაუშვებდნენ გიორგი XII-ის ნაცვლად ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ენერგიული და შორსმჭვრეტელი მეფის ასვლას. ალექსანდრე რომ სამეფო კარზე დარჩენილიყო, სურდა თუ არა, ყოველივე იმის თანამონაწილე უნდა გამხდარიყო, რაც იქ ხდებოდა. ამიტომ ირანში ალექსანდრე ბატონიშვილის გადახვეწის მიზანი იყო არა პირადი წენა და სამეფო კარზე მისი უფლებების შეღახვა, არამედ ქართლ-კახეთის უუნარო და რუსეთის საიმპერატორო კარის ნების აღმასრულებელი სამეფო ხელისუფლების შეცვლა.

1800 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის სამეფოს ომარ-ხანი შემოესია. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 8 ნოემბერს ივრისპირეთში, **ნიახურას** ველზე. ომარ-ხანის ლაშქარში იმყოფებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი. სულ ომარ-ხანს ნიახურას ველზე 10 000 კაცი ჰყავდა, მათ შორის იყო ალექსანდრე ბატონიშვილის 1500 კაციანი რაზმი 6 ქვემეხით. არასწორია ცნობა იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ნიახურას ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილი

20000 კაციით მონაწილეობდა. ამოდენა ლაშქარი მთლიანად არ ჰყოლია ომარ-ხანს. ქართველთა და რუსთა გაერთიანებულ ლაშქარში 500-600 რუსი იბრძოდა. ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმში, გარდა მისი ერთგული ქართველებისა, კავკასიელი მთიელები და ყაზახ-ბორჩალოელი თათრებიც ირიცხებოდნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილი გიორგი XII-ის ტახტიდან გადასაყენებლად კი იბრძოდა, მაგრამ სამშობლოსათვის საზიანო და უღირსი ქმედებისაგან იგი ყოველთვის თავს იკავებდა. ასე მოხდა ნიახურას ველზეც. ალექსანდრე ელოდა, რომ ქართველთა და რუსთა გაერთიანებულ ლაშქარს მეფე უსარდლებდა. **გიორგი XII-ის დამარცხება, შეპყრობა და მისი ტახტიდან გადაყენება – აი ეს იყო ალექსანდრეს მიზანი.** მაგრამ გიორგი XII-ს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. ჯარს **ბაგრატ ბატონიშვილი** სარდლობდა. ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ნიახურას ბრძოლამ აზრი დაკარგა. ალექსანდრემ ომარ-ხანსა და სხვა ხანებს ურჩიათ გენერალური ბრძოლისათვის თავი აერიდებინათ, თავად კი თავისი რაზმი ზურგში გაიყვანა. ალექსანდრე ბატონიშვილის პასიურობა იყო ნიახურას ველზე ომარ-ხანის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი.

გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წლის დეკემბერი) შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ვითარება დაიძაბა. დედოფალი დარეჯანი და მისი მომხრე დიდებულები მხარს უჭერდნენ **იულონ ბატონიშვილის** გამეფებას. იულონის გამეფებას მხარს უჭერდა ალექსანდრე ბატონიშვილიც. აქედან კარგად ჩანს, რომ 1800 წელს ალექსანდრე გიორგი XII-ის ტახტიდან გადაყენებისათვის რომ იბრძოდა და პირადი ინტერესი არ ამოდრავებდა. ასე რომ ყოფილიყო, ალექსანდრე გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მეფობაზე პრეტენზიას განაცხადებდა. ბატონიშვილთა და დიდებულთა მეორე ნაწილს ტახტზე გიორგის ვაჟის **დავითის** აყვანა სურდა. რუსეთის საიმპერატორო კარს კი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმება, მაგრამ ამ გადაწყვეტილების თაობაზე თბილისში არაფერი იცოდნენ. ასეთ რთულ ვითარებაში ბატონიშვილები **იულონი, ალექსანდრე და ფარნავაზი** 1801 წლის 10 თებერვალს იმერეთში გაიქცნენ და სოლომონ II-ის დახმარებით ცდილობდნენ იულონის გამეფებას. სოლომონ II-მ იულონ ბატონიშვილს იმპერატორ ალექსანდრე I-ის წინაშე უშუამდგომლა, მაგრამ უშედეგოდ. როგორც

აღნიშნეთ, რუსეთის იმპერატორს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმება. 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე, რომელიც 1802 წლის 12 აპრილს თბილისში, სიონის ტაძარში, იქნა წაკითხული. 8 მაისს თბილისში რუსულმა მმართველობამ ფუნქციონირება დაიწყო.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ კახეთის თავადებისა და აზნაურების პროტესტი გამოიწვია. 1802 წლის ივლისში კახელმა თავადებმა ანდრონიკაშვილებმა, ჯანდიერებმა, ვაჩნაძეებმა და სხვებმა ასევე ქიზიყის მამასახლისებმა მოიწვიეს ბოდბელი მიტროპოლიტი **იოანე** და იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე დაიფიცეს. იულონის გამეფებას მხარს უჭერდა ირანში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენაზეც თანახმა იყო. ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრე კახელი თავადებისა და აზნაურების ნაწილი ფარულად გადავიდა ჭარ-ბელაქანის ტერიტორიაზე, რათა ალექსანდრეს შეერთებოდა. ჭარ-ბელაქანის ტერიტორიაზე შეადგინა **თეიმურაზ ერეკლეს ძემ** და ალექსანდრე ბატონიშვილს შეუერთდა. ზოგიერთი ცნობით ამ დროისათვის ალექსანდრე ბატონიშვილმა 12000 კაცს მოუყარა თავი. რუსები შეშინდნენ და 1803 წლის გაზაფხულზე ჭარ-ბელაქანში დიდი სამხედრო ექსპედიცია გაგზავნეს არტილერიის თანხლებით. ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები დამარცხდნენ და რუსებთან ბრძოლის გაგრძელებას თავი აარიდეს.

1803 წლის გაზაფხულზე ჭარ-ბელაქანში რუსეთის ჯარების შეჭრით რუსეთსა და ირანს შორის ომი დაიწყო. ეს ომი ოფიციალურად 1804 წელს გამოცხადდა და 1813 წლამდე გრძელდებოდა. ირანის ჯარს ტახტის მემკვიდრე **აბას-მირზა** სარდლობდა. აბას-მირზას უახლოესი მრჩეველები იყვნენ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები. ალექსანდრემ და თეიმურაზმა ქართლსა და კახეთში მოწოდებები გაგზავნეს და მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდეს.

1804 წლის მაისში ქართლის მთიანეთში რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებთან კავშირი დაამყარა ალექსანდრე

ბატონიშვილმა და ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა რუსებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ქართველებისათვის. 1804 წლის ზაფხულში აბას-მირზა ერევნისაკენ დაიძრა. მას თან ახლდნენ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები. 1804 წლის 18 ივლისს ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმმა სასტიკად დაამარცხა რუსთა რაზმი, რომელიც ბამბაკის ასაკლებად გამოგზავნა სარდლობამ. რუსეთ-ირანის ომში (1804-1813 წწ.) ალექსანდრე ბატონიშვილი დიდი შემართებით იბრძოდა მდ. არაქსის სანაპიროზე, ხუდიფირის, ოსქორანის, შაჰბულახის, მუსრტის მიდამოებში.

რუსეთ-ირანის ომის პერიოდში ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებმა სცადეს კავშირი დაემყარებინათ ნაპოლეონთან, რათა საფრანგეთთან ერთად ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ქართველმა ბატონიშვილებმა საწადელს ვერ მიაღწიეს – საფრანგეთის მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. ტილზიტის ზავის (1807 წ.) შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ საფრანგეთის დახმარება კიდევ უფრო უიმედო გახდა. გულგატეხილმა თეიმურაზ ბატონიშვილმა 1810 წლის შემოდგომაზე, ახალქალაქთან ირანის არმიის მარცხის შემდეგ, ბიძამისი ალექსანდრე ირანელთა ბანაკში დატოვა, თვითონ კი რუსებს ჩაბარდა. თეიმურაზის ირანელთა ბანაკიდან წასვლის შემდეგ ალექსანდრეს მხარში ედგა ლევან იულონის ძე ბატონიშვილი. ლევანი ქართლ-კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილის შემოსასვლელად ამზადებდა ნიადაგს. იგი 1810 წელს ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ხელმოწერილ მოწოდებებს ავრცელებდა ქართლსა და მთიულეთში. ლევან ბატონიშვილმა შიდა ქართლში სამხედრო ძალის ორგანიზებაც დაიწყო. რუსებმა მის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნეს. ლევან ბატონიშვილის შეპყრობის მიზნით მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა ჯილდოდ 5000 მანეთი დააწესა. 1811 წელს ალექსანდრეს დავალებით ლევანი ისევ ავრცელებდა მოწოდებებს, ჰქმნიდა რაზმებს და აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას. რუსთაგან შევიწროვებული ლევან ბატონიშვილი 1811 წელს ქართლიდან იმერეთში გადავიდა, ხოლო იმერეთიდან ახალციხის ფაშასთან გაემგზავრა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგული თანამებრძოლი მღვდელი **ზებედე შატბერაშვილი**. მღვდელი ზებედე 1812 წელს, კახეთის აჯანყების დროს, სამშობლოში დაბრუნებულ ალექსანდრე ბატონიშვილს მანგლისის მიდამოებში მიეგება. აჯანყების დამარცხების შემდეგ ზებედე ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრე სამ მღვდელთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. ერისკაცთაგან განსხვავებით არც ერთი მათგანი არ შეუწყალებიათ. მღვდელი ზებედე ციმბირში გარდაიცვალა.

ალექსანდრე ბატონიშვილს საფრანგეთის დახმარების იმედი გადაეწურა. მოულოდნელად დაიღუპა ლევან ბატონიშვილი. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე ბრძოლას არ წყვეტდა. მთელ იმედებს იგი ირანსა და ჩრდილო კავკასიის მთიელებზე ამყარებდა. კახეთში ხმა გავრცელდა, ალექსანდრე ბატონიშვილი რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებო. ამ ხმების მიხედვით, ბატონიშვილი თავისი ჯარით ქვემო ქართლში სოფელ დილომისა და სოფელ ავჭალის მიდამოებში უნდა გამოჩენილიყო. ხმებმა ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენის თაობაზე 1812 წლის დამდეგს კახეთში მიმდინარე აჯანყების ახალი აღმავლობა გამოიწვია. რუსები ემზადებოდნენ შეამბოხებინათ ბატონიშვილის დასახვედრად.

1812 წლის 6 სექტემბერს ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი რაზმით (1000 მებრძოლით) მტკვარი გადალახა და სოფ. კავთისხევში შეჩერდა. მას ბევრი თანამოაზრე შეუერთდა. კავთისხევიდან ალექსანდრე თიანეთისაკენ გაემართა, სადაც მრავალი თანამოაზრე ელოდა. 1812 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქარსა და რუსეთის რეგულარულ ჯარებს შორის სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა. ქართველებთან ერთად რუსებს ებრძოდნენ ალექსანდრეს ჯარში მყოფი ჩრდილო კავკასიელებიც. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა სოფელ **შილდასთან** (1812 წლის 10 ოქტომბერს) და სოფელ **ენისელთან** (1812 წლის 12 ოქტომბერს). რეგულარულ არმიასთან ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ. ამის შემდეგ, 1812 წლის 20 ნოემბერს ალექსანდრე ბატონიშვილმა ალყა შემოარტყა **სიდნაღს**, მაგრამ დამარცხდა, უკან დაიხია და სოფელ ჩალაუბნის გავლით, სოფელ კაკაბეთში მივიდა. კაკაბეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილი სოფელ მანავისკენ გაემართა. ამ დროისათვის მის

ლაშქარში 8000 მეზობელი იყო. 1812 წლის 26 ნოემბერს მანავთან უთანასწორო ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილი დამარცხდა.

კახეთში დამარცხებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა მთებს შეაფარა თავი. 1812 წლის დეკემბერში იგი უკანა ფშავში იმყოფებოდა, საიდანაც შატილში გადავიდა. შატილში ბატონიშვილი ბობღია ჭინჭარაულის კოშკში ცხოვრობდა. რუსები ცდილობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი ტყვედ აეყვანათ ან მოეკლათ. 1813 წლის გაზაფხულზე რუსების რეგულარული არმიის კოლონა ხევსურეთისაკენ დაიძრა. 30 მაისს რუსები უკვე ხევსურეთში იყვნენ. რუსებმა არტილერიის გამოყენებით მიწასთან გაასწორესმრავალი სოფელი, მათ შორის შატილიც. ბოლო ბრძოლები სწორედ შატილთან გაიმართა. ხევსურებმა ბოლომდე უერთგულეს ალექსანდრე ბატონიშვილს და იგი ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიყვანეს. 1813 წლის ივნისის დამდეგს ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე ჩეხნეთში იყო.

ალექსანდრე ბატონიშვილი ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. 1813 წელს რუსეთსა და ირანს შორის გიულისტანში დადებული ზავის შემდეგ მუამბოხე ბატონიშვილს ირანის დახმარების იმედი გადაეწურა – დამარცხებული ირანი მოკავშირედ ვეღარ გამოდგებოდა. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე ბატონიშვილი ბრძოლას არ წყვეტდა. რუსეთის საიმპერატორო კარი ცდილობდა ალექსანდრეს შემორიგებას, რათა შემდგომში იგი რუსეთში გადაესახლებინათ. ალექსანდრე შერიგებას არ დასთანხმდა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. 1826 წელს, რუსეთ-ირანის ომის დაწყების შემდეგ, ალექსანდრეს იმედის ნაპერწკალი ჩაესახა. 1826 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი თავრიზში აბას-მირზას შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ბატონიშვილი საქართველოს საზღვრებისკენ გამოემართა. 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომი ისევ რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ალექსანდრე ბატონიშვილის გეგმები კვლავ განუხორციელებელი დარჩა.

რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლამ ალექსანდრე ბატონიშვილს დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა მთელს საქართველოში. ამაზე მეტყველებს ის, რომ

1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორები, მას რუსთაგან განთავისუფლებული საქართველოს მეფედ განიხილავდნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილი 1844 წელს, სამშობლოდან შორს, ირანში გარდაიცვალა. პოლიტიკურ ასპარეზზე მარცხის მიუხედავად იგი საქართველოს ისტორიაში თავისუფლებისათვის მებრძოლის ეტალონად რჩება.

1832 წლის შეთქმულება

XIX საუკუნის დამდეგს დაწყებული ეროვნული მოძრაობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება. ამასთან, იგი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის **თვისობრივად ახალი საფეხური იყო**. XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებები წარმოადგენდა ქართველი ერის გმირულ ბრძოლას რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ეს აჯანყებები თავისი ხასიათით **სტიქიური და ლოკალური იყო**. აჯანყებულებს არ ჰქონიათ წინასწარ შემუშავებული პროგრამა, თუმცა ყველა აჯანყებულს ამოძრავებდა საერთო იდეა – **სამშობლოს განთავისუფლება**.

1832 წლის შეთქმულებას წინა ეპოქის ეროვნული აჯანყებებისაგან სულ მცირე სამი ნიშანი განასხვავებდა: **პირველი**. შეთქმულება არ იყო სტიქიური მოვლენა, იგი დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგს წარმოადგენდა; **მეორე**. შეთქმულება არ იყო ლოკალური, იგი საერთო-ქართულ მოვლენად უნდა აღვიქვათ; **მესამე**. შეთქმულებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს პროგრამის შემუშავებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით. ყველა საპროგრამო საკითხზე შეთქმულების მონაწილენი ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ამ ეტაპზე ეს მოულოდნელი არ იყო.

XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებების მარცხმა და ქართველ ერზე თავსდატყვილმა რეპრესიებმა გარკვეული დიდი დაასვა ქართველ საზოგადოებას. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები რუსეთში, ძირითადად პეტერბურგსა და მოსკოვში, იყვნენ გადასახლებულნი. ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, სამეფო სახლის წევრებს რაც შეიძლება ნაკლები კავშირი ჰქონოდათ სამშობლოსთან. აჯანყებების მონაწილე ქართველი არისტოკრატის წარმომადგენლები მკაცრად იქნენ დასჯილნი. აუტანელი პირობები შეუქმნეს ყველას, ვინც რუსეთის ხელისუფლებისადმი ოპოზიციური განწყობით გამოირ ეოდა. ამავე დროს წაახალისეს ქართველი არისტოკრატის ის ნაწილი, რომელიც აჯანყებების პერიოდში რუსეთის მხარეზე დადგა, წაახალისეს რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილნიც. **XIX საუკუნის 20-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ქართული არისტოკრატის ის თაობა, რომლის შეგნებული ცხოვრება რუსეთის ბატონობის პირობებში დაიწყო**. ეს თაობა, წინა თაობისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის ბატონობისადმი. ძველი არისტოკრატის ანტირუსული მისწრაფებების დათრგუნვას ხელისუფლება ამ თაობაზე დაყრდნობით აპირებდა. სწორედ ამიტომ

უხსნიდა მას გზას სასწავლებლებში, სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში. ცხადია, ქართველი არისტოკრატის ახალ თაობაში საკმაოდ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რუსეთის ბატონობასთან შერიგებას არ აპირებდნენ და არანაირ სამსახურებრივ კარიერას და პირად კეთილდღეობას სამშობლოს თავისუფლების იდეას არ ანაცვალებდნენ. მაგრამ ქართველ საზოგადოებაში მაინც იმძლავრა რუსეთის ბატონობასთან შერიგების იდეამ. ცოტა მოგვიანებით ეს განწყობილება ასე გამოხატა ივანე აფხაზმა: „აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარი მამულისათვის. ცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოუკელოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენ. ანგარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგა პატიოსნება; გარნა ნუ გგონია, რომელ ეს იყო ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათი წლის მორჩილებისა“.

ასეთ ვითარებაში ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება, ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია პეტერბურგსა და მოსკოვში იწყება. ეროვნული მოძრაობისათვის იდეის მიმცემი ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლები იყვნენ. მათვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ამ იდეის განხორციელების მიზნით. რუსეთში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირ ეოდა დავით გიორგის ძე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – ფარნაოზ ერეკლეს ძე, დიმიტრი იულონის ძე და ოქროპირ გიორგის ძე. ბატონიშვილების ოჯახები პეტერბურგსა და მოსკოვში ქართველი საზოგადოების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. აქ გამართულ შეკრებებზე უმთავრესად სამშობლოს მომავალზე ბჭობდნენ.

ცხადია, ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო ქართველი ბატონიშვილების ოჯახებში არსებული განწყობილება. ეს კი ბატონიშვილებს და მათ ოჯახებში შეკრებილთ სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა. სწორედ ამიტომ 1825 წელს პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით ყალიბდება პირველი საიდუმლო ორგანიზაცია (წრე). ამ წრის წევრები იყვნენ ფარნაოზ ბატონიშვილი, დიმიტრი ერისთავი, გიორგი ერისთავი, ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დავით ჯორჯაძე, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი და სხვები. პეტერბურგის წევრები მსჯელობდნენ, თუ როგორ უნდა ეშველათ სამშობლოსათვის. წრე მარტო მსჯელობით არ იფარგლებოდა. განზრახული იყო პრაქტიკული მოქმედების დაწყება.

მაგალითად, პეტერბურგიდან საქართველოში მომავალ ელიზბარ ერისთავს დიმიტრი ბატონიშვილმა ასეთი დარიგება მისცა: „თქვენ, ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ შეადგინოთ საზოგადოება, მიიმხროთ ხალხი, რათა იმოქმედოთ და სამშობლო გაანთავისუფლოთ“.

1826 წელს მოსკოვში **ოქროპირ ბატონიშვილის** ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მეორე საიდუმლო ორგანიზაცია (წრე). ამ წრის აქტიური წევრები იყვნენ: **დავით ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი** და სხვები. პეტერბურგის წრეშიც მსჯელობდნენ სამშობლოს ხსნის გზებზე. წრე სოლომონ დოდაშვილის მეშვეობით ცდილობდა კავშირის დამყარებას საქართველოსთან პრაქტიკული მოქმედების დაწყების მიზნით.

მალე ტფილისში იქმნება შეთქმულთა ძლიერი ორგანიზაცია. 1827-1829 წლებში რუსეთიდან შეთქმულების ცენტრის ტფილისში გადმოტანაში დიდი როლი შეასრულეს: **ელიზბარ ერისთავმა, სოლომონ დოდაშვილმა, ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა, ოქროპირ ბატონიშვილმა, თამარ ბატონიშვილმა**. ტფილისში შეთქმულთა ორგანიზაციას შეუერთდნენ: **ალექსანდრე ჭავჭავაძე, ზაქარია ჩოლოყაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, მამუკა ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ფილადელფოს კიკნაძე** და სხვები. ტფილისის ორგანიზაციაში 1830-1832 წლებში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ: **ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი** და **სოლომონ დოდაშვილი**.

ტფილისის გარდა შეთქმულებმა მუშაობა გაშალეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. განსაკუთრებით ბევრი მიმდევრები ჰყავდათ მათ ქართლში, კახეთში, იმერეთში. შეთქმულებს თანაუგრძობდა სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე **დავით დადიანი**, ასევე აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე **კონსტანტინე შერვაშიძე**.

შეთქმულები მიზნად ისახავდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში აებათ მთელი კავკასია. ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავდა: „შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა“.

შეთქმულები ცდილობდნენ დაეცვათ კონსპირაცია. მათ შემუშავებული ჰქონდათ ფარული მიმოწერის ხერხები, იყენებდნენ საიდუმლო ანბანს და სხვ. 1830 წელს შეუდგენიათ ფარული ორგანიზაციის წესდება სახელწოდებით **„აქტი გონიური“**.

წესდებამ მცირედენი ცვლილებები განიცადა 1832 წელს. 1832 წელს მოხდა ფარული საზოგადოების წევრთა დაფიცება „აქტი გონიურის“ ერთგულებაზე.

„აქტი გონიური“ განსაზღვრავდა ფარული საზოგადოების წევრად მიღების პირობებს, წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს. „აქტი გონიური“ მოითხოვდა საიდუმლოების დაცვას. ამ მიმართებით საინტერესოა სიტყვები, რომელიც ოქროპირ ბატონიშვილმა აღექსანდრე ორბელიანს უთხრა: შეთქმულებაზე **„ორ კაცს ერთად ნუ ელაპარაკებო“**. შეთქმულთა ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთი მუხლი აფრთხილებდა მის წევრებს, რომ მათ რიგებში არ შეპარულიყვნენ საეჭვო პირები და „გაუნათლებელი“ ელემენტები.

1831 წელს აღექსანდრე ორბელიანმა, ელიზბარ ერისთავმა და გიორგი ერისთავმა ერთ-ერთ შეთქმულს, თავად თ. ლორთქიფანიძეს შეუდგინეს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედა შეთქმულთა წრის გაფართოების მიზნით იმერეთში. ამ ინსტრუქციით თ. ლორთქიფანიძეს ევალებოდა გაერკვია იმერეთის საზოგადოების დამოკიდებულება ნიკოლოზ I-ის რუსეთისადმი.

შეთქმულთა ორგანიზაციის წესდებას, ცხადია, ჰქონდა ნაკლი. ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ შეთქმულების შესახებ ძალიან ბევრმა ადამიანმა იცოდა, რაც ზრდიდა ჩავარდნის საფრთხეს. 1832 წლის შეთქმულების უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა იყო – **„საქართველო ქართველებისათვის“**, ანუ საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან. შეთქმულებმა ვერ მოასწრეს თავიანთი პროგრამისათვის საბოლოო, დასრულებული სახის მიცემა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას იძლევა აღვადგინოთ შეთქმულთა ძირითადი საპროგრამო მოთხოვნები.

შეთქმულთა საპროგრამო მოთხოვნები პირველად მოიხაზა მის მონაწილეთა ნაწერებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ფილადელფოს კიკნაძის **„მამულის სიყვარული“**, რომელიც 1829 წელსაა დაწერილი. შეთქმულთა პროგრამის შესახებ ცალკეულ ცნობებს ვპოულობთ შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ დანიშნული გამოძიების მასალებში. ცხადია, დაპატიმრებულები მაქსიმალურად ეცდებოდნენ გამოძიებისათვის დაემალათ ყველაფერი, რაც სასჯელს დაამძიმებდა, მაგრამ მათ ჩვენებებში მაინც ბევრი საინტერესო მასალაა დაცული.

შეთქმულები ღრმა და სერიოზული განათლების მქონე ადამიანები იყვნენ. იმ დროისათვის საუკეთესო განათლება ჰქონდათ მიღებული რუსეთში მცხოვრებ ქართველ

ბატონიშვილებს. შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა დიდი ტრადიციების მქონე ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებში იყო აღზრდილი. მათთვის უცხო არ იყო დასავლური და რუსული კულტურა, მწერლობა და ხელოვნების სხვადასხვა დარგები, ფილოსოფიის, ისტორიის და სამართლის მეცნიერებათა მიღწევები. შეთქმულები კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების მიმდინარეობებს, მაგალითად, ფრანგულ განმანათლებლობას. რაც მთავარია, მათ შესანიშნავად ჰქონდათ გააზრებული საქართველოს წარსული და ბოლომდე აცნობიერებდნენ სამშობლოს წინაშე მდგარ დიდ საფრთხეს.

შეთქმულთა პროგრამიდან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საკითხი. ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებ შეთქმულების მონაწილეებს სერიოზული მსჯელობა ჰქონდათ.

შეთქმულებს ხანგრძლივი მსჯელობა ჰქონდათ რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების გზების შესახებ. შეთქმულთა ერთი ნაწილი, რომელთა აზრს გამოხატავდა გენერალი **ივანე აფხაზი**, თვლიდა, რომ ას წელზე ადრე არ შეიძლებოდა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის საკითხის დასმა. ასი წლის მანძილზე საქართველო გაძლიერდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა დამოუკიდებლობის აღდგენის დრო. სხვანაირად საქართველო იქცეოდა სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის ობიექტად. შეთქმულთა მეორე ნაწილი, რომელთა აზრს **გრიგოლ ორბელიანი** გამოხატავდა, შესაძლებლად მიიჩნევდა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას. მათი აზრით ქართველი ერი მზად იყო არა მარტო დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, არამედ მისი შენარჩუნებისათვისაც, კერძოდ, გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვისათვის. შეთქმულთა მესამე ნაწილი, რომელთა აზრს **ალექსანდრე ორბელიანი** გამოხატავდა, მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერატორი უნდა დაერწმუნებინათ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს შექმნის კანონიერებასა და სარგებლიანობაში.

ამდენად, შეთქმულთა ერთი ნაწილი შეგუებული იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ძალზე შორეულ მომავალს უკავშირებდა. მეორე ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მომხრე იყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და შენარჩუნება რეალურად ესახებოდა. მესამე ნაწილი ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო მშვიდობიანი გზით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს შექმნა.

შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა **ქართულ არისტოკრატიას** ეკუთვნოდა. ცხადია, არისტოკრატიასა და გლეხობას შორის არსებობდა გარკვეული დაპირისპირება და წინააღმდეგობა, მაგრამ სამშობლოს მიძიმე მდგომარეობა ქართველი ერის სხვადასხვა წოდებასა და სოციალურ ფენას ხშირად ერთი მიზნისათვის რაზმავდა. ასე მოხდა ამჯერადაც. რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყების შემთხვევაში შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ **გლეხობის** ჩაბმა აჯანყებაში. ფიქრობდნენ **ტფილისელი ხელოსნების** მიმხრობასაც.

შეთქმულები, ცხადია, თავიდანვე ეძიებდნენ მოკავშირე ძალას. რუსეთის იმპერიის შიგნით ასეთ ძალად ისინი მიიჩნევდნენ **პოლონელებს**. 1830-1831 წლებში პოლონეთში რუსეთის წინააღმდეგ დიდი ეროვნული აჯანყება მიმდინარეობდა და ბუნებრივია, ქართველები პოლონეთის აჯანყების გამოყენებას ცდილობდნენ. შეთქმულები მოკავშირეს ხედავდნენ **ჩენებსა და დაღესტნელებშიც**. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს რუსეთის წინააღმდეგ აქაც დიდი მოძრაობა იყო გაჩაღებული.

სახელმწიფოთაგან შეთქმულებს საფრანგეთისა და ინგლისის დახმარების იმედი ჰქონდათ. ოსმალეთისა და სპარსეთის პოზიცია შეთქმულთათვის ცნობილი იყო – ეს ქვეყნები ვერ ურიგდებოდნენ რუსეთის გაბატონებას ამიერკავკასიაში. მიუხედავად ამისა, **ოსმალეთსა და სპარსეთზე შეთქმულები იმედს არ ამყარებდნენ**. ეს განპირობებული იყო XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებების გამოცდილებით. არც სპარსეთმა და არც ოსმალეთმა რეალური დახმარება რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ ერს არ აღმოუ ინა. სპარსეთის ხელისუფლებისაგან რამდენჯერმე მწარედ მოტყუებული დარ ა ალექსანდრე ბატონიშვილი. გარდა ამისა, XIX საუკუნის პირველ მესამედში ოსმალეთმა და სპარსეთმა რუსეთთან წარმოებულ ომებში სერიოზული მარცხი იწვნის და აღიარეს რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში. **სპარსეთში მეოფე ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირი არ ნიშნავს იმას, რომ შეთქმულები სპარსეთის დახმარებაზე ამყარებდნენ იმედს.**

საქართველოს მომავალი სახელმწიფო წყობილების განსაზღვრისას შეთქმულებაში ერთსულოვნება არ ყოფილა. ძირითადად გამოიკვეთა სახელმწიფო წყობილების სამი ფორმა: **მონარქია, კონსტიტუციური მონარქია (შეზღუდული მონარქია) და რესპუბლიკა**. მხარს უჭერდნენ ძირითადად ბატონიშვილები. ცხადია, ისინი მიესწრაფოდნენ ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენას. ბატონიშვილებს თანაუგრძნობდა არისტოკრატის (თავადების) ნაწილი. მონარქიის აღდგენის შემთხვევაში უნდა აღდგენილიყო ერთიანი ქართული სამეფოც. შეთქმულებს ასე ჰქონდათ წარმოდგენილი. უნდა შექმნილიყო

ორპალატიანი სეიმი მეფით სათავეში. ამ შემთხვევაში ძალაუფლების გაყოფა ხდებოდა მეფესა და სეიმს შორის. თავდაპირველად სახელმწიფო წყობილების ამ ფორმამ მხარდაჭერა პოვა. შემდეგში შეთქმულებმა აზრი შეიცვალეს. სეიმის იდეა პოლონეთიდან იყო გადმოღებული, სადაც მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გადადიოდა, მეფეს სეიმი ირჩევდა. საქართველოში მეფის არჩევითობა, შეთქმულთა უმრავლესობის აზრით, დაუშვებელი იყო. კონსტიტუციური მონარქიის მეორე პროექტის მიხედვით, რომელიც 1832 წელს ელიზბარ და გიორგი ერისთავებმა შეიმუშავეს, უნდა ჩამოყალიბებულიყო **ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატის თავმჯდომარედ იქნებოდა მეფე, წევრები კი – მინისტრები. ქვედა პალატაში დეპუტატები იქნებოდნენ წარმოდგენილნი.** მეფე-მონარქი ამ შემთხვევაში სამემკვიდრეო უფლებას ინარჩუნებდა. **რესპუბლიკური წყობილების** მომხრე, უფრო ზუსტად, მონარქიული წყობილების მოწინააღმდეგე, იყო **სოლომონ დოდაშვილი.** კონკრეტულად სოლომონ დოდაშვილის პროექტის შესახებ არაფერია ცნობილი. საქართველოს მომავალი სახელმწიფო წყობილების შესახებ 1831 წელს საინტერესო აზრი გამოუთქვამს **ელიზბარ ერისთავს.** მას საქართველოსათვის სანიმუშოდ მიუჩნევია **შვეიცარიაში** არსებული სახელმწიფო სისტემა. სახელმწიფო წყობილების შესახებ უთანხმოების მიუხედავად უნდა ვივარაუდოთ, რომ შეთქმულთა უმრავლესობა 1832 წლის დასასრულისათვის **კონსტიტუციურ მონარქიას** უჭერდა მხარს. შეთქმულები მეფედ **ალექსანდრე ბატონიშვილის** მოწვევას გეგმავდნენ. შერჩეული იყო მინისტრთა კანდიდატებიც: **ალექსანდრე ჭავჭავაძე** (სამხედრო მინისტრი), **ნიკოლოზ ფალავანდიშვილი** (ფინანსთა მინისტრი), **კონსტანტინე მუხრანბატონი** (იუსტიციის მინისტრი), **იაგორ ჭილაშვილი** (შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ გარდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მინისტრობის არც ერთმა კანდიდატმა შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა. სავსებით არ იყო მოულოდნელი, რომ შეთქმულთა შორის ყველაზე ცოტა მომხრე რესპუბლიკურ წყობილებას აღმოაჩნდა. არც ისაა გასაკვირი, რომ მომხრეები ვერ შეიძინა შვეიცარიის მსგავსი სახელმწიფოს აგების ფორმამ. სახელმწიფო წყობილების ეს ფორმები შეთქმულთა გეგმის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში იმხანად ვერ დაინერგებოდა. სავსებით გასაგები იყო, რომ შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა მონარქიასა და კონსტიტუციურ (შეზღუდულ) მონარქიას შორის ცდილობდა არჩევანის გაკეთებას. **მონარქიული წყობილების მხარდაჭერით შეთქმულების ტრადიციულ ქართულ სახელმწიფო წყობილებას უჭერდნენ მხარს.** მონარქიული წყობილების აღდგენა მათთვის პრაქტიკულად უფრო ადვილი იქნებოდა. **კონსტიტუციური (შეზღუდული) მონარქიის** შექმნის იდეის

წარმოშობა ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების მაკენებელი იყო. იგი ძველი, ტრადიციული სახელმწიფო მმართველობისა და ახლის შერწყმის ცდად უნდა მივიჩნიოთ.

აჯანყების დაწყებისათვის შეთქმულები დროს საგანგებოდ არჩევდნენ. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების ყველაზე მოხერხებულ დროდ პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყება მიიჩნიეს. თუ რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული პოლონეთის აჯანყება წარმატებით განვითარდებოდა, შეთქმულებს შემდეგნაირად უნდა ემოქმედათ: უნდა მიემხროთ რუსეთის ჯარის ერთი პოლკი, კერძოდ, **ქართველ გრენადერთა პოლკი** და მისი საშუალებით ხელთ ეგდოთ ხაზინა. შეთქმულების მონაწილე ყველა თავადს თავისი ლაშქარი უნდა გამოეყვანა. ეს ლაშქარი ორ ნაწილად უნდა გაეყოთ და **არსენალი** და **ციხე** დაეკავებინათ. ტფილისში წარმატების შემდეგ უნდა დაწყებულიყო აჯანყება მთელ საქართველოში. აჯანყებულებს ხელთ უნდა ეგდოთ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები და განვიარალებინათ რუსეთის ჯარები. დახმარების მიღების მიზნით გათვალისწინებული იყო კავშირის დამყარება უცხო ქვეყნებთან. შეთქმულნი ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდნენ ქართული რევოლუციური არმიის შექმნას. ამ გეგმის განხორციელების დაწყება ჩაშალა 1831 წლის სექტემბრისათვის პოლონეთის აჯანყების დამარცხებამ. აჯანყებისათვის მზადება 1832 წელს გამოცოცხლდა. 1832 წელს რუსეთს მდგომარეობა გაურთულდა ჩრდილო კავკასიაში და საქართველოს მთავარმართებელი **როზენი** რუსეთის ჯარით იქ გაემგზავრა. ჩენები და დაღესტნელები **ყაზი-მოლას** წინამძღოლობით მედგრად ებრძოდნენ რუსეთის ჯარებს. ტფილისიდან რუსეთის ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩრდილო კავკასიაში გაყვანა შეთქმულებმა აჯანყების დაწყებისათვის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს. შეთქმულებს იმედი გაუტრუფდათ. რუსებმა ყაზი-მოლა დაამარცხეს და 1832 წლის 23 ნოემბერს რუსეთის ჯარების ძირითადი ნაწილი ტფილისში დაბრუნდა.

1832 წლის ნოემბერში შეთქმულებმა შეიმუშავეს ახალი გეგმა. ამ გეგმას „**პირველი ღამის განკარგულება**“ უწოდეს. „პირველი ღამის განკარგულების“ შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ **დავით ერისთავი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი, იასე ფალავანდიშვილი** და სხვები. „პირველი ღამის განკარგულების“ წერა დაიწყო 1832 წლის 10 ნოემბერს. შემდეგ იგი ივსებოდა და საბოლოო სახე მიიღო 23 ნოემბერს. „პირველი ღამის განკარგულება“ ითვალისწინებდა შემდეგს: აჯანყებულებს უნდა დაეკავებინათ ციხე და განვიარალებინათ ტფილისსა და მის გარეუბნებში მდგარი რუსეთის ჯარები. ამისათვის თავიანთი გლეხებისაგან სპეციალურ შეიარაღებულ რაზმებს ამზადებდნენ **ელიზბარ ერისთავი, დავით**

ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი თუმანიშვილი და სხვები. მათვე უნდა დაეკავებინათ სურსათის საწყობები და სხვა სტრატეგიული ადგილები. შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების (დაახლოებით 500 კაცი) გამოყენება, ასევე ტფილისელი ხელოსნების ჩაბმა აჯანყებაში. შეთქმულთა ერთ ნაწილს ევალებოდა ტფილისში, თათრის მოედანზე, ღვთიმსშობლის ხატებით ხელში ხალხის გამოყვანა. აჯანყების გეგმა ითვალისწინებდა შეთქმულების მოწინააღმდეგეთა და მოღალატეთა მკაცრად დასჯას.

ცხადია „პირველი ღამის განკარგულებას“ ჰქონდა სერიოზული ნაკლი. მათგან უმთავრესი ის იყო, რომ ტფილისში განლაგებული რუსეთის ჯარების განიარაღება და დამარცხება ადვილი საქმე არ იყო. შეთქმულებს ამის ძალები აშკარად არ გააჩნდათ. არც ხალხის ქუჩაში გამოყვანა იყო ადვილი.

შეთქმულებმა აჯანყების დაწყების დრო რამდენჯერმე შეცვალეს. განზრახული იყო აჯანყების დაწყება 1832 წლის 20 ნოემბერს. შეთქმულთა გეგმით ამ დღეს **ლუარსაბ ორბელიანის** სახლში უნდა გამართულიყო მეჯლისი, სადაც მოიწვევდნენ საქართველოს მთავარმართებელს, მაღალი რიგის სამხედრო და სამოქალაქო პირებს. ღამის პირველ საათზე დაიწყებოდა „პირველი ღამის განკარგულების“ განხორციელება. უნდა დაეპატიმრებინათ ბანკეტზე მყოფი რუსი მოხელეები, რაც შეთქმულთა აზრით გააადვილებდა რუსეთის ჯარის განიარაღებას. მოგვიანებით აჯანყება 1832 წლის 6 დეკემბრისათვის დანიშნეს, მაღე კი 20 დეკემბრისათვის გადადეს. აჯანყების გადადება ამ შემთხვევაში გამოიწვია იმან, რომ 6 დეკემბრისათვის დანიშნული ქართველი თავადაზნაურობის შეკრება ხელისუფლებამ 20 დეკემბრისათვის გადადო. 20 დეკემბრამდე შეთქმულებს აღარ დასცალდათ.

1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულების ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ თავადმა იესე ფალავანდიშვილმა შეთქმულები გასცა. შეთქმულების გაცემა შემდეგ ვითარებაში მოხდა. შეთქმულებმა თავად **იესე ფალავანდიშვილს** დაავალეს შეთქმულებაში ჩაება საკუთარი ძმა ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი **ნიკოლოზ ფალავანდიშვილი**. იესე ფალავანდიშვილმა ძმას შეთქმულების შესახებ აცნობა და თანადგომა სთხოვა. მოულოდნელად ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა ძმას კატეგორიული ფორმით მოთხოვა თავადვე ეცნობებინა ხელისუფლებისათვის შეთქმულების შესახებ. ნიკოლოზ ფალავანდიშვილი ძმას არწმუნებდა, რომ შეთქმულების გაცემით იგი საკუთარ თავსაც გადაირ ენდა და დაღუპვისაგან იხსნიდნ თავის თანამოაზრეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნიკოლოზი იესეს თვითმკვლელობით ემუქრებოდა. **იესე ფალავანდიშვილი**

ძმას დაემორ ილა და შეთქმულება გასცა. როგორც ირკვევა, ხელისუფლებას შეთქმულების შესახებ უკვე ჰქონდა ცნობები. შეთქმულთა მიერ მიღებულმა კონსპირაციულმა ზომებმა ვერ უზრუნველყო საიდუმლო ორგანიზაციის აუცილებელი უსაფრთხოება. 1832 წლის ნოემბერ-დეკემბრისათვის შეთქმულების შესახებ უკვე ძალიან ბევრმა ადამიანმა იცოდა, რომელთა ნაწილის საიდუმლო ორგანიზაციაში მუშაობისათვის აუცილებელი არც ცოდნა და არც გამოცდილება არ ჰქონდა. მაგალითად, 1832 წლის დეკემბრის დამდეგს ბორჩალოში ხმა გავრცელდა, რომ შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ ალექსანდრე ბატონიშვილთან. იესე ფალავანდიშვილის დასმენის შემდეგ ხელისუფლება შეთქმულთა დაპატიმრებას შეუდგა.

შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრება დაიწყო 1832 წლის 11 დეკემბერს. დაპატიმრებები მიმდინარეობდა 1832 წლის დეკემბერში, 1833 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში. სხვადასხვა დროს დააპატიმრეს: **ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, იესე ფალავანდიშვილი** და სხვები. გამოძიების შემდეგ გაასამართლეს 38 კაცი. სულ კი გამოძიება 145 კაცით დაინტერესდა.

შეთქმულთა დაპატიმრებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველა ცდილობდა დაწვრილებით შეეტყო მომხდარის შესახებ. საქართველოს მთავარმართებელმა ბარონმა **როზენმა** გამოაქვეყნა „**მიმართვა ქართველი ხალხისადმი**“, რომელშიც იგი მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა.

შეთქმულების საქმის გამოძიება 1833 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. საზოგადოება სასამართლოსაგან უმკაცრეს განა ენს მოელოდა. მართლაც, სასამართლომ შეთქმულების აქტიურ მონაწილეებს სიკვდილით დასჯის განა ენი გამოუტანა, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა განაჩენი შეამსუბუქა – **სიკვდილით არავინ დაუსჯიათ**. შეთქმულების მონაწილენი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთის იმპერიის გუბერნიებსა და მხარეებში. გადასახლებულთა შორის იყვნენ: **ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე** და სხვები. რუსეთის იმპერატორმა ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მას სურდა ჰუმანური ქვესტით ქართული საზოგადოების გული მოეგო. იმპერატორი ვარაუდობდა, რომ ამ გზით ქართულ არისტოკრატიაში რუსეთისადმი ღლიალურ განწყობილებას გააძლიერებდა და მას რუსეთის ბატონობასთან შეგუებისაკენ უბიძგებდა. **მართლაც**

ქართული არისტოკრატის ნაწილი ნელ-ნელა შეეგუა რუსეთის ბატონობას და ხელი აიღო თავისთავლობისათვის ბრძოლაზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არანაირი დათმობებით რუსეთის საიმპერატორო კარს არ შეეძლო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიკვიდაცია. ბრძოლა გრძელდებოდა.

1832 წლის შეთქმულებამ წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნული მოძრაობისა და მთლიანად საქართველოს ისტორიაში. შეთქმულება იყო იმის დამადასტურებელი, რომ ქართველი ერის ასიმილაციის, საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის მისწრაფებას განხორციელება არ ეწერა. ამავე დროს, 1832 წლის შეთქმულება გახდა სტიმულის მიმცემი შემდგომი ეპოქის დიდი ეროვნული მოძრაობისათვის.

ილია ჭავჭავაძე

ქართული სახელმწიფოებრივი მოსპობა XIX საუკუნის დამდეგს დიდი ტრაგედია იყო. ქართველ ერს კიდევ უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა. რუსეთის იმპერიას შემუშავებული ჰქონდა ქართველი ერის ასიმილაციის, საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის გეგმა. ეს გეგმა XIX საუკუნის დამდეგსავე ამოქმედდა. საქართველოში რუსეთის ბატონობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებების ჩახშობისა და 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, თითქოს, რუსეთის იმპერიის გეგმების განხორციელებას წინ ველარაფერი აღუდგებოდა. სწორედ ამ ძნელბედობის ქამს მოეკლინა საქართველოს ილია ჭავჭავაძე. დღესაც კი, ასორმაცდაათი წლის შემდეგ, ძნელია უპასუხო კითხვას: **ილია იყო იმ დიდი ეპოქის ნაყოფი, თუ ეს დიდი ეპოქა თავად ილიამ შექმნა.**

ილიას პირველი ნაწერებიდანვე აშკარად ჩანდა, რომ მას ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდა გააზრებული ყოველივე ის, რაც დამღუპველი იყო **ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის**. დიდი ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო საუკუნეების მანძილზე, საქართველოში მოსული ყველა დამპყრობელი, აშკარად თუ ფარულად, გვიტოვებდა რაღაც ცუდს, ქართული ცნობიერებისათვის უცხოსა და მიუღებელს. ერთიანი საქართველოს დაშლამ, ძნელბედობის, მუდმივი ომებისა და რბევა-დაწიოკების, ფიზიკური გადარჩენისათვის დაუსრულებელი ბრძოლის ხანგრძლივმა პერიოდმა ქართული ცნობიერება ძლიერ შეცვალა. 1862 წელს ილია წერდა: „საკვირველი კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, სხვის თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავის საკუთარის თვალებისა. თუ მოინდომა, და თუნდაც არ მოინდომოს, ისე ხელობად დასჩემებია, რომ რაც უნდა კეთილ-სეინდისიანი საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის, რომ შენი გაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ვეღარ გაიგო“. ბუნებრივია, რომ ილიას აინტერესებს, რა იყო ყოველივე ამის მიზეზი: „რათ უყვარს ქართველს ამისთანა სულის კლაკნა? მრავალი რამ არის ამისი მიზეზი, ჩემო მკითხველო, სხვათა შორის ისიცა, რომ სიკეთეს ყველანი გადაწვეულვართ, კეთილი არა გეწამს, სული და გული ამოგეშრობია“. ილია სანუგეშოს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ქართველთა შორის ერთ ან ორ კაცს სამშობლოს სატკივარი აწუხებდეს: „საწყალო ქვეყანავ! შენს ღონიერს დედამიწაზედ იქნება ორიოდე კაცი იმისთანა დადიოდეს, რომელიც სადმე მარტო ჩუმიად სტირის შენს მაგ ყოფაზედ, ჩუმიდა ტირის იმიტომ, რომ შენ შეიღებს რომ თავისი ცრემლი დაანახოს, ის პატიოსანი,

მდულარე ცრემლი, – შენი კეთილი შვილები თითონვე დასცინებენ და პატიოსანს ცრემლს უპატიოდ გაუხდიან“. მტრისაგან დატოვებულ ერთ საშინელ სენზეც ამახვილებს ყურადღებას ილია: „ამას გარდა ჩვენ საწყალ ქართველებს ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკენა და პირიდან თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, – ესენი ერთად შტოები არიან დამპაღ ყიზილბაშობისა. ისე უყვარს ქართველს ეს გამრყენელი და წამხდენელი სენი, რომ თუ არ მიეფერე, პირიდან თაფლი თუ არ იდინე, სულ ყველაფერი უზრდელობა და ლანძღვა ჰგონია“.

ქართველ ერს ყველაზე დიდი საშიშროება მაინც ერთიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ბზარის გაჩენისაგან ელოდა. ქართულ ეროვნულ ცნობიერებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოს დაშლამ სამეფო-სამთავროებად (XV საუკუნის მეორე ნახევარი). ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ხომ ერთიანი ქართული ცნობიერების ნგრევისაკენ იყო მიმართული. ამ დიდი საფრთხის გაცნობიერებას ეძღვნება ილია ჭავჭავაძის 1866 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი „ზოგიერთი რამ“ (დაიბეჭდა 1876 წელს). ამ წერილში ილიამ მთელი სიცხადით მიანიშნა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ბზარის გაჩენის, ქართველთა გაუცხოების საშიშროებაზე: „აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო დიპ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“. ილიამ დასვა კითხვები: „ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს?“ „სად არის ქართველი და ქართველობა?“ „ვართ-და სადმე?“ ილია ძალზე ამბაფრებს შექმნილ ვითარებას. მისი აზრით, ძველად ქართველთა ერთობის, ერთიანი ეროვნული ცნობიერების საფუძველი ქართული ენა იყო. თუმცა ეკლესიურ აზროვნებაზე დაფუძნებული ზნეობის დაცემის პირობებში ენის ერთობაც ვეღარ შევლის საქმეს. ტრადიციული მორალური ნორმების უარმყოფელი ქართველის ზნეობა ისეა დაცემული, რომ ქართველობა „დღესაც ერთისა და იგივე ენით – თუ არაფერს აკეთებს – თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა“. ძალზე საინტერესო დასკვნაა: **ზნეობაშერყეული ქართველი ენის ერთობას ერთიანი ქართული ცნობიერების გადასარჩენად და გასაძლიერებლად ვეღარ გამოიყენებს.**

ილია დიდ უბედურებად მიიჩნებდა იმას, რომ დაკნინდა ცნებები: „ქართველი“ და „ქართული“: „ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძობითი მნიშვნელობა მიეცა“. კიდევ უფრო დაკნინდა „მამულის“ ცნება. წინათ სიტყვა „საქართველოს“ და „მამულს“ ქართველი ერთსა და იმავე ცნების – სამშობლოს – გამოსახატავად იყენებდა, რადგან, ილიას აზრით, „მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის“. ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების შერყევის, კუთხურობის გაძლიერების, საერთო-ქართულის დავიწყების პირობებში სიტყვა „მამულმა“ ძველი მნიშვნელობა დაკარგა. ამ შემთხვევაშიც ილიამ პირველმა მიანიშნა ქართული სინამდვილის კიდევ ერთ დამღუპველ მოვლენაზე: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე“. --

ილია აშკარად მიანიშნებს დიდ ეროვნულ საფრთხეზე: ქართველთა გაუცხოების, კუთხურობის გაძლიერების, საერთო-ქართულის დაჩრდილვის და ზნეობის დაცემის პროცესი თუ შეუქცევადად გაგრძელდა, საფრთხე დაემუქრებოდა ქართულ ენას. ილია სვამს კითხვას: „საღდა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიდეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოვთქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდაც რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინდა სთხოვს? ჩვენ თვითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძობად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გადავაქციეთ, პატივი – ნეხვად, თავი – გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარა ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაეუმბტეთ, და მის შემდეგ კიდევ გვინდა, რომ ენა გვქონდეს?“

პოლიტიკურმა დაშლილობამ და უცხო სახელმწიფოების (სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის) ხანგრძლივმა ბატონობამ, ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის გადახდილმა უმძიმესმა ბრძოლებმა თავისი დალი დააჩნია ქართველი ერის სულიერ ყოფას, ქრისტიანულ ზნეობას. შეიცვალა ქართული ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამიტომ პასუხი ილიასეულ კითხვაზე – „რათა ვართ ესე?“ – ნაწილობრივ უკვე შეიცავდა პასუხს კითხვაზე: რა უნდა ვიღონოთ, რომ ასე აღარ ვიყოთ? 1860 წელს დაწერილ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერისთავის მიერ კახლოვის „შემუღილის“ თარგმანზედა“ ილიამ თავისი ღვთაებრივი მისიის არსი ასე განსაზღვრა: „სამი

ღვთაებრივი საუნჯე დაგვჩხა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამასაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას“.

ენის განსაკუთრებული დანიშნულება ქართველი ერის ისტორიაში და, განსაკუთრებით, იმჟამინდელი ქართველობის ყოფაში ილიამ ასე გამოხატა: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. თავის უკომპრომისობაზე ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლაში ილიამ ასე მიანიშნა: „სხვისა არ ვიცი და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავეუთობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“

მამულის „პატრონობაზე“ ფიქრს, მამულის ხსნისა და აღორძინების გზების ძიებას შეაღია ილიამ მთელი თავისი მოწამეობრივი სიცოცხლე. თავისი ნაფიქრალი პირველად ქალაქდზე 1861 წელს გადაიტანა. „მგზავრის წერილებმა“ დიდი საფიქრალი მისცა იმჟამინდელ ქართველობას, არანაკლები – ჩვენ, დღევანდელ ქართველობას. საფიქრალი ეყოფა მომავალ თაობებსაც. 1861 წელს დაწყებული ფიქრი 1907 წლის 30 აგვისტოს შეწყდა. არჩევანი, რომელიც ილიას უნდა გაეკეთებინა, დიდ სიბრძნეს მოითხოვდა. ილიამ კარგად იცოდა, რომ ეს იქნებოდა საბედისწერო არჩევანი, რომელიც განსაზღვრავდა ქართველთა მრავალი თაობის ბედსა თუ უბედობას.

ვლადიკავკაზიდან თბილისისაკენ მომავალმა ილიამ „რუსის პირდაუბანელი და თავდაუგარცხნელი“ „იამშიკი“ წარმოგვიდგინა. დაინახა თუ არა „იამშიკი“, ილიას მაშინვე ასეთი ფიქრი აღეძრა: „საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაცული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზღაზუნა, უადამიანო და პირუტყვეული მისერა-მოსერა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი“. ვინ არის რუსი მეეტლე? ესაა რუსეთის მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენის – გლეხობის – განზოგადებული ტიპი. ილია არ წერს, რომ ყველა რუსი გლეხი ასეთივე „უადამიანო და პირუტყვია“, მაგრამ იქვე საგანგებოდ გვაფრთხილებს: რუსი მხატვრების მიერ დახატულმა რუსულმა სამყარომ შეცდომაში არ შეგიყვანოთო! სინამდვილე სულ სხაა და იგი საგნა ჩვენთვის ნაცნობი მეეტლისთანა ადამიანებით. ეს მეეტლე კი არა მარტო „უადამიანო და პირუტყვი“, არამედ აგრესიული „პირუტყვია“. ეტლში ჩაჯდომისას ილიას მეეტლემ „ბღვერა დაუწყო“, ხოლო როცა ილიას გაეცინა, კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი აგრესიული ბუნება. მეორე რუსი, რომელიც ილიამ წარმოგვიდგინა, მეეტლესთან შედარებით, გაცილებით მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელია. ესაა რუსეთის არმიის ასეულის მეთაური, უმცროსი ოფიცერი (პოდპორუჩიკი).

ილიასთან მოსაუბრე რუსი პოდპორუჩიკი ტიპია რუსეთის არმიის ოფიცრობისა. ამ კატეგორიის ხალხს სათანადო განათლება უნდა ჰქონოდა. ილიას და პოდპორუჩიკის საუბრიდან იკვეთება რუსი ოფიცრის თვისებები: გაუნათლებლობა, უმეცრება, სიბრიყვე, ეშმაკობა, გამომძალველობა, მედიდურობა და აგრესიულობა.

ილია არაფერს ამბობს (ვერ იტყოდა!) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეარსებათ ერთმანეთის გვერდით **რუს მეეტლეს, რუს ოფიცერსა და ლელთ ღუნიას**. პირველი, პრაქტიკულად, გაპირუტყვებული, აგრესიული არსებაა, მეორე – გაუნათლებელი, ბრიყვი, მაგრამ ამავე დროს ეშმაკი და მედიდური; მესამე – სანთელივით წმინდა კაცი, სამშობლოს ბედზე მწარედ ჩაფიქრებული, ღვთისაგან ბოძებული ნათელი და დახვეწილი აზროვნების უნარით. დასკვნა ნათელია: **პირველი და მეორე ერთმანეთის გვერდით თავისუფლად იარსებებენ, ერთმანეთი თუ არ ეყვარებათ, გაუგებენ მაინც ერთმანეთს. მესამე პირველისა და მეორის გვერდით ვერ იარსებებს, თუ იარსებებს ეს სასჯელი იქნება მისთვის**. ამიტომაც, რომ ილია ლელთ ღუნიას სასჯელისაგან განთავისუფლების გზას ეძებს. ამ გზაზე ილიამ „მგზავრის წერილების“ დასაწყისშივე, ვლადიკავკაზში, სასტუმროდან გამოსვლისას მიგვანიშნა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ **ეტლი (პოვოსკა) რუსეთია, ხოლო მისი იძულებითი მგზავრი – საქართველო**. მგზავრისათვის ეტლში ჩაჯდომა არავის უკითხავს. მან კარგად იცის, რა აუტანელიცაა ამ ეტლით მგზავრობა, მაგრამ იძულებულია, თავი ასე დაიმშვიდოს: „მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე“. ეს დიალოგი ფრანგსა და ილიას შორის აქ რომ დამთავრებულიყო, ლოგიკური არ იქნებოდა. კიდევ იყო რაღაც სათქმელი, რომლის გარეშე ილიას პოზიცია ვერ გამოჩნდებოდა. ფრანგი ილიას სიტყვებს ასე პასუხობს: „მაგით დადის?! იმიტომაც შორის არის წასული!“

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავაანალიზებთ, ცხადი გახდება ილიას პოზიცია: **ეტლი – ჩამორჩენილი რუსეთი; მეეტლე და ოფიცერი – ჩამორჩენილი რუსეთის ღვიძლი შვილები; ეტლით მგზავრობა – აუტანელი და საშიში; მგზავრი – ვითარებას იძულებით შეგუებული საქართველო; ფრანგი – მგზავრის აუტანელი ყოფის შემცნობი ევროპელი; ეტლით მგზავრობის პერსპექტივა – ცივილიზებული სამყაროსაგან ჩამორჩენა;**

აი, ასე დაგვიხატა ილიამ რუსეთში საქართველოს ყოფნის გაუსაძლისობა და უპერსპექტივობა.

ლელო ღუნიას სულაც რომ არ ეთქვა „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნესო“, ისედაც ყველაფერი ნათელი იქნებოდა. ლელო ღუნიას ურყევად სწამს: რუსეთის სამოცწლიანმა ბატონობამ ქართველებს სპარსეთისა და ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბატონობის სიმწარე დაავიწყა! აშკარაა, იმუამინდელი ყოფა, მიუხედავად ქვეყნად მშვიდობის ჩამოვარდნისა, ლელო ღუნიას გაუსაძლისად ეჩვენება. მას ისიც აფიქრებს, რომ თუ ადრე მტერი (სპარსეთი და ოსმალეთი) მტრად აღიქმებოდა, ესეც რუსეთი მტრად აღარ აღიქმებოდა. რუსეთის მიერ მოტანილი მშვიდობა მოხევეს „ცარიალ მშვიდაბად“ მიაჩნია. აშკარაა, რომ ლელო ღუნია ამ „ცარიალ მშვიდაბას“ ომზე უარესად თვლის. მტერი და ომი მოხევეს არ აშინებს: „რამ არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაშიც გვეყოფის“. ლელო ღუნიას რუსეთის მიერ მოტანილ „ცარიალ მშვიდაბის“ პერიოდში დაცემული ზნეობა ადარდებს: „აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერიენის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის“. მართალია, მშვიდობა დამყარდა, მაგრამ უზნეობა იქცა ყოველდღიური ცხოვრების ნორმად: „აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთურთ დალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის“. ფიზიკური სიკვდილის შიშით ზნეობრივ სიკვდილთან შეგუება ლელო ღუნიას ვერ წარმოუდგენია. ამიტომაც, რომ კითხვაზე: რით იყო უწინდელი დრო, უწინდელი ყოფა უკეთესი? ლელო ღუნია ყოველგვარი დაქტეების გარეშე პასუხობს: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნეს, მით იყვის უკედ“.

„ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნეს“ – ეს იყო ის დიდი იდეა, რომლის განხორციელებაც მთელი ერის გაერთიანებას, ქართველთა ერთად დგომას, ყველა წოდების (სოციალური ფენის) ინტერესთა შერიგებას მოითხოვდა. წოდებათა შერიგება, კლასთა თანამშრომლობა, რასაც მოგვიანებით არჩილ ჯორჯაძე „საერთო ნიადაგზე“ დგომას უწოდებს, ადვილი მისაღწევი არ იყო. ეს პრობლემა მხოლოდ ქართველი ერის წინაშე არ იდგა, იგი ერთნაირად მტკივნეული იყო ყველა ერისათვის, თუმცა დიდი იმპერიების მიერ დაპყრობილი (კოლონიური) ერებისათვის წოდებათა შერიგება გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. საქართველო კოლონიური ქვეყანა იყო, მას საკუთარი ეროვნული ხელისუფლება არ გააჩნდა და, აქედან გამომდინარე, არც წოდებათა შერიგებასა და კლასთა თანამშრომლობაზე ზრუნავდა ვინმე. ცხადია, ეს ძალზე აფერხებდა საერთო-ეროვნული იდეის გარშემო მთელი საქართველოს გაერთიანებას. უფრო მეტიც, რუსეთის საიმპერატორო კარი და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია ყოველნაირად აფერხებდნენ საქართველოში არსებული ყველა წოდებისა და კლასის შერიგება-შეთანხმებასა და ქართველი ერის დარაზმვას ერთი იდეის გარშემო. **ქართველი ერის ერთობა დიდ საშიშროებას უქმნიდა რუსეთის იმპერიის ბატონობას საქართველოში.** ვის უნდა ეზრუნა

საქართველოში წოდებათა შერიგებასა და კლასთა თანამშრომლობაზე? ეს დიდი ეროვნული მისიაც ილიამ იკისრა. წოდებათა შერიგების იდეითაა გამსჭვალული ილიას მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ (1887 წ.). მოთხრობაში ამ დიდი ეროვნული მნიშვნელობის იდეის პრაქტიკულად განხორციელების ყველა სიძნელე კარგად არის ნაჩვენები. ილია „ოთარაანთ ქვირვამდე“ „გლახის ნაამბობითა“ (1862-1873 წწ.) და „კაკო ყაჩაღით“ (1860 წ.) მივიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ილიას კარგად ესმოდა წოდებათა შერიგების მთელი სირთულე. „ოთარაანთ ქვრივის“ ტრაგიკული ფინალის მიუხედავად, ილია ეროვნული თანხმობის, წოდებათა შერიგების იდეას უპერსპექტივოდ სულაც არ თვლიდა. 1888 წელს დაბეჭდილ წერილში ისევ უბრუნდება წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის იდეას. ილია პირველსავე აბზაცში მოკლედ აყალიბებს უმთავრეს იდეას: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხენა და მკა, ცალ-ცალკე თლა ღხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავისთვის ხსონა და სხვისი დაეიწეება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მზარდ გავლენას იძენდა ახალი ფენომენი – **პოლიტიკური პარტია**. პოლიტიკური პარტია გარკვეული სოციალური ფენის (ფენების) ინტერესების გამომხატველი იყო. ცოტა მოგვიანებით, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში პოლიტიკური პარტიების აღმოცენება იწყება რუსეთსა და საქართველოში.

პოლიტიკური პარტიების აღმოცენება არავითარ საშიშროებას არ უქმნიდა იმ ერებს, რომელთაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და შესაბამისი პოლიტიკური კულტურაც გააჩნდათ. სულ სხვა ვითარება იყო საქართველოში. რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართველ ერს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სოციალური გათიშულობა, სოციალურ ფენათა დაპირისპირება. წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელი იყო ერის დარაზმვა ერთი მიზნისათვის – დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ამჯერად კი სოციალური დაპირისპირებიდან მომდინარე საფრთხესთან ერთად ქართველ ერს პარტიული გათიშულობის, პარტიული დაპირისპირების საფრთხე დაემუქრა.

ილიას ამ პერიოდშიც (XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანები), გაცილებით უფრო ადრეც და მომდევნო წლებშიც ურყევად სწამდა: პოლიტიკური პარტიების აღმოცენება სოციალური დაპირისპირების ახალი ეტაპის დასაწყისს ნიშნავდა. პოლიტიკურ პარტიათა აღმოცენება გაცილებით უფრო საშიში იყო, ვიდრე სოციალური დაპირისპირება, რადგან ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესების დაცვის უკან იმალებოდა ვიწრო პარტიული, კლანური, უფრო მეტიც, სექტანტური ინტერესები. **პოლიტიკური პარტიის აღმოცენება თავისთავად უკვე ნიშნავდა საერთო-ეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების უზულებელყოფას.** ილია ამასაც კარგად ხედავდა, რომ დგებოდა დრო, როდესაც პოლიტიკური პარტია პოლიტიკური ცხოვრების აუცილებელ ფენომენად იქცეოდა, საქართველო ამ სენიდან თავს ვერ დაიცავდა. ქართველი ერის პოლიტიკურ პარტიებად გათიშვის დასაწყისის მაუწყებელი იყო პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის“ შექმნა (1892-1893 წწ.) და გიორგი წერეთლის გაზეთ „კვალში“ (დაარსდა 1893 წ.) სოციალისტური იდეების პროპაგანდა. „მესამე დასისა“ და გაზეთ „კვალის“ სოციალისტურ გატაცებებს ილიამ მხოლოდ 1896 წელს უპასუხა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილით „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“. ეს იყო პირველი პუბლიცისტური წერილი, რომელშიც ილიამ პირდაპირ მიანიშნა პოლიტიკური პარტიების აღმოცენებისაგან მომდინარე დიდ ეროვნულ საფრთხეზე ილია წერდა: „იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვაწონო გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა. მე უფრო შორს მინდა გადავებოტო. თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოვაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს – მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა-კი რა მოგახსენოთ“. **პარტიობის სენი სულ უფრო სერიოზულად ღრღნიდა ქართველი ერის სხეულს. პარტიული ინტერესები ნთქავდა ეროვნულ იდეალებს.**

ღვთისაგან დაკისრებული მისიის აღსრულებას რომ იწყებდა, ილიამ კარგად იცოდა, რომ მოწამის გზით უნდა ევლო. ვისთვისაც უნდა წამებუდიყო, „პირველ ქვას“ სწორედ ის ესროდა, ის უარყოფდა. უარმყოფელთაგან შეურაცხყოფილი ილია ირონიული ღიმილით შეჰყურებდა ცოდვით დაცემულთა ნამოქმედარს, ხსნის გზას სთავაზობდა და როცა სამაგიეროდ კვლავ შეურაცხყოფდნენ, ისევე ირონიულად მიმართავდა: „მე, ბატონებო, ასეც მწვარში ნუ გამხვევთ. მე ბევრი რამ კარგი მჭირს“. ილიას უარმყოფლე-

ბის გააფთრებას საზღვარი არ ჰქონდა. ილიას პირველობას ვერ იტანდნენ, მისი პოპულარობა შურდათ. ილიას უარყოფა, მისი ღვთიური მისიის დაუნახაობა ძველი თაობიდან უცვლელად მიიღო ახალმა თაობამ. თავად ილიას ცნებები „ძველი თაობა“ და „ახალი თაობა“ ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებულად ესმოდა. ამ საკითხს ილია ეხება 1892 წელს დაწერილ ნაშრომში „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“. ილია სვამს კითხვას: „მართლა-და, რა არის და ვინ არის ახალი, ან ძველი თაობა? ამ სახელებქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოდ? აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთიყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ. უჭველია, ეს სახელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჯურის ხალხსა, იმიტომ რომ სხვა ყველა, თავის ცალკე ბუდეში კარჩაკეტილი, ამისთანა სახელების წინაშე არაფერს შუაშია. თუ ასეა – და, ვგონებთ, უამისობა არც შეიძლება, – მაშ სიახლეს და სიძველეს ერთისა და მეორის თაობისას აქ უნდა მოვუნახოთ საბუთი და საფუძველი“. ქვემოთ ილია საკითხს ამარტივებს, უფრო კონკრეტულ დასკვნას აკეთებს: „ხოლო საკითხი ეს არის: რა საწყაო ვიხმართ, რომ ან ერთს მივუწყათ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშობა იქნება! ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქნება საკადრისი ჭკუათმყოფელი მკვლევარისათვის! მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?“ პირველი დასკვნა, რომელსაც ილია აკეთებს, ასეთია: „ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუყე სახელებია და დროა თავისს პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ“. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს შემდეგი, მთავარი, დასკვნა: „დროა თავი დავანებოთ ამ გაცვეთილს სახელებს და მოვიკითხოთ მარტო ის, გუშინ რას ვსდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვსდევთ; რას ითხოვდა წინადღე და რა პასუხი მისცა დღევანდელმა“. აი, ამ კრიტიკიუმით აფასებდა ილია როგორც ძველ, ისე ახალ თაობას. თერგდალეულთა (სამოციანელთა) თაობის მომდევნო თაობას 1883 წელს ილია ასე ახასიათებდა: „ეს ათი-თორმეტი წელიწადია, რაც ჩვენს მწერლებს ერთი საკვირველი ჩვეულება დასწამდათ: გამოსდგამს ფეხს თუ არა სალიტერატურო ასპარეზზედ, ყველაზედ უწინარეს ამას დაიძახებს ხოლმე: ვინც ჩემზე წინ იყავით, ძველნი ხართ, ჩვენ კი ახალნი; ჩვენ წინ-მიმავალნი ვართ და თქვენ კი დროს უკან ჩამორჩითო და თუ გინდათ, „ბოლოზედ ჩასჭიდეთ ხელიო“ და სხვანი“. იქვე ილია ერთ კიდევ უფრო მეტად უარყოფით მოვლენაზე მიანიშნებს: „ამას კიდევ კაცი, როგორც იქნება, აიტანდა, მაგრამ ვაი ეს არის, რომ ამ ბოლოს დროს ამ ჩვეულებამ იბარტყა და ერთი სხვა ჭირიც გააჩინა: გინ-

დათ თუ არა მიცანით, რომ გენიოსი ვარო და წინამორბედი ახლის დროისა, ახლის მოძღვრებისაო, სუფრაზე პირველი სადღეგრძელო ჩემი დალიეთო...“ ილია ზემოთ ხსენებულ სენს საზოგადო სენად თვლის, თუმცა მთლიანად ახალ თაობას არ უარყოფს: „ჩვენ საზოგადოდ ახალ თაობას კი არ ვყოფთ უარს, არამედ იმას, ვინც მაგ სახელს ფართი-ფურთობისათვის ტყუილად იჩემებს. – ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დღეს დავიწყე წერა და შენ გუშინაო“. ილიას შესანიშნავად ესმოდა, რომ ახალგაზრდა მოღვაწის, მწერალის იქნებოდა ის, თუ პოლიტიკოსი, საზოგადოებრივ ასპარეზზე დამკვიდრება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ამ სირთულის შესახებ წერდა ილია 1886 წელს: „ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა-კი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახლის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა აერივას: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვეღარ მოუხერხებია...“

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ძლიერდებოდა სამოციანელთა (თერგდალეულთა) იდეების, და, პირველ რიგში, ილიას ღვაწლის უარყოფის ტენდენცია. სამწუხაროდ, ამ საძრახის საქმეში „თავი ისახელა“ ბევრმა ახალგაზრდა მოღვაწემ. ახალ თაობაზე ზოგადად საუბრიდან 1900 წელს ილია კონკრეტული ადამიანების მხილებაზე გადავიდა. უფრო ზუსტად, ამ წელს იგი პოლემიკაში ახალგაზრდა თაობის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა ნოე ჟორდანიამ გამოიწვია. ნოე ჟორდანიამ სამიზნედ ილიას „ივერია“, მისი იდეური მიმართულება აირჩია და „ივერია“ ბნელეთის მოციქულად წარმოადგინა. ეს, ცხადია, მხოლოდ „ივერიის“ ღვაწლის უარყოფა არ იყო, ეს იყო სამოციანელთა (თერგდალეულთა) ღვაწლის უარყოფა, ილიას გზის გამოხატვა. ილიამ გამოწვევა მიიღო. ნოე ჟორდანიას საპასუხოდ დაწერილი ოთხი წერილი ილიამ ასე დაასათაურა: „უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრობანი ბ-ნი ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცროსა“, „ისევ და ისევ ბ-ნ ნოე ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯგუგ-უკუჯგუგობანი“. ილია ნოე ჟორდანიას თვისებათაგან გამოყოფს ისეთ უარყოფით თვისებებს, როგორცაა: ქედმაღლობა, ზედმეტი თავდაჯერებულობა, ტრაბახი, თვალთმაქცობა: „ბაქიაობა, კვეხნა, თავის-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავისს ადგილას არ არის დალაგებული. თავისის-თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამის დრო, როცა იქნება, მოვა, და იგი ბაღლები, რომელთა წინაშე დღეს ბ-ნი ჟორდანიას უმეცრობისა და უვიცობის მაღაყს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და

გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა, თუ ჭკუა“. ილიას გზის უარყოფით თავი მარტო სოციალ-დემოკრატებს არ გამოუჩენიათ. ეს სენი საერთო სენი იყო. 1901 წელს დაწერილ ნაშრომში „პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე“ არჩილ ჯორჯაძემ ილიას აშკარად დაუწუნა ეკონომიკური და სოციალური პროგრამა, ასევე ეჭვქვეშ დააყენა მისი დემოკრატიზმი. ხსენებული ნაშრომი იმ ხანებში არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად ამისა, ილიას შეუმჩნეველი არ დარჩენია ის, რომ არჩილ ჯორჯაძე ვერ გადაურჩა ახალგაზრდა თაობისათვის დამახასიათებელ სენს – **უარმყოფლობას**. ცხადია, ილიას ისიც ეცოდინებოდა, რომ, მიუხედავად უარმყოფლობით გატაცებისა, ახალგაზრდა თაობაში არჩილ ჯორჯაძე ილიას ყველაზე დიდი დამფასებელი იყო. ილიამ საზოგადოებისათვის სახიფათოდ ჩათვალა არჩილ ჯორჯაძის სოციალური შეხედულებანი. ილიას მიუღებლად მიაჩნდა ახალგაზრდა თაობის მეორე წარმომადგენლის – ივანე გომართელის – სოციალური შეხედულებანიც. ამ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება ილიამ გამოხატა 1902 წელს გამოქვეყნებულ წერილში – „ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიხოლოგია“. ილია ასე ახასიათებს არჩილ ჯორჯაძეს: „ხომ იცით, ვინა ბრძანდება ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს ის ახალი კაცია, რომელიც მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს. ამიტომაც ამისთანაებში ასე ბრძნულად იტყვის ხოლმე: ძველები, მართალია, მიხვდნენ, მაგრამ საქმე ახლებსავით კარგად ვერ გამოშიგნეს, გულღვიძლი კარგად ვერ გაუხსრიკესო; მიხვედრა ძველებისაა, გაჩხრეკა-კი ახლებისაო“. კიდევ უფრო დიდი იუმორია ილიას შემდეგ სიტყვებში: „აი, ღმერთმა აცოცხლოს არჩილ ჯორჯაძე, მისი ახალი მიმართულება, მისი ახალი მეცნიერება და მისი ახალი ფსიხოლოგია. ვერ წარმოიდგენ, ქვეყანას რა დოვანი დასცემია, რა იღბალი ჰქონია და დღეს-აქამომდე-კი არა სცოდნია“. საბოლოო შეფასებაც ილიასეული იუმორითაა შეზავებული: „ეხლა სწორედ გითხრა, არ ვიცი, – რომელი უფრო დიდი მეცნიერია და რომელი უფრო წინ მიდის „საზოგადოებრივ იდეალებისაკენ“ – ბ-ნი გომართელი, თუ ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს-კი ვიცი, რომ ეს მეოცე საუკუნე ჩვენ, ქართველებს, კარგს ეტლსა და ვარსკვლავზე დაგვებედა: ხუმრობაა, ორი ამისთანა კაცი მოგვევლინა, როგორც ფილოსოფოსი გომართელი და ფსიხოლოგი – ჯორჯაძე“. სამწუხაროდ, სხვა სენთა მსგავსად უარმყოფლობის სენიც უკურნებელი აღმოჩნდა.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება **ქართული ეროვნული ცნობიერების** ჩაკვლა იყო. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ერის ასიმილაცია, საქართველოს გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად. ქართული ეროვნული ცნობიერების ჩაკვლას რუსეთის საიმპერატორო კარი და კავკასი-

ის კოლონიური ადმინისტრაცია კარგად გააზრებული გეგმით ცდილობდა. ილიას ბრძოლა **შელახული ეროვნული ღირსების** აღდგენისათვის დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობასთან იყო დაკავშირებული. ილია უპირისპირდებოდა არა რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფო უწყებას ან თანამდებობის პირს, არამედ იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკას. როცა ცნობილმა ჟურნალისტმა და სახელმწიფო მოღვაწემ, იმპერატორ ალექსანდრე II-სთან დაახლოებულმა პირმა, რუსეთში ერთ-ერთი ავტორიტეტული გაზეთის "Московские Ведомости"-ს რედაქტორმა მიხეილ კატკოვმა თავის გაზეთში ქართული ეროვნული დროშის შეურაცხყოფელი მასალა გამოაქვეყნა, ყველა მიხვდა, რომ ეს მხოლოდ გაზეთის პოზიციის გამოსატყულება არ იყო. მიუხედავად ამისა, ილია არ შედრკა. პირიქით, თავის წერილში „კატკოვის პასუხად“, რომელიც 1882 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა, ილიამ სწორედ იმპერატორის ფავორიტი მიხეილ კატკოვი გააკრიტიკა მწვავედ. ილია წერდა: „ჩვენ ამ მასხარაობას მასხარა კაცისას (ე. ი. მიხეილ კატკოვისას – ავტ.) ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ ბეზღობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მბეზღდარს არ შეეგინებინოს, უპატიურება არ მიეყენებინოს მთელ ქართველობისათვის და მის ეროვნების ღირსებისათვის. იგი ამბობს, რომ „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო, და ქართული დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიყიდონ, კარგს იზამენო“. მიხეილ კატკოვისათვის „მასხარა კაცის“ წოდებას ყველა ვერ გაბედავდა. უფრო მეტიც, ილია ამაზეც არ შეჩერდა: „გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკველად დაცვისათვის – არამც-თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, – იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებაში შევრიცხოთ“.

1881 წელს ილიას ცხარე პოლემიკა ჰქონდა კირილე იანოვსკისთან, რომელიც კავკასიის ოლქში განათლების საქმის ხელმძღვანელი (მზრუნველი) იყო. კირილე იანოვსკი აკნინებდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის როლს ქართველი მოზარდის განათლების პროცესში. ილია 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში – „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ – არ დაეთანხმა კირილე იანოვსკის. ილიამ თავისი პოზიცია გაამყარა ცნობილი მეცნიერებისა და პედაგოგების მოსაზრებებით. ილია წერდა: „ჩვენ მოგვყავს ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს, ვითომც ბ-ნმა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის სა-

ერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, – ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია“. სკოლის რუსიფიკაციის პირობებში ილიას პოლემიკა კირილე იანოვსკისთან, წმინდა პედაგოგიური მნიშვნელობის გარდა, დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა. უფრო ზუსტად, ამ შემთხვევაში ილიას წერილი პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო იყო მნიშვნელოვანი.

ქართული ეროვნული ცნობიერების დასამარებას სხვა ძალებიც ცდილობდნენ, საფრთხე სხვა მხრიდანაც მომდინარეობდა. XIX საუკუნეში რუსეთსა და საქართველოში გავრცელებული ყველა სოციალისტური მიმდინარეობა (ანარქიზმი, ნაროდნიკობა, სოციალ-დემოკრატია და სხვ.) ხალხის მასების „დაუფლებას“ ესწრაფოდა. სოციალისტური იდეოლოგიის ადამიანთა ცნობიერებაში დამკვიდრება კი წარმოუდგენელი იყო ცნობიერებიდან **ეროვნული თვითშეგნებისა** და **ქრისტიანული ზნეობის** ამოძირკვის გარეშე. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები რუსმა ნაროდნიკებმა გადადგეს. მართალია, კოსმოპოლიტიზმით ანარქიზმიც უხვად იყო გაჯერებული, მაგრამ ნაროდნიკობა ეროვნულობისა და ქრისტიანობის (მართლმადიდებლობის) წინააღმდეგ ბრძოლის კარგი ორგანიზებითა და აგრესიულობით გამოირჩეოდა. რუსი ნაროდნიკების იდეური თანამოაზრეები იყვნენ ქართველი ნაროდნიკები, რომელთა დიდი ნაწილი (ივანე ჯაბადარი, ალექსანდრე ჩიკოიძე და სხვ.) კარგად იყო ცნობილი მთელს რუსეთში. სწორედ ეროვნებით ქართველმა, რუსეთში ნაროდნიკული მოძრაობის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ ივანე ჯაბადარმა იკისრა საქართველოში კოსმოპოლიტიური იდეოლოგიის დამკვიდრების მისია. ივანე ჯაბადარმა გადაწყვიტა, ქართველი ერის ისტორიის ისეთი ინტერპრეტაცია მოეცა, რომ ქართველებს თავისი ისტორიით ვეღარ ეამაყათ. ასე დაიწერა ივანე ჯაბადარის "Письма о Грузии", რომელიც რუსულ ჟურნალში "Северный Вестник" გამოქვეყნდა 1889 წელს. ივანე ჯაბადარი, არც მეტი, არც ნაკლები, ამტკიცებდა, რომ ქართველი ერი დაბერდა, ფიზიკური და სულიერი ძალისაგან დაიცალა და პერსპექტივა აღარ აქვს. ივანე ჯაბადარის ეს უმთავრესი თეზისი ილიამ დიდი დამაჯერებლობით უარყო. თავის ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილების სერიაში „აი ისტორია“, რომელიც 1889 წელს გამოქვეყნდა, ილიამ დაასაბუთა, რომ ივანე ჯაბადარმა არ იცოდა არც საქართველოს და არც მსოფლიოს ისტორია. ილია წერდა: „რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისის, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაშის ეთიოპელისა და გვითხარით, ამაში რომელი ვიგულისხმეთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია,

ამაში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სებერს და სიყმაწვილეს არა ჰინიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან“. ილიამ შესანიშნავად იცოდა არა მარტო საქართველოს ისტორია, არამედ მსოფლიოს ისტორია. ამიტომ მისი არგუმენტები მეცნიერულად სავსებით დასაბუთებულია: „თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღვიდა დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს, მაგალითებრ, მტერთაგან ძლევასა, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა, რომ მართალი იყოს, მაშინ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოწყდებიან. ეს შეიძლება მოხდეს, თუმცა ბნელად წარმოსადგენი-კია, მაგრამ, თუ მოხდა, აქ სიბერე არაფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებრივი მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად შეუძლებელია“. ილიას საბოლოო დასკვნა ერთადერთი და კატეგორიულია: ერის სიბერე „უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის“. ილია საგანგებოდ ჩერდება ენის მნიშვნელობაზე. ილია წერს: „ესევე არ-შესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითეული ერი ცალკე – იმ დროს, რომელიც, ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია“. კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდის შესწავლა, ილიას აზრით, წყაროთა სიმცირის გამო ძნელდება. ამითაა განპირობებული ის, რომ უძველესი ისტორია „ცხრა კლიტით დაკეტილი საღაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული“. მიუხედავად ამისა, ილიას სწამს, რომ „ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ საღაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად“. ამ „გასაღებად“ ილია ენას მიიჩნევს: „თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ“. ენის განსაკუთრებული მნიშვნელობა ასე ესმის ილიას: „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზე სანდო მოწმეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგან უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“. ილიას „აი ისტორიამ“ წარმოუდგენლად დიდი როლი შეასრულა ქართული ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში. „აი ისტორია“ საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დღესაც ეტალონად რჩება.

„აი ისტორიის“ გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ, 1899 წელს, ილია აქვეყნებს კიდევ ერთ ბრწყინვალე ნაშრომს – „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ეს იყო პასუხი სომეხი მეცნიერების მხრიდან საქართველოს ისტორიის წინასწარგანზრახვით უხეშ გაყალბებაზე. „ქვათა ღაღადი“ ქართველი ერის მძიმე მდგომარეობის დახასიათებით იწყება: „ჩვენისთანა დაბრეყებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვექლავს და მიწასთან გვასწორებს. ღამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანავონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესმე ვყოფილვართ, არც დღეს ვართ... სულით დაბალნი, ჭკუა-გონებით ჩლუნგნი, ზნეობა-დაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გადატაკებულნი, ფლიდნი, პირის-გამტეხნი, მხდალ-ღაჩარნი – აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თავისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არა უარესნი“. ილია შემფოთებული იყო იმით, რომ ევროპაში ქართველების შესახებ სწორედ ყალბისმქმნელთა მიერ შეთხზული ამბები ვრცელდებოდა: „ამისთანა დაღით შუბლზე გაისტუმრეს ქართველის სახელი ევროპაში, საცა-კი ენა და კალამი მიუწვდებოდათ. ასეთივე სახელი გაუთქვეს ქართველებს თვით რუსებ შორისაც“. ამის შემდეგ ილია გადადის სომეხი მეცნიერების მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბების საკითხზე. ილია აღნიშნავს, რომ სომეხი მეცნიერები „სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთ-წოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათაღამ-ბაბაღამ დღევანდლამდე, და თუ სადმე ვიღაც „ვრაცები“ ყრილან – ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალეებით“. ეს კიდევ არაფერი. ქართველების ასეთი ყოფის მიზეზი, სომეხ მეცნიერთა აზრით, სრულიად კანონზომიერი ყოფილა: „თითონ ეს „ვრაცები“ ვითარცა ერი არაფრად სახსენებელია, იმიტომ რომ გაწყვეტისა და გადაშენების გზაზე დგანან და, თუნდაც ესეც არ იყოს, ჭკუა იმათ არ გააჩნიათ, რომ თავ-ბედისა გაიგონ რამ. აღებ-მიცემობის უნარი ღმერთს იმათთვის არ უღირსებია, მეურმეობისა და ჩაღვადრობის მეტი სხვა ხელობა არ იციან და ის პატარ-პატარა საბოსლეებიც-კი ვერ მოუხმარიათ, რომელთაც, ქვეყნის სასაცილოდ, საქართველოს ეძახიან“. ილია აღნიშნავს, რომ მიზნის მისაღწევად სომეხი მეცნიერები არაფერს ერიდებიან, ყოველგვარ სი-

ყალბებს სჩადიან: „ ... გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატრიანებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა და ყოველს ამათი თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა“. სომეხ მეცნიერთა „ღვაწლი“ რომ წარმოაჩინა, იღია სრულიად კანონზომიერად სვამს კითხვას: რა მიზანს ისახავენ ყალბისმქმნელები? აი, ეს ადგილი „ქვათა ღაღადიდან“: „რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი? იმისთვის, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ამიერ-კავკასიაში ერთად-ერთი სომეხი ერია, რომელიც ძველის-ძველადაც ყოფილა, დღესაც არის, და ამის გამო მომავალიც მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვისათვის, რადგანაც ისტორიულად დაამტკიცეს თავისი სულიერ-ხორციელი სიდიდე და ძალ-ღონე, თვისი შეურყევლობა და სიმაღლე ჭკუა-გონებისაო“. იღია აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიის გაბიბრუებასთან ერთად სომეხი მეცნიერები აიდევალბენ სომხეთის ისტორიას. ამ საკითხთან დაკავშირებით ილიას პოზიცია ასეთია: „ ... ჩვენ ქება-დიდებას სომხებისას საბუთებს არ გამოვუჩხრეკოთ, თუნდაც ცალიერი ბაქიაობა იყოს. თუ საქებასადიდებელი აქვთ რაიმე, ღმერთმა შეარჩინოთ. თუ არა აქვთ, ღმერთმა მისცეთ. ჩვენ მარტო იმას ვჩივით, რომ სომხის მაქებ-მადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გვთხრის, სულიერად და ხორციელად გვაბათილებს და სამარისაკენ გვიშვერს ხელსა, თითქოს მარტო ჩვენი არარაობაა მათის ღირსების მომასწავებელი, მათის ღირსების მანიშნებელი“. „ქვათა ღაღადის“ ეს ნაწილი, მიუხედავად პუბლიცისტური სტილისა, მეცნიერული გამოკვლევაა, ურთულესი საკითხების პოპულარული ენით გადმოცემის ბრწყინვალე ნიმუშია. აშკარაა, რომ ილიას ღრმად და საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი სომეხ მეცნიერთა, ასევე მათი თანამოაზრე უცხოელ მკვლევართა ნაშრომები და იქ არსებულ სიყალბეს ამხედდა საქართველოს ისტორიის ქართული და უცხოური წყაროების, ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა გამოკვლევების მოშველიებით. „ქვათა ღაღადი“ მთავრდება მიმართვით სომხებისადმი: „ჩვენ ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლასა ღომისა გზასა ზედა წოლა სჯობია“, – ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი“.

ილიას წერილების სერია საერთო სათაურით – „ცხოვრება და კანონი“ 1877-1881 წწ. დიდი ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. ილიას სურდა, შეეფასებინა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა და ამოეცნო განვითარების პერსპექტივა.

იღია ნაშრომის დასაწყისშივე აყალიბებს უმთავრეს დებულებას. მისი აზრით,

ვერანაირი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ვერანაირი ბუნებრივი სიმდიდრე ვერ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას, ეკონომიკურ აყვავებას, თუ საზოგადოებაში მოწესრიგებული არ არის სამართლებრივი ურთიერთობები: „კაცს მაგოდენად ვერა შევლის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რაიმე ქვეყნიერებაზედ“. ქვემოთ იმავე აზრს ილია აკონკრეტებს: „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაო განსაზღვრული ცხადად და აუცილებლად, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“. ილია საგანგებოდ ჩერდება მიწათსარგებლობის საკანონმდებლო ბაზის შემუშავების პროცესში ხალხის ფსიქოლოგიის, ხალხის ტრადიციებისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობაზე. გლექსა და მემამულეს შორის ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა (იჯარა), ილიას აზრით, იქნებ მისაღები ყოფილიყო რუსი გლექისათვის და რუსი მემამულისათვის, მაგრამ საქართველოში იგი მიუღებელი იყო. ილია მსჯელობს გლექსა და მემამულეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ და დაასკვნის: „იქნება ამ ორს ჭკუაში მოსასვლელს საგანს რაიმე საბუთი ჰქონდეს რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი – არა მგონია. ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი მკვიდრი მოყვარეა. იგი სოფელი, საცა მამა-პაპას უცხოვრია, საცა მამა-პაპის ძეგლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლექისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლება ვინმე, იმის შვილიშვილნი და უფრო შორეული შთამომავლობა თითქმის ყოველწლივ უწინდელის ბინის დასახედად მიდის, მამა-პაპის ხატისა და სალოცავის თაყვანის-საცემლად დაიარება“. ილიას ისიც შეუნიშნავს, რომ რუსი „მუშაკაცი“ და ქართველი „მუშაკაცი“ განსხვავებული ფსიქოლოგიის მატარებელნი არიან: ქართველი „მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს, და მიწისმომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა“. ილიას ნაშრომიდან მოტანილი მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გაკეთებულ დასკვნას: **თავისუფალი ფერმერი და ფერმერული მეურნეობა ილიას სოფლად ეკონომიკური პროგრესის საფუძვლად მიაჩნდა.** ილია გლექისათვის მისაღები აგრარული საკანონმდებლო ბაზის შექმნას იმიტომ მოითხოვდა, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწა

ქართველთა ხელში დარჩენილიყო. ილია გრძნობდა, რომ ქართველ მემამულეთა დიდი ნაწილი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიწას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა და შემოსავლის უმთავრეს წყაროდ მიწის გაყიდვას გაიხდიდა. ქართველ გლეხს იმდენი ფული არ ჰქონდა, რომ მემამულის მიწა ყვიდა. მიწის მყიდველი უცხოტომელი (ძირითადად, სომხური) ბურჟუაზია და რუსეთის ხაზინა იქნებოდა. სწორედ ამიტომ ილიას ერჩივნა, ბატონყმობის გაუქმების პროცესში გლეხს რაც შეიძლებოდა მეტი მიწა მიეღო, თუნდაც ხელისუფლებისაგან მიღებული სესხით. ეს მომავალში მნიშვნელოვნად შეამცირებდა უცხოტომელი ბურჟუაზიისა და რუსეთის ხაზინის მიერ მიწების შეძენას სოფლად.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობის განვითარება, ქართული სოფლის ბატონპატრონად ქართველი გლეხის გადაქცევა, სოფლის მეურნეობის პროდუქტით საშინაო და საგარეო ვაჭრობის ქართველი გლეხობის ხელში მოქცევა, აგრარულ ბაზარზე ქართველი გლეხის გაბატონება – აი, ილიას ეკონომიკური პროგრამის არსი. დღემდე საპოლემიკოა ილიას შეხედულებები ბურჟუაზიულ წყობილებაზე. კითხვაზე – ილია მომხრე იყო თუ არა საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებისა? – ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: პირველი. ილია მხარს უჭერდა სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის ჩამოყალიბებას და ქართველი გლეხის გადაქცევას სოფლის ბატონპატრონად; მეორე. ქალაქად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას ილია მხარს არ უჭერდა, რადგან ეს მთელი საქალაქო ცხოვრების უცხოტომელთა (ძირითადად, სომეხთა) ხელში ჩაგდების პროცესის მხარდაჭერა იქნებოდა; მესამე. სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების შედეგად მომძლავრებულ ქართულ ბურჟუაზიას (ფერმერებს) წინააღმდეგობა უნდა გაეწია უცხოტომელი ბურჟუაზიისათვის, არ დაეშვა მისი შეჭრა სოფლად და, შეძლებისდაგვარად, შეეზღუდა იგი ქალაქად.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ბატონყმობის გაუქმებამ (1864-1865 წწ.), ამ მოვლენის უდავოდ დიდი პროგრესულობის მიუხედავად, ქართველი ერისათვის მეტად არახელსაყრელი პერსპექტივა შექმნა. ქონების გადანაწილების დაწყებული პროცესი წარმოების მთავარი საშუალების (მიწის) დაკარგვით ემუქრებოდა ქართველ თავადაზნაურობას. ქონების გადანაწილების პროცესში არისტოკრატის (თავადაზნაურობის) მიერ მიწის დაკარგვა თავის დროზე ევროპის ყველა ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი. საქართველოს თანადროულად იმავე მოვლენას ჰქონდა ადგილი რუსეთშიც. ევროპაშიც და რუსეთშიც მიწა ახალი სოციალური ფენის – ფერმერების – ხელში გადადიოდა, ან რჩებოდა გაბურჟუებული არისტოკრატის საკუთრებაში. საქართველოში მთელი რიგი მიზეზების გამო თავადაზნაურობის მიწა გლეხური (ფერმერული) მეურნეობის სისუსტი-

სა და ქართული ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობის (თუნდაც ჩანასახოვან მდგმარეობაში არსებობის) გამო უცხოტომელი ბურჟუაზიის (ძირითადად, სომხურის) და რუსეთის სახელმწიფო უწყების (ხაზინის) ხელში გადადიოდა. თუ პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებდა, რამდენიმე ათეულ წელიწადში საქართველოს მიწა, ქართველთა მიწა უცხოტომელთა ხელში აღმოჩნდებოდა. ამ, ერთი შეხედვით, გამოუვალ ვითარებაში დიმიტრი ყიფიანს დაეხდა **ბანკის** შექმნის იდეა. ბანკის საწესდებო კაპიტალი ყმებისათვის მიწის მიცემის სანაცვლოდ მიღებული თანხიდან შედგა. სხვადასხვა ხელშემშლელი მიზეზების გამო 1864-1872 წლამდე ბანკის დაარსება ვერ მოხერხდა. 1872 წელს ამ საქმეს ილია ჩაუდგა სათავეში. ასე შეიქმნა 1875 წელს **თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი**, ხოლო ცოტა მოგვიანებით – **ქუთაისის გუბერნიის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი**.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გარდა, ილია ჭავჭავაძემ დიდი ღვაწლი დასდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დამდგენელ კომისიას.

ილიას ნააზრვეისა და ნაღვაწის უარყოფის, ილიას გზის გმობის ტენდენცია განსაკუთრებით გაზლიერდა 1905 წლიდან, რევოლუციის დაწყების შემდეგ. 1905 წლის მარტში ჟურნალმა „მოგზაურმა“ ილიას წინააღმდეგ ბინძური კამპანია წამოიწყო. 1905 წლის 13 მარტს „მოგზაურში“ ილიას წინააღმდეგ პირველი მასალა გამოქვეყნდა, ხოლო 20 მარტს – მეორე. ამ მასალას მკითხველი უნდა შეემზადებინა უფრო საზიზღარი ცილისწამების დასაჯერებლად. ეს ცილისწამება „მოგზაურში“ 10 აპრილს გამოქვეყნდა სათაურით – „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“. კორესპონდენციის აგტორი (ვასილ ნაცვლიშვილი) ილიას ბრალს სდებდა გლეხების სიძულვილში და არაადამიანურ სისასტიკეში. ილიამ საპასუხო წერილი გამოაქვეყნა სათაურით: „ნუთუ? (პასუხი მოგზაურის კორესპონდენციასა)“. ილია იმ მოაზროვნეთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთათვისაც 1905 წელს დაწყებული დიდი სოციალური ამბოხი (რევოლუცია) მოულოდნელი არ იყო. ილია, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, როგორც მოვლენათა შესაძლო განვითარების წინასწარი შეცნობის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, დაწყებული რევოლუციის პირობებში ორ გაფრთხილებას იძლეოდა: პირველი. „ეს დღევანდელი ამბავი დიდმიზეზიანი საგანია, დიდად გასაფხიზლებელი, დიდფათერაკიანი. აქ საქმე იმაში კი არ არის, ვინ უფრო შორს გადახტება. ამ დღევანდელს ამბავს დიდის გულდადებით და ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ადამიანი, მთელი სიგრძე-სიგანე გაუზომოს, თავით ბოლომდე თვალწინ დაიყენოს“. მეორე. „ეს დიდი პასუხისხელების საგანია

და ამ პასუხისგების შიშქვეშ, თვით გლეხკაცობის წინაშე, დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესი-
ოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტყვით. ამას თხოულობს არამცთუ სიკე-
თე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ“.

„ნუთუ?“ მთავრდება მრავლისმეტყველი გაფრთხილებით უკვე კონკრეტულად სო-
ციალ-დემოკრატების და, საერთოდ, სოციალისტური ორიენტაციის ძალების მიმართ:
„არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვ-
რების საძირკველად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა
დასისა და რწმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ
არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო“. სამწუხაროდ, ქართველი სა-
ზოგადოება 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში სწორედ ილიას გაფრთხილებათა
უგულებელყოფის გზით მიდიოდა, სოციალ-დემოკრატები კი ზნეობის ელემენტარული
ნორმების დარღვევით ცდილობდნენ დასახული მიზნის მიღწევას. **საზოგადოება მიიმედ
დაავადებული გამოვიდა რევოლუციიდან.**

1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ **წიწამურთან** მომხდარი საუკუნის ტრაგედიის
ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი ჯერაც ბურუსითაა მოცული. სულ უფრო ცხადი
ხდება, რომ ყველაფრის ბოლომდე გარკვევა შეუძლებელი იქნება. ის, რაც უნდა გარკვე-
ულიყო ცხელ კვალზე, ძიების პერიოდში და სასამართლო პროცესზე (1907-1908 წწ.),
ცხადია, გაცილებით ძნელი დასადგენი იქნებოდა რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ,
1917 წელს, ან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-
1921 წწ.). ჭეშმარიტების დადგენის შანსი კიდევ უფრო შემცირდა საბჭოთა რუსეთის მი-
ერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობისა და საქართველოს ახალ
საბჭოთა იმპერიაში ძალით გაერთიანების შემდეგ. ამიერიდან ობიექტურ სიძნელეებს
დაემატა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამკვეთისა და შემსრულებლის პოლიტიკური
მოტივით მიჩქმალვის საშიშროება. დღეისათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმ-
ლოების ობიექტურად ახსნისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მასალების ნაწილი გა-
ნადგურებულია ან საიმედოაა გადამალული (სხვადასხვა პერიოდში დოკუმენტების
სხვადასხვა კატეგორიის „წმენდა“ ტარდებოდა იმის მიხედვით, თუ რა მიზანი ჰქონდა
პოლიტიკურ რეჟიმს). ამასთან ერთად უკვე ამ ქვეყნად აღარ არიან ის ადამიანები, რო-
მელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმესთან, ძიებასა
და სასამართლო პროცესებთან. ბევრმა მათგანმა სხვადასხვა მოტივით საიდუმლო საფ-
ლაგში ჩაიტანა. სწორედ ამიტომ, რომ ყველა ვერსიას, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის
შემდეგ რომ შეიქმნა, დღესაც ჰყავს მეტ-ნაკლები რაოდენობის მიმდევრები. ამ ვერსიე-

ბის მიხედვით, ილია ჭავჭავაძე მოკლეს: ძარცვის მიზნით, აგრარული წინააღმდეგობის ნიადაგზე, სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური მიზნით, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოხრანკამ პოლიტიკური დაკვეთის საფუძველზე. **პირველ ვერსიას** (მკვლელობა ძარცვის მიზნით) მომხრეები თითქმის აღარ ჰყავს. არც **მეორე ვერსიას** (მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე) შემორჩა ბევრი დამცველი. **მესამე ვერსიას** (მკვლელობა ეროვნული შუღლის ნიადაგზე სომეხი ნაციონალისტების მიერ) არც იმხანად აღა არც ამჯერად ჰყავს მომხრეები. **მეოთხე ვერსია** (სოციალ-დემოკრატების მიერ პოლიტიკური მიზნით განხორციელებული მკვლელობა) 1907 წლიდან დღემდე ყველაზე პოპულარულია. **მეხუთე ვერსია** (ოხრანკის მიერ პოლიტიკური დაკვეთით განხორციელებული მკვლელობა), რომელიც საბჭოთა რეჟიმის პირობებში აშკარად პოლიტიკური მოსაზრებით შეითხზა, დღემდე შემორჩა მომხრეები. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ორივე გამოძიებამ და ორივე სასამართლო პროცესმა (რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს) უპასუხოდ დატოვა ბევრი კითხვა. მათ შორისაა ტერორისტული აქტის განხორციელების საკითხი – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დეტალები. დღეს დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა შეუკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. მკვლელობის ორგანიზება და აღსრულება დაევალათ სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს, რომლებმაც კარგად შენიღბული თავდასხმის შედეგად ილია ჭავჭავაძე სიცოცხლეს გამოასალმეს. მართალია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გადაწყდა და დაიგეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ემიგრაციულ ცენტრებში (ჟენევაში, პარიზში), მკვლელობის კვალის დაფარვაც იმავე ცენტრებში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოხდა, მაგრამ ეს სულაც არ ხსნის პასუხისმგებლობას ქართულ საზოგადოებას. **ქართული საზოგადოება წინ ვერ აღუდგა სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას გზის გმობას, ილიას დევნასა და შევიწროვებას – ვერ დაიცვა ერის სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე.** უფრო მეტიც, იმდროინდელი ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერც ილიას მკვლელობამ გამოაფხიზლა – საზოგადოება ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორც იყო 1907 წლის 30 აგვისტომდე. მხოლოდ დმერთმა უწყისს ჭეშმარიტება: იქნებ ქართული საზოგადოების განწყობილება-მაც იქონია გარკვეული გავლენა ჟენევასა და პარიზში მოკალათებულ უღმერთო და უსამშობლო პოლიტიკოსებზე, როცა ილიას მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ.

ძნელია იპოვო სიტყვები ილიას ნაზრევისა და ნაღვაწის შესაფასებლად. უკვე თქმულიდან ილიას დვაწლს ყველაზე სრულად გამოხატავს სიტყვები: „**ერის სულიერი**

მამა“, „საქართველოს უგვირგვინო მეფე“. და რა დასანანია, რომ ილიას თანამედროვე ქართველობამ ვერ იგრძნო ერის სულიერი მამისა და საქართველოს უგვირგვინო მეფის მადლი. ილიას სახელი ასოცირდებოდა დიდი მწერლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის (თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარის, რედაქტორის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის), სახელმწიფო მოღვაწის (რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრის) სახელთან. **ერის სულიერ მამად და საქართველოს უგვირგვინო მეფედ ილია სიცოცხლეში არავის მიუჩნევია.** ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს არც მისი მკვლევლობა აღუქვამს ერის სულიერი მამისა და საქართველოს უგვირგვინო მეფის მკვლევობად. **ვაჟა-ფშაველამ** სცადა ერის გამოფხიზლება. მან ყველას დაასწრო და ილიას ღვაწლი მოკლედ, მაგრამ ზუსტად შეაფასა. ვაჟა-ფშაველა წერილში „ვერ მოჰკლეს“ ილიას სწორედ ერის სულიერ მამად და საქართველოს უგვირგვინო მეფედ წარმოგიდგენს. ვაჟამ ქართულ სინამდვილეში ილიას ღვაწლის დაფასებისას პირველად იხმარა სიტყვები: „მამა“ („ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას?“), „ქართველთათვის თავდადებული“ („ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი ... ქართველთათვის თავდადებულს“), „ერთადერთი ბურჯი“ („იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით?“), „პირველი ადამიანი“ („ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი, რომ მოგვიკლეს პირველი ადამიანი“). და ბოლოს. ილიას დიდი ღვაწლი ვაჟა-ფშაველამ ორიგინალურად გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „ილიას მკვლევებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავდნენ“. ვაჟა-ფშაველას პათოსს ბევრი არ იზიარებდა – ვაჟასთანა კაცების სიმცირე იგრძნობოდა **მაშინ საქართველში!** თუმცა მთავარი მაინც მოხდა. იმ შავბნელ ეპოქაში ვაჟა-ფშაველამ გარკვევით თქვა: **ილია ღვთისა და ერისათვის მსახურების ეტალონი იყო.**

ქართველი ერისა და საქართველოს გადარჩენაში ილია ჭავჭავაძის ღვაწლი შესაფერისად დააფასა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ. წმინდა სინოდმა ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა **წმინდა ილია მართლის** სახელით.

სამოციანელები

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა წარმოადგენდა საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებებისა და 1832 წლის შეთქმულების ლოგიკურ გაგრძელებას. განსაკუთრებით მჭიდრო იდეური კავშირი არსებობდა 1832 წლის შეთქმულებასა და XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას შორის. წინა ეპოქის ეროვნული მოძრაობისაგან XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას განასხვავებდა რამდენიმე ნიშანი: **პირველი**. ეროვნული მოძრაობა იყო არა ლოკალური, კუთხური, არამედ საერთო-ქართული. მისი მიზანი იყო ქართველობისა და საქართველოს გადარენა; **მეორე**. ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა უნიკალური პროგრამა, რომლის ეტაპობრივ განხორციელებასაც ქართველი ერი უნდა მიეყვანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე; **მესამე**. ეროვნული მოძრაობის სათავეში იდგა ქართული არისტოკრატია, თუმცა თვით ეროვნული მოძრაობა ორიენტირებული არ ყოფილა ქართველი ერის რომელიმე სოციალურ ფენაზე, რომელიმე წოდებაზე, იგი მთელი ქართველი ერის, ყველა სოციალური ფენის, ყველა წოდების სულისკვეთების გამომხატველი იყო; **მეოთხე**. რუსეთის იმპერიასა და საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის სტრატეგია უახლოეს მომავალში არ ითვალისწინებდა საერთო-ქართული აჯანყების დაწყებას რუსეთის წინააღმდეგ და ამ გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას. **მეხუთე**. ეროვნული მოძრაობის უახლოეს მიზანს წარმოადგენდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომ ქართველი ერის გაუცხოების სამასწლიანი (XVI-XVIII სს.) პერიოდის უარყოფითი შედეგების (საერთო-ქართულის უგულვებელყოფის ფონზე კუთხურობის გაძლიერების) დაძლევა, რუსეთის სამოცწლიანი კოლონიური პოლიტიკის დამღუპველი შედეგების ლიკვიდაცია და ბრძოლა მიმდინარე კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი იყო ილია ჭავჭავაძე. ძირითადად ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება ეროვნული მოძრაობის პროგრამის შემუშავება. ეროვნული მოძრაობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლასაც ასევე ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. ამ დიდ ეროვნულ საქმეში ილია ჭავჭავაძეს მხარში ედგა მოღვაწეთა მთელი დასი: **დიმიტრი ყიფიანი**, **ნიკო ნიკოლაძე**, **გიორგი წერეთელი**, **აკაკი წერეთელი**, **იაკობ გოგებაშვილი** და სხვები. ქართულ ისტორიოგრაფიაში მათ „სამოციანელებს“, ასევე „თერგდალეულებს“ უწოდებენ. სამოციანელები ანუ თერგდალეულები „პირველი დასის“ სახელწოდებითაც

არიან ცნობილი. სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მოღვაწეთა იმ ჯგუფთან, რომელიც **XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს დიდ ეროვნულ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.** შემდგომში მათ შეუერთდნენ ახალგაზრდა მოღვაწეები: **სერგეი მესხი, ვაჟა-ფშაველა** და სხვები. დიდია ყოველი მათგანის ღვაწლი ეროვნული მოძრაობის წინაშე, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მაინც განსაკუთრებულად გამორჩეული იყო. **ილია ჭავჭავაძე იყო იდეის მიმცემი, პირველდამწყები და მუხლ აუხრელი მებრძოლი.** ყოველივე ამას თვით ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეები აღიარებდნენ. ნიკო ნიკოლაძე წერდა: „1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა... მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალეთ, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა, თითქმის მარტო ერთი კაცი, – ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა ამ თორმეტი წლის წინათ?“ ილია ჭავჭავაძის ღვაწლი იმდენად დიდია არა მარტო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული მოძრაობის ისტორიაში, არამედ საერთოდ ქართველი ერის ისტორიაში, რომ ძნელდება პასუხი გაეცეს უმნიშვნელოვანეს კითხვას: **ილია ჭავჭავაძე იყო იმ დიდი ეპოქის შედეგი, თუ პირიქით – ეპოქა იყო ილია ჭავჭავაძის შექმნილი, ილიათი განსაზღვრული?**

ეროვნული მოძრაობის პროგრამისადმი მიძღვნილი ერთი ან თუნდაც რამდენიმე ნაშრომი ილია ჭავჭავაძეს არ დაუწერია. ეროვნული მოძრაობის პროგრამის ზოგადად ჩამოყალიბებას, მისი ცალკეული საკითხების დამუშავებას მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის უამრავი პუბლიცისტური წერილი, გაზეთების – „დროებისა“ და „ივერიისათვის“ დაწერილი მოწინავე სტატიები, მოთხრობები, ლექსები, პოემები. ყოველივე ეს იმხანად ლეგალურ გამოცემებში იბეჭდებოდა და ამდენად, ილია ჭავჭავაძეს ყველაფრის პირდაპირ გადმოცემა არ შეეძლო, ცენზურა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც ბევრი რამ ავტორს შეფარვით, ან მხატვრული ნაწარმოებების გმირების პირით აქვს ნათქვამი, ბევრი რამ პუბლიცისტური წერილების სტრიქონებს შორის იკითხება. თუმცა არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც, თუკი ცენზურა ამის საშუალებას იძლეოდა, ილია ჭავჭავაძე სათქმელს პირდაპირ ამბობდა. ყოველივე ამის გამო დღემდე გრძელდება პოლემიკა ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამის ცალკეული დებულების ირგვლივ.

ეროვნული მოძრაობის პროგრამა ბევრ საკითხს მოიცავდა. განვიხილოთ მათგან უმთავრესი.

ერთიანი ქართული მონარქიის წარმოქმნის პროცესში (X-XI სს.) ყალიბდებოდა ერთიანი ქართული ცნობიერებაც. სწორედ ერთიანი ქართული ცნობიერება ედო საფუძვლად საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას, ეკონომიკისა და კულტურის არნახულ აღმავლობას XI-XIII საუკუნეებში. ერთიანი ქართული მონარქიის დასუსტებისა და შემდგომ საქართველოს პოლიტიკური დაშლის პერიოდში (XV-XVIII სს.) ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ ძლიერი დარტყმა განიცადა. ორი ისლამური სახელმწიფოს – სპარსეთისა და ოსმალეთის მზარდი აგრესიის პირობებში აღარ არსებობდა საერთო-ქართული მიდგომა საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი. ყოველ ქართულ სამეფოსა და სამთავროს ხსნის საკუთარი გზა ჰქონდა. სამეფო-სამთავროები თავის გადარენას ხშირად ერთმანეთის გაწირვის ხარჯზე ახერხებდნენ. ყოველივე ამას თან ერთვის დაუსრულებელი ომები ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის, რაც ეროვნულ ცნობიერებას დიდ ზიანს აყენებდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის დაიწყო გაუცხოება, რასაც თან სდევდა საერთო-ქართულის მივიწყება.

ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ძლიერი დარტყმა მიაყენა XIX საუკუნის დამდეგის დიდმა ტრაგედიამ – რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო ქართველის ცნობიერებიდან „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმოფხვრა, ქართული ენის განდევნა, ქართველი ერის ასიმილაცია და საქართველოს გადაქცევა რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დამდეგიდანვე საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ ეროვნული მოძრაობა დაიწყო, რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ყველაზე დიდი ზიანი ამ პერიოდში ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ განიცადა.

ილია ჭავჭავაძე უპირველეს ამოცანად დაკინებული ეროვნული ცნობიერების აღორძინებას მიიწევდა. ვითარება ძალზე სავალალო, თითქმის კატასტროფული იყო. 1866 წელს პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „აბა დაიბახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიდრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო“. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ეროვნული ცნობიერების

დაქვეითებამ ბევრ რაიმეს დაუკარგა მნიშვნელობა ქართულ სინამდვილეში. ასე დაეკარგა პირვანდელი მნიშვნელობა **მამულის** ცნებას. იმავე პუბლიცისტურ წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე“. ამ მდგომარეობამდე ქართველი ერი ერთბაშად არ მისულა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის შექმნილი ვითარება იმდენად მძიმე იყო, რომ თითქოს ხსნის გზაც კი არ ჩანდა. **ეს გზა ილია ჭავჭავაძემ იპოვა.**

ეროვნული ცნობიერების აღორძინების უმთავრეს პირობად ილია ჭავჭავაძეს ქართულ სინამდვილეში ქართული ენის დაბრუნება, ქართული ენის კანონიერ უფლებებში აღდგენა და ქართული ენის სიწმინდის დაცვა მიაჩნდა. ქართული ენის მდგომარეობა კი ძალზე სავალალო იყო. ენა კარგავდა თავის ბუნებრივ დანიშნულებას. ქართული ენის ადგილს რუსული ენა იჭერდა. პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „სადღა არის ქართული ენა? ან გვინდა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ვენს ენას? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინდა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიდა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს, სხვა რისთვის გვინდა ენა?“.

ქართული ენის სიწმინდის დაცვას მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ 1860 წელს დაწერილი პოლემიკური წერილი „**ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვითგან „შეშლილის“ თარგმანზედა**“. სწორედ ამ წერილში წამოაყენა ილია ჭავჭავაძემ საპროგრამო მოთხოვნა: „**სამი დვთაებრივი საუნჯე დაგვრ ა ვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხი გავსცეთ შთამომავლობას?**“. ქართული ენის შენარჩუნება, მისი სიწმინდის დაცვა ქართველი ერისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო, ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო, ამიტომაც აქ კომპრომისი შეუძლებელი იყო. ილია ჭავჭავაძე წერდა: „**სხვისა არ ვიცი და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს**“. ქართული ენის სიწმინდის დაცვაში ილია ჭავჭავაძე ასეთი შეურიგებელი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ქართული ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა განათლებას. ცხადია, განათლების სისტემის რუსიფიკაციის პირობებში, რუსულ სკოლაში ქართველი ბავშვი ეროვნული ცნობიერების საზრდოს ვერ იპოვიდა. განათლების სხვა სისტემა კი საქართველოში არ არსებობდა. ეროვნული მოძრაობის წინამძღოლებმა გამოსავალი იპოვეს. მხედველობაში გვაქვს 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართული სკოლების ორგანიზების საქმეს. საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარობდა ილია ჭავჭავაძე. მთელი ეს საქმიანობა ქართული ენის ტოტალური დევნის პირობებში მიმდინარეობდა. ორგანიზაციის მასშტაბურობაზე ის მიუთითებს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები საქართველოს გარდა გაიხსნა რუსეთის იმპერიის იმ ადგილებში, სადაც ქართველი მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობდა (ვლადიკავკაზი, ალაგირი, მოზდოკი, ნალ იკი, ბაქო); დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული სკოლის გახსნას სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, საინგილოში. იმხანად ქართული სკოლის ორგანიზება ძნელი იყო, სხვას ყველაფერს თავი დაეანებოთ, ფინანსური თვალსაზრისითაც. ამ მხრივ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დიდი დახმარება აღმოუჩინეს ტფილისისა და ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკებმა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეარ ია პედაგოგთა ბრწყინვალე კადრები, რომელთაც „დედა ენით“ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა შეასწავლეს და, ამდენად, ქართულ სინამდვილეს, ქართულ სამყაროს სამუდამოდ დაუკავშირეს ქართველი ბავშვი. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლებში ქართულ ენასთან ერთად ყველა სხვა სასწავლო დისციპლინა ქართულ ენაზე ისწავლებოდა – სამყაროს შეცნობას, აზროვნებას ბავშვი ქართულ ენაზე იწყებდა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ცნობიერების გადვიძების საქმეში. ქართული სკოლის ორგანიზებით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში სრულიად განსხვავებული – გამორჩეული – როლი შეასრულა.

ქართული ეროვნული ცნობიერების გადარ ენის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენამ“. განათლების სისტემის რუსიფიკაციის

პირობებში, როცა ქართული სკოლის ორგანიზებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, იაკობ გოგებაშვილი ქმნის სახელმძღვანელოებს – „**ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის**“ (1865) და „**დედა ენა**“ (1876). „დედა ენის“ შექმნა საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება – „დედა ენა“ ქართული ეროვნული ცნობიერების გადარ ენის სახელმძღვანელოც იყო.

ეროვნული ცნობიერების გამოცოცხლებას დიდად შეუწყო ხელი ქართულმა პრესამ, ქართულმა პერიოდულმა გამოცემებმა. პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ (შემდეგში „ქართული გაზეთი“) 1819-1821 წლებში გამოდიოდა, მაგრამ არც მას და არც მეორე ქართულ გაზეთს – „ტფილისის უწყებანს“ (1828-1832 წწ.) – არ შეიძლებოდა ეროვნული ცნობიერების გაღვიძების საქმეში მნიშვნელოვანი როლი არ ეთამაშა. ეროვნული ცნობიერების გაღვიძებას ისახავდა მიზნად **სოლომონ დოდაშვილის** ხელმძღვანელობით 1832 წელს „ტფილისის უწყებანის“ დამატების სახით გამოცემულ „**სალიტერატურნო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი**“ (ამ ჟურნალის სულ ხუთი ნომერი გამოვიდა). მართალია, მწვავე ეროვნულ პრობლემებზე მასალების ბეჭდვის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ **გიორგი ერისთავის** ხელმძღვანელობით გამოშვებული ჟურნალი „**ცისკარი**“ (1852-1853 წწ.) მაინც დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგივე ითქმის 1857 წელს **ივანე კერესელიძის** მიერ განახლებულ ჟურნალ „**ცისკარზე**“.

ქართული პრესა და, საერთოდ, ქართული პერიოდული გამოცემები ქართველობისა და საქართველოს გადარ ენისათვის დაწეებულ მოძრაობაში გადაჭრით ჩაებნენ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. 1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს ჟურნალ „**საქართველოს მოამბეს**“, რომელმაც სულ ერთი წელი იარსება. ეროვნულ მოძრაობას დიდი ღვაწლი დასდო გაზეთმა „**დროებამ**“ (1866-1885), რომლის პირველი რედაქტორი **გიორგი წერეთელი** იყო (1869-1883 წლებში გაზეთს **სერგეი მესხი** რედაქტორობდა, შემდეგ, დახურვამდე – **ივანე მაჩაბელი**). ქართული პერიოდული გამოცემების ფლაგმანის როლი ილია ჭავჭავაძის „**ივერიას**“ (1877-1906) ხვდა წილად (1877-1878 წლებში „ივერია“ გამოდიოდა კვირეული გაზეთის სახით, 1879-1886 წლებში – თვიური ჟურნალის სახით, 1886 წლიდან კი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა).

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ ქართველი ერისთვის გაცილებით იმაზე მეტს წარმოადგენდა, ვიდრე ჟურნალი ან გაზეთი. „ივერიის“ ფურცლებზე აღიძვრებოდა და გადაიჭრებოდა ხოლმე ქართველი ერის წინაშე მდგარი დიდი თუ მცირე პრობლემა. „ივერიის“ მიერ განსაზღვრული მიმართულება, ქართული სინამდვილის რომელ

მხარესაც უნდა შეხებოდა იგი, საყოველთაო და გაბატონებული ხდებოდა. ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი მიუძღოდა „ივერიის“ რედაქტორს და მის უახლოეს თანამშრომლებს – გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ყიფშიძეს, სტეფანე ჭრელაშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, ილია ბახტაძეს, გიორგი ლასხიშვილს, კიტა აბაშიძეს, პეტრე უმიკაშვილს და სხვებს. „ივერიაში“ იბეჭდებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი. სრულიადაც არ არის გადაჭარბებული „ივერიაზე“ თქმული: „ივერია“ საქართველოს მთავრობა იყო.

„ივერიის“ გვერდით საქართველოსა და ქართველობის გადარ ენისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს გაზეთმა „კვალმა“ (1893-1904 წწ.), ჟურნალმა „მოამბემ“ (დაარსდა 1894 წ.), გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ (1896-1906 წწ.).

ქართული პრესასთან, ქართულ პერიოდულ გამოცემებთან ბრძოლაში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მესვეურებმა სასტიკი მარცხი იწვნეს – ქართულმა პრესამ გააღვიძა და ერთი მიზნისათვის დარაზმა ერი.

ქართული წიგნის გამოცემა არ შეიძლებოდა მოგვარებულიყო სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე, პირიქით – კოლონიური ხელისუფლება, რუსეთის ცენტრალური მთავრობა, ყოველმხრივ აფერხებდა ქართული წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების საქმეს. სამოციანელთა თაობამ კარგად დაინახა, რომ ქართული პერიოდული გამოცემების გვერდით აუცილებლად უნდა აღორძინებულიყო ქართული წიგნის გამოცემის საქმე. ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო ძველი, კლასიკური, და ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლთა პოპულარიზება. აღზრდისა და განათლების საქმის ორგანიზება გადაუდებლად ითხოვდა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ხასიათის ნაშრომთა, ასევე სახელმძღვანელოთა გამოქვეყნებას. 1851-1867 წლებში დაიბეჭდა იმაზე მეტი წიგნი, ვიდრე წინა 50 წლის განმავლობაში; XIX საუკუნის 60-იან წლებში ყოველწლიურად 5-12 წიგნი იბეჭდებოდა. 1868 წელს დაიბეჭდა 11 სახელწოდების ქართული წიგნი, 1878 წელს – 45, 1893 წელს – 93, 1899 წელს – 112. 1868-1892 წლებში 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო გამოიცა. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი გამარჯვება.

ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში თავისი განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა ქართულ თეატრს. 1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული პირველი ქართული თეატრი 1856 წელს დაიხურა. მუდმივი ქართული თეატრი ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით

მხოლოდ 1879 წელს აღადგინა. 1880 წელს დრამატული თეატრი დაარსდა ქუთაისშიც. მ. კატკოვს, რომლის ცხოვრების მიზანი რუსეთის იმპერიის ძლიერების შენარჩუნება იყო, არაფერი გაუზვიადებია – მან ზუსტად შეაფასა ის დიდი საფრთხე, რასაც პატრიოტული თემისადმი მიძღვნილი პიესები ქმნიდნენ.

ეროვნული ცნობიერების გამოღვივების, შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის ბრძოლაში წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლას. საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცა ილია ჭავჭავაძემ პუბლიცისტური წერილების სერიაში „**აი ისტორია**“ (1889 წ.), რომელიც მიმართული იყო რუსული ნაროდნიკული მოძრაობის ცნობილი მოღვაწის ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ. ნიჰილიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ტყვეობაში მყოფი ივანე ჯაბადარი თავის ნაშრომში „**Письма о Грузии**“ შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ქართველი ერის ისტორიაში საამაყო არაფერია, რომ ქართველი ერი დაბერდა და მას მომავალი არა აქვს. ამ შემთხვევაში ივანე ჯაბადარი დიდ სამსახურს უწევდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ილია ჭავჭავაძემ დასაბუთებულად უარყო ივანე ჯაბადარის ყველა არგუმენტი. სომეხ მეცნიერთა, ასევე მათ თანამოაზრე სხვა მეცნიერთა მხრიდან საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგაა მიმართული ილია ჭავჭავაძის უბრწყინვალესი ნაშრომი „**ქვათა ღაღადი**“ (1899 წ.). ამ ნაშრომში საქართველოს და სომხეთის ისტორიის ღრმა, მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით ილია ჭავჭავაძემ გამოაშკარავა სომეხ მეცნიერთა შეხედულებების სიყალბე, მათი მისწრაფების პოლიტიკური მიზანი. „**ქვათა ღაღადი**“ დღესაც რჩება მეცნიერული კრიტიკის პუბლიცისტური ფორმით გადმოცემის უბადლო ნიმუშად.

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვამ და განვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართველი არისტოკრატია (თავადაზნაურობა). ახალმა ეპოქამ, ცხოვრების ევროპეიზაციამ დიდი რაოდენობით ფულის საჭიროება წარმოშვა. თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილისათვის ფულის ერთადერთ წყაროს მიწა წარმოადგენდა. თავადაზნაურობის მხოლოდ მცირე ნაწილი საზრდოობდა სახელმწიფო სამსახურისაგან მიღებული შემოსავლით. ცალკეული ოჯახის მემკვიდრეობით საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თანდათან მცირდებოდა ოჯახის წევრებს (ძმებს) შორის მიწის გაყოფის შემდეგ, მცირდებოდა მიწისაგან მიღებული შემოსავალი. **უსახსროდ დარჩენილი ქართველი არისტოკრატია სომეხი ბურჟუაზიისაგან ფულის სესხებით ცდილობდა მდგომარეობის ხსნას.** დიდი ნაწილი ვალის დაბრუნებას ვეღარ ახერხებდა და

იძულებული ხდებოდა, ვალი მიწის გაყიდვით მიღებული შემოსავლისაგან დაეფარა. მიწის მყიდველი ძირითადად ისევ სომეხი ბურჟუაზია იყო. ასე ნელ-ნელა გადადიოდა სომეხი ბურჟუაზიის ხელში ქართული მიწა. სომეხი ბურჟუაზიის ხელში ქართული მიწის გადასვლა მისაღები იყო კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციისათვის. ქართველი თავადაზნაურობის გადატაკება და არაქართული ბურჟუაზიის ეკონომიკური გაძლიერება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა. ამ უმძიმესი ვითარებიდან გამოსავალი ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა იპოვეს. მხედველობაში გვაქვს ტფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების დაარსება.

ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა, ისევე როგორც ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა, პირდაპირ იხსნა საქართველო, ქართული მიწა. ბანკის დაარსების იდეა თავის დროზე დიმიტრი ყიფიანმა წამოაყენა. ბატონყმობის გაუქმებისას მთავრობამ მემამულეებს მისცა გარკვეული თანხა. დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც იმხანად ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი იყო, დაითანხმა თავადაზნაურობა, რათა მიღებული თანხის ნაწილი არ დარიგებულიყო და გადაღებულიყო ბანკის დასაარსებლად. დადგენილება ბანკის დაარსების შესახებ გამოტანილი იყო ჯერ კიდევ 1867 წელს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი არ უნდა ყოფილიყო თავადაზნაურთა წოდებრივი ორგანიზაცია. ილია ჭავჭავაძე წერდა: ტფილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის „ნიშნდობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განაჩნევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა“ ცხადია, ასეთი ბანკის დაარსებას დიდი წინააღმდეგობა შეხვედებოდა. საქმე გაჭიანურდა. ბანკის შექმნისათვის გადამჭრელი აქტიური მუშაობა 1872-1873 წლებიდან დაიწყო და ამ საქმეს ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში. მან ბანკის ორგანიზაციის საქმე ბოლომდე მიიყვანა. 1875 წელს გახსნილი ტფილისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედაც ილია ჭავჭავაძე აირჩიეს. იგი ამ პოსტზე 30 წელს იმყოფებოდა. დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც ასევე სამოციანელთა თაობის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით დაარსდა.

ამიერიდან უსახსროდ დარჩენილ ქართველ არისტოკრატებს შეეძლო მიწის გირაოს სანაცვლოდ ფული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკისაგან მიეღო სესხად და არა სომეხი ბურჟუაზიისაგან. თუ ფულის მსესხებელი ვალს ვერ დააბრუნებდა მისი მამული ბანკის საკუთრება ხდებოდა და არა სომეხი ბურჟუაზიისა. ამასთან ერთად, ბანკის მფლობელობაში გადასული მამული შეიძლებოდა ძველ მფლობელს უკან დაებრუნებინა, თუკი მიწის ღირებულებას გადაიხდიდა.

XIX საუკუნე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი მთელ მსოფლიოში დიდი ეროვნული მოძრაობების ეპოქა იყო. ეროვნულ მოძრაობას ყველგან ახალფესადგმული ან უკვე მომძლავრებული ბურჟუაზია ედგა სათავეში. სხვა ვითარება იყო საქართველოში. XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა დაიწყო და მიმდინარეობდა ქართული ბურჟუაზიის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ბატონ-პატრონისა და როგორც ორგანიზებული პოლიტიკური ძალის, არარსებობის პირობებში. ეს თავისთავად აყენებდა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის საკითხს. ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის როლი შეიძლებოდა მხოლოდ ქართულ არისტოკრატებს (თავადაზნაურობას) შეესრულებინა. ამ სოციალურ ფენას (წოდებას) დიდი ტრადიცია და ისტორიული გამოცდილება ჰქონდა, იგი იყო დიდი ინტელექტუალური პოტენციალის მატარებელი. მართალია არისტოკრატის ნაწილი შეურიგდა რუსეთის ბატონობას, მაგრამ მთლიანად ქართული არისტოკრატია თანაუგრძნობდა ეროვნულ მოძრაობას, უფრო მეტიც: ქართულმა არისტოკრატებმა დაიწყო წინააღმდეგობის მოძრაობა ეროვნული დროშით. ასე იყო XIX საუკუნის დამდეგს, ასე იყო 1832 წელს, ასე იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგსაც.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის ქართველი ერი რამდენიმე წოდებად, სოციალურ ფენად იყოფოდა (თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები). ყველა სოციალურ ფენას თავის მისწრაფება ჰქონდა. ეს მისწრაფებები აძნელებდა ერის ერთი მიზნისათვის დარაზმვას. ერის სოციალური ფენების ერთმანეთთან დაპირისპირება დიდ საფრთხეს შეიცავდა. ამ საფრთხეზე ცხადად მიანიშნა ილია ჭავჭავაძემ პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“ წერილში კვითხულობთ: „ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უ ინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხსა ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, ნუთუ

ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი?“ ილია ჭავჭავაძეს დიდ საშიშროებად მიაჩნია ის, რომ „ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური-თავადსა, ორივენი – გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს“.

წოდებათა, სოციალურ ფენათა დაპირისპირებას ობიექტური მიზეზები განსაზღვრავდა. ამ მიზეზების მოსპობა, ცხადია, ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეთ არ შეეძლოთ. სამაგიეროდ, ილია ჭავჭავაძეს საგვებით შესაძლებლად მია ნდა ეროვნული ცნობიერების აღორძინების საფუძველზე შელახული ეროვნული ღირსების დაცვისათვის ქართველი ერის ყველა წოდების, ყველა სოციალური ფენის გაერთიანება. ხსნის სხვა გზა ქართველ ერს არ გააჩნდა. სწორედ ამიტომ წერდა ილია ასე დაბეჭდვით 1888 წელს გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ მოწინავეში: „ჩვენი გულითადი რწმენა, ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი და გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ“.

ქართული სინამდვილიდან გამომდინარე წოდებათა შერიგებასა და სოციალურ ფენათა დაპირისპირების თავიდან აცილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც თავადაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხს ენიჭებოდა. ილია ჭავჭავაძემ ბატონის წინააღმდეგ ამბოხებული გლეხების კაკოსა და ზაქროს სახეები შექმნა. პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, ხოლო მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ დახატა მუამბოხე – შურისმაძიებელი გაბრიელი. მათ გვერდით შექმნა გლეხ გიორგის და თავადების არჩილისა და კესოს მეტად საინტერესო პორტრეტები მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“. საქართველოს მომავალი ამ ორი წოდების ერთ მიზნისათვის გაერთიანებაზე, საერთო ნიადაგზე დგომაზე იყო დამოკიდებული. მათ შორის ომი ეროვნული მოძრაობის დასამარებას ნიშნავდა. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს და ცოტა მოგვიანებითაც ილია ჭავჭავაძეს წოდებათა შერიგება შესაძლებლად მია ნდა. XIX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებმა (მუშათა მოძრაობის დასაწყისში პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების აღმოცენებამ, სოციალური ვითარების დაძაბვამ სოფლად და ა. შ.) მას ეს იმედი დაუკარგა.

ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამაში აშკარად, დეკლარირებულად, არ ყოფილა წამოყენებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. თუმცა ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის

დასაწყისში დაწერილ ნაწარმოებში „მეზავრის წერილები“ (1861 წ.) ავტორმა მთელი სიცხადით დაგვანახა XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი: **ქართველი ერის შეურიგებლობა რუსულ სახელმწიფოებრიობასთან.** მართალია, **ლელთ ღუნის** ნათქვამი – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს“, ილია ჭავჭავაძეს არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ცხადია თუ რას გულისხმობდა ამ სიტყვებში მოხევეცა და ილია ჭავჭავაძეც. ლეგალურ გამოცემაში დამოუკიდებლობის იდეის უფრო სრულად, უფრო დაწვრილებით ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო. ეს კარგად გვაგრძნობინა ილია ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვებით: **„ჩემმა მოხვევამ მე კიდევ ბევრი სხვა რამ მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწყერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა...“**

XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის საბოლოო მიზანი იყო **ქართველი ერის მომზადება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.** ყველაფერი ამას ემსახურებოდა: ქართული ენის სიწმინდისა და უფლებების დაცვა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა, ტფილისისა და ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკები, ეროვნული ცნობიერების გამოღვივება და შელახული ეროვნული ღირსების აღდგენა, საერთო მოქმედების ნიადაგის შექმნა. **ეროვნულ მოძრაობას ქართველი ერი უნდა მიეყვანა იმ ზღვრამდე, რომლის იქითაც დაიწყებოდა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.** ჯერჯერობით კი რუსეთის იმპერიასა და საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება შეუძლებელს ხდიდა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლთაგან უფრო რადიკალური პროგრამის წამოყენებას, უფრო რადიკალურ მოქმედებას.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ეროვნულმა მოძრაობამ დასახულ მიზანს მიაღწია. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების კარგად გააზრებულმა, მუხლ აუხრელმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. სავსებით ცხადი გახდა, რომ **ქართველობა და საქართველო გადარჩა.** ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა. ქართველი ერის გარუსების, ასიმილაციის, საქართველოს რუსეთის იმპერიის ნაწილად გადაქცევის ცდა უშედეგოდ დამთავრდა. კატასტროფა, რომელიც რუსეთის სამოცწლიანი ბატონობის შემდეგ თითქოს რეალური ჩანდა, თავიდან იქნა აცილებული.

ქართულ ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა სხვა, გაცილებით შორს მიმავალი შედეგებიც. ილია ჭავჭავაძემ და სამოციანელთა დიდმა თაობამ მემკვიდრეობით მიიღეს

შელახული ეროვნული ღირსება, მიმქრალი ეროვნული ცნობიერება, დევნილი და პარტივაციური ქართული ენა, ორ გუბერნიად გაყოფილი ისტორიული საქართველო, და ნაცვლად ამისა, როცა 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერია აღესრულა, ქართველთა გონებაში სრულიად უმტკივნეულოდ გაცნობიერდა ერთიანი საქართველოს, ერთიანი ქართველი ერის გამომხატველი ცნებები: „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“, „საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“, „საქართველოს ეროვნული საბჭო“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ეს იყო წინა ეპოქის დიდი ეროვნული მოძრაობის მონაპოვარი. სწორედ მას დაემყარა ქართული სახელმწიფოებრიობა 1918 წელს.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო

საადგილმამულო ბანკი

ქართული ფეოდალური არისტოკრატის (თავადების, აზნაურების) ეკონომიკურად დაუძღვრების პროცესი ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის (XIX საუკუნის დამდეგი) შემდეგ, ბურჟუაზიულ ურთიერთ ბათა ჩასახვისა და განვითარების კვალობაზე, ეს პროცესი დაჩქარდა. საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წინა ხანებისათვის (XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის) ქართველი თავადაზნაურობა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძირძველი ქართული არისტოკრატიული საგვარეულოების (თავადების) მამულების დიდი ნაწილი, როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოში, არარენტაბელური იყო. მამულიდან მიღებული შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ თავადთა ოჯახების უმრავლესობა ფულის მუდმივ დეფიციტს განიცდიდა. ქართველი თავადები იძულებული გახდნენ ფულის სესხება დაეწყოთ. ფული გამსესხებელი კი საქართველოში ძირითადად არაქართველი (სომხური) ბურჟუაზია იყო. წლების განმავლობაში ქართველ თავადებს დიდი ვალი დაუგროვდათ. იყო შემთხვევები, როდესაც ყოველწლიურად პროცენტის სახით გადასახდელი თანხის რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა ნასესხები თანხის რაოდენობას (თავნს). ვალის გადასახდელი თანხის მოპოვება ქართველ თავადებს მხოლოდ მიწის გაყიდვით შეეძლოთ. მიწის მყიდველი კი ისევ არაქართველი (სომხური) ბურჟუაზია იყო. ასე დაიწყო ქართული მიწის გადასვლა არაქართველი ბურჟუაზიის ხელში. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო აზნაურობა. მიწისა და ყმა-გლეხების სიმცირემ აზნაურობა უკიდურესად გააღატაკა.

თავადაზნაურობის ეკონომიკურად დაუძღვრების პროცესი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წავიდა წინ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (თბილისის გუბერნიაში ბატონყმობა გაუქმდა 1864 წელს, ქუთაისის გუბერნიის ნაწილში – იმერეთში, გურიასა და რაჭაში – 1864 წელს, აფხაზეთში – 1870 წელს, სვანეთში – 1871 წელს). ეკონომიკურად ისედაც დაუძღვრებულმა ქართველმა

არისტოკრატთა მიწის ნაწილი დაკარგა (გლეხობას გადასცა), რაც მთავარია, დაკარგა უფასო მიწა ძალა (ყმები). ამასთან ერთად თავადაზნაურობამ, განსაკუთრებით თავადებმა, გლეხობისთვის მიცემული მიწის სანაცვლოდ გამოსასყიდის სახით, მიიღო დიდი თანხა. **ქართული არისტოკრატის მომავალი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რამდენად უნარიანად გამოიყენებდა იგი გამოსასყიდის სახით მიღებულ თანხას.**

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალმა (წინამძღოლმა) თავისი ნიჭითა და ერუდიციით გამორჩეულმა **დიმიტრი ყიფიანმა** დროულად გააცნობიერა დიდი ეროვნული საფრთხე: ბატონყმობის გაუქმების დროს გამოსასყიდის სახით მიღებულ თანხას თავადაზნაურობა უნარიანად ვერ გამოიყენებდა, ფულს დახარჯავდა და ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ისედაც შემცირებული მიწის გაყიდვას დაიწყებდა. ეს იქნებოდა დიდი ეროვნული ტრაგედია. **ქართველი თავადაზნაურობის მიწა ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობის პირობებში არაქართველი (ძირითადად სომხური) ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდებოდა.** ეკონომიკურად დაუძლურებული ქართული არისტოკრატია ერის ცხოვრებაში თავისი ტრადიციული მისიის შესრულებას ვერ შეძლებდა. ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობის გამო ქართულ არისტოკრატიას ერის წინამძღოლის როლი ეკისრებოდა, მისი შემცველი ძალა იმხანად საქართველოში არ ჩანდა. 1864 წლის 31 აგვისტოს დიმიტრი ყიფიანმა მოწოდებით მიმართა თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლებს. დიმიტრი ყიფიანმა წამოაყენა იდეა: თავადაზნაურობას მიღებული თანხის ნაწილი ქვეყნის სასიკეთო საქმისათვის გადაედო. დიმიტრი ყიფიანს კარგად ესმოდა, რომ ამ იდეის განხორციელება ძნელი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ მან წერილით მიმართა და მხარდაჭერა სთხოვა სხვა გავლენიან პირებს: ივანე მალსაზის ძე ანდრონიკაშვილს, დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანს, გიორგი რომანის ძე ერისთავს, რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილს, დავით ალექსის ძე ჭავჭავაძეს, რამაზ დიმიტრის ძე თარხან-მოურავს, დიმიტრი ივანეს ძე აფხაზს, კონსტანტინე ქაიხოსროს ძე მამაცაშვილს, გაბრიელ ივანეს ძე ყორღანაშვილს და გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსებას და ბანკის საწესდებო კაპიტალისათვის თანხის გაღებას თავადაზნაურობაში მომხრეებიც გამოუჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც. 1867 წლის 6 მაისს გაიხსნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობა. დიმიტრი ყიფიანმა ყრილობას წარუდგინა მის მიერ შემუშავებული ბანკის წესდების პროექტი. ყრილობამ 8 მაისს მიიღო გადაწყვეტილება წესდების პროექტის შემუშავების მიზნით აერჩიათ სარედაქციო კომიტეტი. სარედაქციო კომიტეტში შევიდნენ: დიმიტრი ყიფიანი (კომიტეტის თავმჯდომარე), ივანე ანდრონიკაშვილი, ლევან მელიქიშვილი, მიხეილ ლორის-მელიქოვი, გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი. 1867 წლის 23 დეკემბერს ბანკის წესდების პროექტი გადაეცა თბილისის გუბერნატორს, რომელმაც 1868 წლის 17 მაისს წესდების პროექტი შესასწორებლად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალ დიმიტრი ყიფიანს დაუბრუნა. ხელისუფლების მიერ მოწვეულმა ექსპერტმა ნ. ვოდოვმა დიმიტრი ყიფიანი აიძულა წესდება არსებითად გადაემუშავებინა. ნ. ვოდოვის ერთ-ერთი შესწორება ასეთი იყო: დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებული წესდების პროექტის მიხედვით ბანკის დამფუძნებლები მხოლოდ თავადაზნაურობა უნდა ყოფილიყო. ნ. ვოდოვის შესწორების მიხედვით კი დამფუძნებელი ნებისმიერი პირი შეიძლება გამხდარიყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბანკში წამყვან როლს უცხოტომელი ბურჟუაზია დაიკავებდა. 1870 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ბანკის წესდების პროექტი დასკვნისათვის გაუგზავნა რუსეთის ფინანსთა მინისტრს. ფინანსთა მინისტრიც დასკვნის შინაარსი ასეთი იყო: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას არ გააჩნია იმდენი თანხა, რაც საჭირო იყო ბანკის დაარსებისათვის საწესდებო კაპიტალის სახით, ხოლო სახელმწიფო ხაზინას დახმარების საშუალება არ აქვსო. ბანკის დაარსების საქმე გაურკვეველი ვადით გადაიდო. 1870 წლიდან თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსების საქმეს დიმიტრი ყიფიანი ჩამოშორდა, რადგან იგი ამ დროიდან თანადაზნაურობის მარშალი აღარ იყო. 1870-1872 წლებში ბანკის წესდების განხილვა არ შეწყვეტილა, თუმცა პრაქტიკულად თვით ბანკის დაარსების საქმემ წინ ვერ წაიწია.

ბანკის დაარსების ისტორიაში ახალ ეტაპი იწყება 1873 წლის იანვრიდან, მას შემდეგ რაც ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა ბანკის მმართველად ილია ჭავჭავაძე აირჩია. ბანკის დაარსების დასაჩქარებლად ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც დიდი მუშაობა გასწია. 1874 წლის 28 მაისს რუსეთის მთავრობამ დაამტკიცა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება. 1874 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობა. ყრილობამ 138 ხმით (წინააღმდეგი 12 იყო) ბანკის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე აირჩია, დირექტორებად ალექსანდრე ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე ერისთავი. 1875 წლის 28 იანვარს შედგა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კრება. კრების დამთავრების შემდეგ ბანკმა ფუნქციონირება დაიწყო.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი წინ აღუდგა ქართველი თავადაზნაურობის მიწის უცხოტომელი (სომხური) ბურჟუაზიის ხელში გადასვლას. ამიერიდან ქართველ თავადსა და აზნაურს, სომხური ბურჟუაზიისაგან ფულის სესხების ნაცვლად, შეეძლო სესხი აერო ბანკისაგან. ცხადია, სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკში გირაოდ დადებულ მიწას სესხის ამღები კარგავდა, მაგრამ ქართული მიწა უცხოტომელის ხელში არ აღმოჩნდებოდა, იგი ბანკის საკუთრებაში გადადიოდა. ამასთან ერთად, მიწის ყოფილ მფლობელს უფლება ჰქონდა, ბანკის საკუთრებაში გადასული მისი მიწა გამოსყიდვის გზით უკან დაებრუნებინა. ამ გზით ბანკმა ქართული მიწა პირდაპირი გაგებით იხსნა უცხოტომელებზე გასხვისებისაგან.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მოღვაწეობა სხვამხრივაც მეტად საყურადღებოა. შევეხებით ბანკის მოღვაწეობიდან უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, კერძოდ ბანკის ღვაწლს კახეთის რკინიგზის მშენებლობაში; განათლების მეცნიერებისა და კულტურის ეროვნული კადრების აღზრდაში; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და ქართული თეატრის დაარსებასა და ფუნქციონირებაში; მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში.

კახეთის რკინიგზის მშენებლობის საკითხი პირველად 1878 წლის 26 აპრილს დაისვა თბილისის თავადაზნაურობის საგანგებო კრებაზე. კრებამ მხარი დაუჭირა რკინიგზის მშენებლობას, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა თავადაზნაურობის თხოვნა. 1892 წელს ხელახლა აღიძრა საკითხი კახეთის რკინიგზის მშენებლობის შესახებ. მართალია, ამჯერად საკითხი დადებითად გადაწყდა, მაგრამ ხელისუფლებამ სხვადასხვა მიზეზებით არ მოისურვა მშენებლობის ხარჯების გაღება. ხელისუფლებამ ურჩია თავადაზნაურობას თვითონ შესდგომოდა რკინიგზის მშენებლობას კონცესიის სახით და მშენებლობის პროექტი წარედგინა მთავრობისათვის დასამტკიცებლად. 1896 წლის ივლისში თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ თბილის-კახეთის რკინიგზის მშენებლობის საქმეთა მოსაგვარებლად, მშენებლობის სახსრების გამოსაძებნად, გუბერნიის მარშლის თაგმჯდომარეობით აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ივანე ამილახვარი, ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკი, ილია ჭავჭავაძე, დავით ავალივიშვილი, სიმონ ვახვახიშვილი. ამ დროიდან კიდევ კარგა ხანმა განვლო სანამ რკინიგზის მშენებლობას შეუდგებოდნენ. 1910 წლის 21 ივლისს დამტკიცდა სააქციო საზოგადოების წესდება და მიიღეს კახეთის რკინიგზის მშენებლობის უფლება, ფაქტობრივად რკინიგზის მშენებლობა 1912 წელს დაიწყო და დამთავრდა 1915 წლის იანვარში, ხოლო ოფიციალურად გაიხსნა იმავე წლის ოქტომბერში.

თბილისის გუბერნიის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკმა დიდი ღვაწლი დასდო განათლების გავრცელებას და ქართული ეროვნული კადრების მომზადების საქმეს. ბანკი თავისი მოღვაწეობით რაქტიკულად წინ აღუდგა განათლების სფეროში რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ქართულ ენაზე განათლების მიღებისა და ქართული კულტურის წინააღმდეგ მიმართულმა აქციებმა განსაკუთრებით აღვირახსნილი ხასიათი მიიღო XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან. კავკასიის ოლქის ახლად დანიშნულმა მზრუნველმა კ. იანოვსკიმ სკოლებში ქართული ენის სწავლების შეზღუდვა დაიწყო.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის დიდი დაინტერესება განათლების ეროვნული სისტემის დამკვიდრებით. სწორედ ამიტომ შეხვდა ილია აღფრთოვანებით 1878 წელს „ლარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის

თავადაზნაურთა საზოგადოების” შექმნას. ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისმ აირჩია გამგე კომიტეტი – თავმჯდომარე: გ. ერისთავი, თავმჯდომარის ამხანაგი კ. მამაცაშვილი, წევრები: ვ. თუმანიშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ლ. მაღალაშვილი, გ. ერისთავი, ნ. ქანანოვი. კომიტეტმა შეადგინა სათანადო წესდება, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის 1880 წელს დაამტკიცა. 1879 წელს კ. მამაცაშვილმა წინადადებით მიმართა ბანკის წევრთა კრებას, რათა ბანკის შემწეობით დაარსებულიყო ქართული გიმნაზია, რისი განხორციელებაც მაშინ შეუძლებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ბანკის სახსრებით 1884-1885 სასწავლო წელს გაიხსნა პირველი პროგიმნაზიური კლასი. პროგიმნაზიური კლასების გახსნა დასრულდა 1890 წელს. 1890 წლიდან 1896 წლამდე თბილისის კერძო სათავადაზნაურო სკოლა პროგიმნაზიის სახით არსებობდა. 1896 წელს ქართულ გიმნაზიაში გაიხსნა მეხუთე კლასი. თბილისის ქართულმა გიმნაზიამ, რომელიც 1923 წლამდე არსებობდა, დიდი როლი შეასრულა ეროვნული კადრების მომზადების საქმეში. საზოგადოების წესდებით, სკოლა თავადაზნაურთა შვილებისთვის იყო გახსნილი, ფაქტობრივად კი სკოლაში ყველა წოდების ბავშვი იღებდა განათლებას. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა. 1898 წელს სკოლაში სწავლობდა: თავადაზნაურობიდან 278 მოწაფე, გლეხობიდან და მოქალაქეებიდან – 184, სასულიერო წოდებიდან – 29; 1906 წელს: თავადაზნაურობიდან – 218, გლეხობიდან – 276, მოქალაქეებიდან – 48, სასულიერო წოდებიდან – 38; 1918 წელს: თავადაზნაურობიდან – 201, გლეხობიდან – 344, მოქალაქეებიდან – 175, სასულიერო წოდებიდან – 56.

თბილისის გუბერნიის საადგილმამულო საადგილმამულო ბანკმა 1879 წლიდან 1909 წლამდე საერთო სარგებლობის კაპიტალიდან თბილისის ქართული გიმნაზიისათვის გაიღო 1304883 მანეთი. ბანკის წმინდა მოგების დიდი ნაწილი სწავლა-განათლების ამ მნიშვნელოვან კერას ხმარდებოდა. 1883 წლის 4 სექტემბერს სოფელ წინამძღვრიანთკარში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლის დაარსების ინიციატორი იყო ილია წინამძღვრიშვილი. ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევს ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობას. ბანკის ზედამდევლობის კომიტეტმა დაადგინა, რომ წინამძღვრიანთკარის

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს ყოველწლიურად ბანკის მოგებიდან მისცემოდა 5000 მანეთი. 25 წლის განმავლობაში ბანკმა სკოლისათვის 125000 მანეთი გაიღო. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრონომიული ცოდნის გავრცელების საქმეში. 1913 წლამდე სკოლაში განათლება მიიღო 623 ახალგაზრდამ. ბანკი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა გორის ქალთა პროგიმნაზიას, თბილისის და თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლებს. გარდა სკოლებისადმი პირდაპირი მატერიალური დახმარებისა, ბანკი სხვა სახითაც უწყობდა ხელს სწავლა-განათლება საქმეს. აღსანიშნავია, რომ თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა 30 წლის განმავლობაში 77300 მანეთი გაიღო სტიპენდიების სახით რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

1879 წელს შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ბანკი ასევე დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა. სერიოზული იფინანსური დახმარება მიიღო ბანკისაგან ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ. ბანკმა 1879 წლიდან 1909 წლამდე თეატრის შენობის შეკეთებისა თუ სხვა საჭიროებისათვის 206000 მანეთი გაიღო.

1892 წელს ქართლის სოფლებში ქავრცელდა ქოლერა, რაც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. 1892 წლის 11 აგვისტოს შედგა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება ქოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის 12 000 მანეთის გამოყოფის თაობაზე. 1893 წლის 11 მაისს შედგა ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრების დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით 6000 მანეთის დაუყოვნებლივ გამოყოფის თაობაზე.

1875 წლიდან 1909 წლამდე თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა საზოგადო საჭიროებისათვის გაიღო 1944136 მანეთი:

1. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას – 1304883 მანეთი,

2. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის ასაგებად – 100979 მანეთი,

3. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს – 105760 მანეთი,

4. თბილისის და თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლებს –

29452 მანეთი,

5. გორის ვაჟთა პროგიმნაზიას – 3500 მანეთი,

6. გორის ქალთა სასწავლებელს – 16452 მანეთი,

7. სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებს – 22236 მანეთი,

8. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს – 4000 მანეთი.

9. ქალთა ინსტიტუტს (სტიპენდიებისათვის) – 10272 მანეთი,

10. უპოვართა თავშესაფარს – 1000 მანეთი,

11. თბილისის სახალხო უნივერსიტეტს – 1000 მანეთი,

12. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტიპენდიებისათვის – 77224

6

მანეთი,

13. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებს – 33399

მანეთი,

14. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას
– 11000

მანეთი,

15. ქართულ დრამატულ საზოგადოებას – 206000 მანეთი,

16. სასოფლო-სამეურნეო გაზეთ „მეურნეს“ – 1800 მანეთი,

17. კავკასიის 1889 და 1901 წლებისა და პარიზის 1900 წლის
გამოფენებში

თბილისის და გუბერნიების მიწათმოქმედთა მონაწილეობის
მისაღებად – 4938

მანეთი,

18. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას – 3000 მანეთი,

19. სტატისტიკური გამოკვლევებისთვის – 9175 მანეთი,

20. კახეთის რკინიგზის საძიებო სამუშაოებისათვის – 15306 მანეთი,

21. ვენახის აგადმყოფობის სამკურნალოდ – 4596 მანეთი,

22. 1892 წელს ქოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად – 12359 მანეთი,

23. სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად – 74427 მანეთი,

24. შიმშილობის დროს მოსახლეობის დასახმარებლად – 7500 მანეთი,

25. სხვადასხვა პირებს – 22034 მანეთი,

26. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისა და სამთავისის მონასტრის
შესაკეთებლად

– 5300 მანეთი,

27. ნუმიზმატური კოლექციის შესასყიდლად – 2000 მანეთი.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა ფუნქციონირება შეწყვიტა 1917 წელს. ბანკის თავმჯდომარის კონსტანტინე აფსაზის ინიციატივით ბანკის მთელი ქონება გადაეცა საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში, ისევე როგორც საერთოდ საქართველოს ისტორიაში, წარუშლელი კვალი დატოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა ქართულ ინტელიგენციაში XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში დაიბადა და სათანადო პროექტიც შემუშავდა. დებულების პროექტი შემუშავეს დიმიტრი ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ვახტანგ თულაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ. დებულების პროექტი მზად იყო 1978 წლის ივნისისათვის. მას ხელს აწერდა 126 კაცი. პროექტი დამტკიცდა 1979 წლის 31 მარტს.

საზოგადოებას დიდი გეგმები ჰქონდა დასახული. მის მიზანს შეადგენდა: „წიგნისა და ცოდნის თავდაპირველი გავრცელება“ კავკასიის სამეფისნაცვლოში მოსახლე ქართველებს შორის. დებულებაში აღნიშნულია, რომ ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოება: “სადაც სკოლები არის გახსნილი, იმათ ხელს უმართავს, სადაც საჭირო იქნება ახალი სკოლების გახსნას ეხმარება, ან თვითონა ხსნის თავისი ხარჯით; სახალხო წიგნების კითხვასა მართავს და საკითხავებსა (ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს – ავტ.) ხსნის; ბეჭდავს სასწავლებლისათვის სახელმძღვანელოებს და სხვა წიგნებს სახალხო საკითხავად; შეადგენს თავის სამწიგნობროს (წიგნოსაცავს – ავტ.) როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად, გაიჩენს წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების საწყობს, რაც მუქთად თუ ფასით იქნება დასარიგებელი; ყოველგვარი საშუალებით მოამზადებს სახალხო მასწავლებელს ან იმ სასწავლებელში, რაც აქამდე არის გამართული, ან არა და თვითონ თავისი ხარჯით გამართავს ამისათვის ცალკე სასწავლებელს”. დებულების მე-3 პარაგრაფში ნათქვამია, რომ დაწყებით სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე წარიმართება, ხოლო რუსული ენა ისწავლება როგორც საგანი.

1879 წლის 15 მაისს შედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა პირველი დამფუძნებელი კრება. კრების მიზანი იყო თავმჯდომარისა და განმგებლის არჩევა, ასევე საზოგადოებაში ახალი წევრების (ნამდვილი წევრების) მიღება. საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ დაასახელა გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო უარი განაცხადა ამ წინადადების მიღებაზე. ამის შემდეგ

საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს **დიმიტრი ყიფიანი**. საზოგადოების გამგეობის წევრებად აირჩიეს: **ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი**, ხოლო კანდიდატებად: **ნ. ქანანოვი, დ. ავალიშვილი და გ. უთურგაული**. საზოგადოების გამგეობამ თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია **ილია ჭავჭავაძე**, ხოლო მდივნად **ალექსანდრე სარაჯიშვილი**. 1880 წლის 20 იანვარს საზოგადოების საერთო კრებამ შეავსო გამგეობის შემადგენლობა. განმგეობის წევრებად აირჩიეს: გიორგი წერეთელი, თედო ჟორდანიას, ივანე გამყრელიძე, იონა მეუნარგია, გიორგი თუმანიშვილი, გიორგი უთურგაული, ხოლო კანდიდატებად: **დ. ავალიშვილი, ნ. ქანანოვი, ვლ. მიქელაძე**. ასეთი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი შემადგენლობა. 1885 წელს საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს **ილია ჭავჭავაძე**, რომელიც ამ მოვალეობას ასრულებდა გარდაცვალებამდე (1907 წ.).

საზოგადოების მოღვაწეობის პირველ წლებში განსაკუთრებით დიდ სამუშაოს ასრულებდნენ: **დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია და გიორგი თუმანიშვილი**. იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე თითქმის გარდაცვალებამდე მოღვაწეობდნენ საზოგადოებაში. მომდევნო ხანებში საზოგადოებას ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს: **ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით კარიჭაშვილმა, გიორგი ყაზბეგმა (საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ) ლუარსაბ ბოცვაძემ და სხვ.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა რიცხვი ასე იზრდებოდა: 1879 წელს საზოგადოებას 245 წევრი ჰყავდა, 1880 წელს – 282, 1881 წელს – 311, 1883 წელს – 319. 1896 წელს საზოგადოებაში 518 წევრი ითვლებოდა, ხოლო 1903 წელს წევრთა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა. 1908 წელს საზოგადოებაში 394 წევრი იყო გაერთიანებული, 1909 წელს – 580, 1913 წელს – 2883. 1896 წლისათვის საზოგადოების გამგეობას წარმომადგენლები ჰყავდა **თელავში, ქუთაისში, ახალსენაკში, საჩხერეში, ფოთში, ლენსუბში, ზუგდიდში, სიღნაღში, ახალგორში, ბორჯომში, შორაპანში, გორში, ყარსში, საინგილოში, ბაქოში და სხვაგან.**

1907 წელს შემუშავდა საზოგადოების ახალი დებულება, რომლითაც მას უძრავი ქონების შეძენის უფლება მიეცა. გამგეობასთან დაარსდა ადმინისტრაციული, სასკოლო, საგმომცემლო, ბიბლიოთეკისა და სახალხო კითხვის, სამუზეუმო სექციები. სექციების დაარსება გამოწვეული იყო საზოგადოების საქმიანობის გაფართოებით.

თითოეულ სექციას გამგეობის წევრი ხელმძღვანელობდა, მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე მოწვეული სპეციალისტები.

1909 წლიდან ჩამოყალიბდა საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები ფართო ავტონომიური უფლებებით. მათ საკუთარი გამგეობები ჰყავდათ. ასეთი განყოფილებების მოწყობა, ცენტრალური გამგეობის ნებართვით, შესაძლებელი იყო ყველგან, სადაც ამის სურვილს ადგილობრივი საზოგადოების 30 წევრი გამოთქვამდა. 1913 წელს საზოგადოების ასეთი განყოფილებები მოქმედებდა: ქუთაისში, ზესტაფონში, ახალციხეში, ბათუმში, ბორჯომში, გორში, გუდაუთში, დუშეთში, ვანში, ზუგდიდში, თელავში, ლიხაურში, ონში, ოჩამჩირეში, სამტრედიიაში, სიღნაღში, სენაკში, სოხუმში, ფოთში, სოჭში, ცხინვალში, ჭიათურაში, ხონში, ქვემო მანხაანში, ხიდისთავში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ: ტუაფსეში, ალაგირში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, კავკავში. ზოგიერთი განყოფილება (ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბაქოს, კავკავის) დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. ქუთაისის გამგეობამ სტამბა შეიძინა და წიგნებს ბეჭდავდა. ბათუმში, სოხუმში, კავკავსა და ბაქოში გახსნილი იყო ქართული სკოლები, რომელთაც ადგილობრივი განყოფილებები ხელმძღვანელობდნენ და ინახავდნენ კიდევ, მათ სასკოლო შენობებიც ააგეს საკუთარი სახსრებით.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუდმივი და საიმედო შემოსავალი, დებულების მიხედვით, საწევრო თანხები უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემოსავლის სიმცირის გამო, საზოგადოებას ამ თანხით რაიმე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება არ შეეძლო. 1879 წელს საგრძნობი თანხა (11000 მანეთის ოდენობით) საზოგადოებას გადასცა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა. აქედან 8000 მანეთი უნდა მოხმარებოდა ქუთაისში ახლად დაარსებულ სათავადაზნაურო სკოლას, რომლის ზედამხედველის ფუნქცია საზოგადოებას ჰქონდა დაკისრებული. 1885 წელს საზოგადოების გამგეობამ შექმნა კომისია ილია ჭავჭავაძის, გიორგი ქართველიშვილისა და ალექსანდრე ჩოლოყაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევადა ფულის შეგროვება და საზოგადოების ნივთიერად გაძლიერება. 1888 წელს გამგეობამ გახსნა წიგნის მაღაზია, რომელიც ვაჭრობდა საზოგადოების მიერ გამოცემული და საკომისიო წიგნებით. 1896 წელს საზოგადოებას წიგნების მაღაზიიდან მოგების სახით დარჩა 7845 მანეთი. 1891 წელს საზოგადოების განკარგულებაში იყო 14439 მანეთი. საზოგადოებას აგრეთვე ებარა ცალკეული ხელუხლებელი ფონდები, რომლებიც შეკრებილი იყო ამა თუ იმ მიზნისათვის, ან ცნობილ პირთა უკვდავსაყოფად. 1890 წლის მიწურულისათვის არსებობდა შემდეგი

ფონდები: შოთა რუსთაველის, მეფე ერეკლესი, დიმიტრი ბაქრაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, იოსებ დავითაშვილის, მამია გურიელის, დიმიტრი ყიფიანის, ივანე კერესელიძის, მარი ბროსეს, რაფიელ ერისთავის, გაბრიელ ეპისკოპოსის. გარდა ამისა არსებობდა სალიტერატურო, სკოლების და სტუდენტთა დახმარების ფონდები. სულ ამ მიზნისათვის გამოყოფილი იყო 9030 მანეთი. 1891 წელს საზოგადოების საერთო კრებაზე გადაწყდა, რომ ცალკეული ფონდებისათვის გამოყოფილი თანხა მოეხმარათ სამუზეუმო შენობის ასაგებად. მალე ფონდები გაერთიანდა. დარჩა მხოლოდ სალიტერატურო ფონდი (1595 მანეთი), ხოლო დიმიტრი ბაქრაძის ძეგლისთვის გადაიდო 400 მანეთი. 1900-1910 წლებში საზოგადოებამ უხვი შემოწირულობები მიიღო. ძმებმა ზუბალაშვილებმა 1904 წელს საზოგადოებას შესწირეს 10000 მანეთი ხელუხლებელი თანხა, რომლის სარგებელსაც საზოგადოება წერაკითხვის გავრცელების საქმეზე ხარჯავდა. მალე ზუბალაშვილებმა საზოგადოებას დამატებით 3000 მანეთი შეწირეს ლექსიკონის შესადგენად. 1908 წლიდან ძმებ ზუბალაშვილებს ოთხი წლის განმავლობაში საზოგადოების სალაროში ყოველწლიურად შეჰქონდათ 6000 მანეთი სტიპენდიების დასაწესებლად. ამავე მიზნით 1912 წლიდან ოთხი წლის განმავლობაში ზუბალაშვილებიდან საზოგადოება ყოველწლიურად ღებულობდა 5000 მანეთს. 1911 წელს გარდაიცვალა ნიკოლოზ ღოღობერიძე, რომელმაც საზოგადოებას უანდერძა 45000 მანეთი სხვადასხვა საჭიროებისათვის (სტიპენდიებისათვის, წიგნების გამოსაცემად, დაწყებით განათლებისათვის). 1912 წელს ქ. სამარაში გარდაიცვალა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელმაც საზოგადოებას დაუტოვა 45000 მანეთი. დავით სარაჯიშვილმა 1910 წელს შედგენილი ანდერძით საზოგადოებას დიდი ქონება დაუტოვა მუზეუმის ასაგებად და სტიპენდიებისათვის. იაკობ გოგებაშვილის ანდერძით საზოგადოებამ მიიღო მისი ყველა წიგნის გამოცემის უფლება. ილია და ოლღა ჭავჭავაძეების ქონება საგურამოში (სახლი, ვენახეი, ტყე და საყანე), აგრეთვე ილიას სახლი თბილისში, ილიას მიერ 1905 წელს შედგენილი ანდერძით, საზოგადოების საკუთრება გახდა.

1914 წლის დასაწყისში საზოგადოების ქონებას შეადგენდა: სამუზეუმო ადგილი „ფიქრის გორაზე“ (10000 მანეთად შეფასებული); ილია ჭავჭავაძისეული მამული საგურამოში (50000 მან.); იაკობ გოგებაშვილის მიერ ნაანდერძევი მიწა ვაკეში (3000 მან.); ილიასეული სახლი თბილისში (14000 მან.); სასკოლო შენობები: კავკავის (60000 მან.), სოხუმის (20000 მან.), ყალამშიის (2000 მან.), ბაქოსი (40000 მან.), ბათუმის (10000 მან.), წინარეხის (2000 მან.), გომარეთის (700 მან.), გერგეთის (2000 მან.); ქუთაისის განყოფილების სტამბა (22242 მან.); სკოლების ავეჯი, წიგნები, სამკითხველოების

ქონება (11310 მან.). ამრიგად, 1914 წლისათვის, ფულადი თანხების გარდა, საზოგადოების ქონება აღემატებოდა 360000 მანეთს, ხოლო საბრუნავი თანხა შეადგენდა 123437 მანეთს.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი პირველი სკოლა 1880 წლის 14 ოქტომბერს გახსნა თბილისში. ნავარაუდები 60 ბავშვისაგან სკოლაში 32 გამოცხადდა, მათგან 10 გოგონა. მოწაფეს უნდა ეხადა სწავლის თანხა – თითო მანეთი თვეში. სკოლას პირველ წელს 400 მანეთის ნაცვლად მხოლოდ 119 მანეთი შემოსვლია. 1881 წლის სექტემბერში სკოლაში მხოლოდ 16 მოწაფე გამოცხადებულა და ისინიც გასვლას აპირებდნენ, თუ სწავლა უფასო არ იქნებოდა. საზოგადოების გამგეობამ 1881 წლის სექტემბერში სკოლა დახურა. სწორედ ამ წელს ქალაქის თვითმმართველობამ თბილისში ორი ქართული სკოლა გახსნა, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საზოგადოების სკოლაში ბავშვთა საკმარის რიცხვი არ გამოცხადდა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოების გამგეობამ საჭიროდ ცნო ქართული სკოლის გახსნა აჭარაში. ეს ხომ საუკეთესო საშუალება იქნებოდა აჭარის მკვიდრთა გასანათლებლად, ქართული წერა-კითხვისა და კულტურის გასავრცელებლად, ოსმალეთის გავლენის აღმოსაფხვრელად. სკოლის გახსნის სამზადისში მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, დიმიტრი ბაქრაძე. 1883 წლის 3 თებერვალს, ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დადგენილებით, ქუთაისში დაარსდა ოთხკლასიანი მოსამზადებელი სათავადაზნაურო სკოლა. 1884 წლიდან ამ სკოლის პარალელური განყოფილებანი გადატანილ იქნა სამეგრელოში, ძველ სენაკში. ძველ სენაკში სკოლის გახსნით საზოგადოება ცდილობდა წინ აღდგომოდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ამ დროისათვის სახელმწიფო სკოლებიდან განდევნეს ქართული ენა. რაც შეეხება სამეგრელოს, იქ ვითარება კიდევ უფრო საგანგაშო იყო, რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა სკოლებში ქართული ენის ნაცვლად მეგრული ენის სწავლების შემოღებას.

1882 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაწყებითი სკოლა გახსნა სოფელ წინარეხში, 1883 წელს – სოფელ თონეთში, 1884 წელს – სოფელ ხელთუბანში, 1888 წელს – ქალაქ კავკავში (ჩრდილო კავკასიაში), 1897 წელს სოფელ – გომარეთში, საზოგადოება სკოლებს უმთავრესად ისეთ ადგილებში ხსნიდა, სადაც ქართულ ენას გაქრობა ემუქრებოდა. კავკავის სკოლის დაარსების ინიციატივა უკისრია მიხეილ ზააღის ძე ყიფიანს. საზოგადოებას სკოლის შესანახი საკმარისი სახსრები არ აღმოაჩნდა. კავკავის ქართველობამ თვითონ იკისრა სკოლის შენახვა. 1892 წლიდან ამ სკოლის მასწავლებლად ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბორცვაძე იქნა დანიშნული. 1896

წელს კავკასიის სკოლაში 100 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის 35 ქალი. 1906 წელს საზოგადოებამ პირველდაწყებითი სკოლა გახსნა სოფელ ყალამშაში (ბორჩალოს მაზრაში), 1908 წელს – სოფელ საგურამოში, ილიასეულ სახლში. ორივე სკოლას საზოგადოება ინახავდა. ამავე წელს დაარსდა სკოლა სოფელ გიორგიწმინდაში, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ დაიხურა. 1901-1910 წელს საზოგადოებამ სკოლები გახსნა სოფელ გერგეთში და თბილისში (ნავთლულში). ამავე წელს ქართული სკოლები დაარსდა ბაქოსა და სოხუმში. 1911-1912 წელს ქართული დაწყებითი სკოლები გაიხსნა თელავში და სოფელ ატენში. 1913 წელს ქართული სკოლა გაიხსნა სოფელ შრომაში. 1914 წლის სექტემბერში ქართული სკოლა გაიხსნა ქალაქ ნაღიკში (ჩრდილო კავკასიაში), აგრეთვე სოფელ ვარიანში და ქალაქ განჯაში (აზერბაიჯანში). 1914 წლის იანვრისათვის საზოგადოების ხელმძღვანელობით 18 სკოლა არსებობდა, რომლებშიც 1880 წლიდან 1914 წლის დასაწყისამდე 26763 ბავშვს მიუღია დაწყებითი განათლება. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაჩერა ახალი სკოლების გახსნა და გააუარესა არსებული ვითარება სკოლებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს საზოგადოების განზრახვა გაეხსნა სკოლები **ფერეიდნელი ქართველებისათვის** ირანში. 1907 წლის იანვარში ფერეიდანიდან საქართველოში ჩამოვიდა ორი ქართველი – **ჰოსეინ ონიკაშვილი** და **რეზა ხუციშვილი** ქართული წერა-კითხვის შესასწავლად და საქართველოს გასაცნობად. ამავე წლის აგვისტოსთვის ეს მიზანი უკვე მიღწეული იყო. ამ ორი ფერეიდნელი ქართველის მონაწილეობით, საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში, თბილისში, ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სენაკში, ბორჯომში, ბაკურიანში, ჭიათურაში, ოზურგეთში, ახალციხეში, გორში, სურამსა და კახეთში ჩატარდა საღამო-კონცერტები. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ფერეიდნელი ქართველებისადმი. ჰოსეინ ონიკაშვილმა და რეზა ხუციშვილმა ქართული წერა-კითხვა იმდენად შეისწავლეს, რომ ფერეიდანში ონიკაშვილი სხვებს ასწავლიდა. მაგრამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გადაწყვეტილება – გაეხსნა სკოლა ფერეიდნელი ქართველებისათვის ირანში – არ მოხერხდა პოლიტიკური და სხვა მიზეზების გამო, თუმცა ფულადი სახსრები ამისთვის საქართველოში საკმაოდ შეგროვდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავის უმნიშვნელოვანეს დანიშნულებად მიიჩნევდა **ბიბლიოთეკის** გახსნას. საზოგადოებამ 1892 წლის 31 მაისს პირველი სამკითხველო გახსნა თბილისში. ის მოთავსებული იყო მიხეილის (ამჟამად დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე (სახლი № 31). მის გამგედ დანიშნეს ანასტასია

თუმანიშვილი. 1896 წლის მიწურულში სამკითხველოში 1495 ცალი წიგნი იყო. სამკითხველოს ჰყავდა 300 ხელმომწერი და უშუალოდ 12 ყოველდღიური მკითხველი. 1908 წელს საზოგადოებას მხოლოდ 13 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა, მათგან 4 თბილისში. 1911 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოება 23 ბიბლიოთეკას ინახავდა, 1914 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას უკვე 66 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა.

1880 წელს იონა მეუნარგიამ საზოგადოების გამგეობის სხდომაზე **ძველი ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების** მოგროვების საკითხი დააყენა. 1915 წლის პირველი იანვრისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში იყო: ხელნაწერი – 1956, ქართული ნაბეჭდი წიგნი – 4058, რუსულ და სხვა ენებზე ნაბეჭდი წიგნი – 5185, სულ 11733 ცალი. სიგელ-გურჯებისა და სხვა დოკუმენტების რაოდენობა უდრიდა 1341 ცალს, სამუზეუმო ნივთები – 975 ცალს, ნუმიზმატიკური კოლექცია – 5340 ერთეულს (რომელთაგან 1501 ერთეული ქართული იყო, დანარჩენი – რუსული, რომაულ-ბრძენულ-ბიზანტიური, ევროპული, აზიური). სურათების კოლექციაში 3011 ნამუშევარი იყო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1918 წლის 26 მაისი), რუსიფიკაციის საფრთხის არარსებობის პირობებში, საზოგადოებამ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ 1920 წელს აირჩიეს **დავით კარიჭაშვილი**. გამგეობის წევრებად – **შიო დედაბრიშვილი, თედორე კიკვაძე**, მდივნად – **ვარლამ ბურჯანაძე**. საზოგადოების წინაშე დამსახურებისათვის გიორგი ყაზბეგს მიენიჭა საპატიო თავმჯდომარის წოდება.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და გამგეობის ახალმა თავმჯდომარემ დავით კარიჭაშვილმა თბილისის ქალაქის რევოლუციურ კომიტეტს (რევკომს) მიმართა თხოვნით, რათა მას შეემუშავებინა საზოგადოების მუზეუმის დაცვის ღონისძიებები. ეს იყო დაწესებულების პირველი მიმართვა საქართველოში ახლად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლებისადმი. საბჭოთა ხელისუფლება აშკარად მტრულად უყურებდა საზოგადოებას. გადაწყდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლიკვიდაცია. 1922 წლიდან საზოგადოება იწოდებოდა **„წიგნების გამომცემელ და გამავრცელებელ ქართულ საზოგადოებად“**. 1926 წლის 15 სექტემბრიდან **„წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართულ საზოგადოება“** გადაიქცა წიგნების გამომცემელ

კოოპერატიულ ამხანაგობად „მწიგნობრის“ სახელწოდებით, მაგრამ მან დიდხანს ვერ იარსება. 1926 წლის ნოემბრიდან 1927 წლის ივნისამდე მიმდინარეობდა ანგარიშწორება საზოგადოების ლიკვიდაციის დადგენილების საფუძველზე. უკანასკნელი აქტი „წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართულ საზოგადოებისა“ იყო ილია ჭავჭავაძის მეუღლის – **ოლღა გურამიშვილის** დამკრძალავი კომიტეტის შექმნა. ეს იყო 1927 წლის 24 აპრილს.

1927 წლის 21-23 ივნისს დაიწერა აქტი „წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართული საზოგადოების“ ლიკვიდაციის თაობაზე. ასე დაასრულა არსებობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს განაპირობა სამმა მოვლენამ: **პირველი**. ქართული ეროვნული მოძრაობის მონაპოვარმა, ეროვნული ცნობიერების გაძლიერებამ და ეროვნულმა კონსოლიდაციამ; **მეორე**. პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ; **მესამე**. რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ და იმპერიის აღსასრულმა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვებით არსებობა დაასრულა კავკასიის სამეფისნაცვლომაც. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ – რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა ჩააბარა სამხარეო ხელისუფლების ორგანოს – **ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომი)**, რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით დაკომპლექტდა. ოზაკომის თავმჯდომარედ დაინიშნა კადეტი ვ. ხარლამოვი. ოზაკომის ქართველი წევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, რომელიც იმხანად უკვე ავადმყოფობდა და მალე გარდაიცვალა. **კიტა აბაშიძის** ნაცვლად ოზაკომის წევრი გახდა სოციალ-დემოკრატი **აკაკი ჩხენკელი**. ოზაკომი თბილისში პრაქტიკულად მოღვაწეობას 1917 წლის 18 მარტს შეუდგა.

1917 წლის გაზაფხულიდან საქართველოში იწყება ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია. თბილისში 1917 წლის აპრილის დამდეგიდან მუსაობას შეუდგა ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახი – **„საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“** (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეებთან სწორედ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო იდგა.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველი კრება 1917 წლის აპრილის დამდეგს გაიმართა. კრებას თავმჯდომარეობდა **აკაკი ჩხენკელი**. დამსწრეთა პერსონალური შემადგენლობა ცნობილი არ არის, ცნობილია მხოლოდ, რომ პირველ კრებას დაესწრნენ სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ საფუძველი ჩაუყარა შეთანხმებას საქართველოს პოლიტიკურ პარტია-

თა შორის. კრებაზე განხილულ საკითხთა შორის უმთავრესი იყო **„ეროვნულ საკითხში შეთანხმება“**. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრილს. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს არც პირველ და არც მეორე კრებაზე (1917 წლის აპრილი) **საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა**.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოში დაიბადა **საქართველოს ეროვნული ყრილობის** მოწვევის იდეა. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გახსნის წინა ხანებში პოლიტიკური სიტუაცია რუსეთში კარდინალურად შეიცვალა, რამაც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი პოლიტიკოსები. **1917 წელს 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს კანონიერი დროებითი მთავრობა**. საქართველოს სამმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ – სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა – არ სცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ბოლშევიკური რეჟიმი ასევე არ სცნეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ სცნო არც რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭომ და არც კავკასიის არმიის სარდლობამ. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – **ოზაკომმა**. ყველასათვის ცხადი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა შეეცდებოდა თავისი ძალაუფლება გაეგრძელებინა ამიერკავკასიაზეც. ამ პირობებში, ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა დაასწრეს საბჭოთა რუსეთს – 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – **ამიერკავკასიის კომისარიატმა** (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა პოლიტიკურად სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო – **ხელისუფლების ახალი სამხარეო ორგანოს შექმნით ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს**. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ხელისუფლების სამხარეო ორგანოს როლში გამოვიდოდა რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, ე. ი. ხაზი გაესვა იმას, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ორიენტირება საკმაოდ ძნელი იყო. ქართველი პოლიტიკოსები, ისევე როგორც ბევრი ცნობილი მოღვაწე მთელს მსოფლიო-

ში, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა წყობილება რუსეთში მალე დაემხოვდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრება, როგორც რუსი ხალხის ნების გამომხატველი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თავის ხელში აიღებდა ძალაუფლებას და რუსეთიც დემოკრატიზაციის გზით განვითარდებოდა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში. ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 19 დელეგატი სათათბირო ხმით. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა **აკაკი ჩხენკელმა**. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეული იყო **ნოე ჟორდანიას**. 20 ნოემბერს ყრილობაზე ინტერპარტიული საბჭოს დავალებით მოხსენება გააკეთა ნოე ჟორდანიამ. მოხსენების თემა იყო – „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა.“ მოხსენების შემდეგ ყრილობას მიერ მიღებული რეზოლუციის პირველი და მეორე პუნქტი ასეთი შინაარსისა იყო:

„1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართველ დემოკრატებმა დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვებელი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატებს და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.“

რეზოლუციის პროექტი, შემუშავებული ნოე ჟორდანიას მიერ, პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის აშკარა გამოსატყულებას წარმოადგენდა. ამავე დროს, იგი ცხადად მიანიშნებდა იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთთან საქართველოს არანაირი კავშირის დაჭერა არ სურდა, სხვა სიტყვებით – პოლიტიკური ორიენტაცია აღებული იყო დემოკრატიულ რუსეთზე. რეზოლუციის პროექტში ხაზგასმით აღინიშნა, რომ რუსეთში დემოკრატიული წყობილების დამყარების შემთხვევაში საქართველო რჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემდეგი პირობით – „საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“, ე. ი. ავტონომიური ერთეულის სახით. მართალია, ნოე ჟორდანიას პროექტში არაფერი ყოფილა ნათქვამი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენის დაგვიანების შემთხვევაში საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნა მაინც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის (წევრები და კანდიდატები) პროექტი ნოე ჟორდანიამ შეადგინა, თუმცა პროექტმა შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. საბოლოოდ, საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 66 წევრი და 61 კანდიდატი. 6 კაცი ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სათათბირო ხმით.

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანი, რომელიც ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედაც აირჩიეს.

საბჭოთა რუსეთი ვერ ურიგდებოდა მოვლენათა განვითარებას საქართველოში. მოსკოვი ესწრაფვოდა თავის იურისდიქციის აღდგენას სამხრეთ კავკასიაში. 1918 წლის იანვრის დამდეგსა და შუა ხანებში საბჭოთა რუსეთმა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია სცადა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი სამხედრო შენაერთების გამოყენებით. კავკასიის ფრონტიდან დაძრულ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც ვითომდა სამშობლოში (რუსეთში) ბრუნდებოდნენ, უნდა ეთხოვათ თბილისის გავლით რკინიგზით შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ გატარება. შემდეგ, როდესაც სამხედრო ეშელონები სარკინიგზო მაგისტრალზე გავიდოდნენ, დაიწყებოდა შეიარაღებული გამოსვლა და რუსეთის ჯარის ხელში ერთბაშად აღმოჩნდებოდა თბილისი, ბათუმი, აგრეთვე სხვა ქალაქები და მთელი სარკინიგზო ხაზი თბილისიდან ბათუმამდე. 1918 წლის იანვრის დამდეგს ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ მოქცეულმა, დემორალიზებულმა სამხედრო შენაერთებმა ფრონტის ხაზი დატოვეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მანევრი ამოიცნო და სამხედრო ეშელონები თბილისში არ შეუშვა, ბაქოსაკენ გაატარა. ზოგიერთმა სამხედრო შენაერთმა ძალით სცადა თბილისისკენ გაჭრა, მაგრამ ახლად შექმნილმა ქართულმა კორპუსმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა მძიმე ბრძოლებში სადგურ შამქორთან და სხვა ადგილებში სასტიკი მარცხი აგემა რუსეთის არმიას და იძულებული გახდა ბაქოს მიმართულებით დაეხია. საბჭოთა რუსეთის გეგმები საქართველოს მიმართ სავსებით ცხადი გახდა. ქართულ პოლიტიკურ ელიტას ადრეც არ ეპარებოდა ეჭვი ბოლშევიკთა აგრესიულ, დიდმპყრობელურ მისწრაფებებში, მაგრამ 1918 წლის იანვრის ამბები მაინც ძალზე დამაფიქრებელი იყო.

1918 წლის იანვარში რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, დემოკრატიული წყობილების მომლოდინე ქართველ პოლიტიკოსებს იმედი საბოლოოდ გაუცრუვდათ: 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. რუსეთის დემოკრა-

ტიულმა ძალებმა დიდი დარტყმა განიცადეს. ყველამ დაინახა, რომ ბოლშევიკები ძალაუფლების დათმობას არ აპირებდნენ, დიქტატურა რუსეთში ძალას იკრებდა, ტოტალიტარული რეჟიმი გადაჭრით დაუპირისპირდა განვითარების დემოკრატიულ ხაზს. ახალი რეალების, უკანასკნელი მოვლენების ანალიზის საფუძველზე ამიერკავკასიის კომისარიატმა ახალი პოლიტიკური კურსი შეიმუშავა. 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია **ამიერკავკასიის სეიმი**. სეიმი რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შედგებოდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე**. ამიერკავკასიის კომისარიატმა სეიმის მოწვევით ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან, თუმცა იურიდიულად ეს ცოტა მოგვიანებით გაფორმდა.

მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის, გახრწნილი, დემორალიზებული არმიის უძღვრების პირობებში ვლადიმერ ლენინმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სეპარატიული ზავი დადო, რაც საბჭოთა წყობილებას გადარჩენის უკანასკნელ შანსს აძლევდა. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი) დადებული სეპარატიული ზავით ოსმალეთმა გარკვეული პრივილეგიები მიიღო სამხრეთ კავკასიაში. ზავის თანახმად, ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების მოსახლეობას, სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი თვითონ უნდა გაერკვია, მეზობელ სახელმწიფოებთან უპირატესად კი ოსმალეთთან შეთანხმებით. პრაქტიკულად ეს ოსმალეთს აღნიშნულ ოლქებში რეფერენდუმის ჩატარების უფლებას აძლევდა. ეს უფლება პსმალეთმა ცოტა მოგვიანებით გამოიყენა კიდევ.

ამიერკავკასიის კომისარიატისათვის ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქების ოსმალეთისათვის გადაცემა არავის შეუთანხმებია, რადგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არც რუსეთი, არც გერმანია და არც თურქეთი არ სცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის 3 მარტისათვის ამიერკავკასია ფაქტობრივად გამოყოფილი იყო რუსეთისაგან. ამიერკავკასიის კომისარიატმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს პროტესტი სათანადოდ არგუმენტირებული არ იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის არგუმენტებიდან მთავარი ის იყო, რომ ქართული და სომხური მიწები ოსმალეთს გადასცეს ქართველ და სომეხ ხალხთა დაუკითხავად, მათი სურვილისა და დასტურის გარეშე.

ოსმალეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზებას – მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების დაცლა. 1918 წლის

10 მარტს თურქეთმა მოთხოვნა კვლავ გაიმეორა. 11 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთის მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდა, რომ ომი ოსმალეთთან ადვილი არ იყო, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. 14 მარტს **ქ. ტრაპიზონში** დაიწყო ამიერკავკასია-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას **აკაკი ჩხენკელი** მეთაურობდა. აკაკი ჩხენკელის ცდებს ბათუმის, ყარსისა და არტანის ოლქები მთლიანად ან ნაწილობრივ შეენარჩუნებინათ, შედეგი არ მოჰყოლია – ოსმალეთის დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას. თურქეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო: 1918 წლის 8-9 აპრილს მტერი ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. 15-21 აპრილს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე. ოსმალეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

ასეთ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში 1918 წლის 22 აპრილს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ **კარლო ჩხეიძემ**. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმში უკვე მომწიფებული იყო აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. დღის წესრიგიც ამით განისაზღვრა: 1) ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ; 2) თურქეთ-ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკებაზე წარგზავნილი დელეგაციის მოხსენება; 3) ამიერკავკასიის მთავრობის განცხადება ახალი ხელისუფლების ორგანიზების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დადგენილება: „გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად“. ამიერკავკასიის სეიმმა იმავე სხდომაზე მოისმინა საზავო დელეგაციის მოხსენება და მიიღო დადგენილება საზავო მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

სეიმის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა აკაკი ჩხენკელს. 1918 წლის 26 აპრილს აკაკი ჩხენკელმა სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა. სეიმმა უცვლელად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი პროექტი.

ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად ექცა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. **გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო**, რაც ცხადი გახდა იმთავითვე. გარდა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის

სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი – ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა ერთადერთ სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა.

საქართველოს ეროვნული საბჭო, ვიდრე ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციების შესახებ მსჯელობდა, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სულ უფრო კატასტროფული ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას **აკაკი ჩხენკელი** მეთაურობდა. პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ თურქეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით – უფრო მეტს მოითხოვდა. 1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: 1) ოსმალეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქსა და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას; 2) თურქეთი თავის თავზე იღებს წესრიგის დაცვას ამიერკავკასიაში; 3) ოსმალეთი ითხოვს ომის შემთხვევაში ამიერკავკასიის რკინიგზით სარგებლობის უფლებას. ამავე წერილში აკაკი ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას, თუმცა გამორიცხული არ იყო საწინააღმდეგოც. იმავე დღეს, 1918 წლის 12 მაისს, აკაკი ჩხენკელი მეორე საიდუმლო წერილს აგზავნის ბათუმიდან. აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: საქართველოსათვის თურქეთთან ომის წარმოება დამღუპველი იყო. აკაკი ჩხენკელის ორი წერილი ბათუმიდან შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის უადრესად ზუსტ ანალიზს იძლეოდა. ამ წერილებში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფაქტობრივად სთავაზობს **გერმანოფილურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს**, როგორც ერთადერთ რეალურ გამოსავალს შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან. ამავე დროს, ისიც ცნობილი იყო, რომ თურქოფილური აზერბაიჯანი და ანგლოფილური სომხეთი გერმანიაზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე უარს იტყოდნენ.

ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის ორი წერილის მიღების შემდეგ, 1918 წლის 14 მაისს, საღამოს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვაზავა, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე. აღმასკომის წევრების გარდა, სხდომას ესწრებოდნენ: შალვა

მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე და აკაკი პაპავა. თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი, მდივანობდა დავით ნახუცრიშვილი. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 14 მაისის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა **გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო-პოლიტიკური კურსი**. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ გაეგზავნა შემდეგი მითითებები:

„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალ ფონ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხების რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილ იქნეს გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძლება მალე სამშობლოში სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“.

მომდევნო დღეებში აკაკი ჩხენკელისა და გენერალ ფონ ლოსოვის თანამშრომლობა უფრო მჭიდრო ხდება. ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს ბევრი ძვირფასი ინფორმაცია მიაწოდა, ბევრ რთულ პრობლემაში გაარკვია. როგორც ჩანს, სწორედ ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს თურქეთისა და რუსეთის მოსალოდნელი საიდუმლო აღიანის შესახებ, რაც დაღუპვით ემუქრებოდა საქართველოს.

საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. **საქართველოს გერმანია სჭირდებოდა თურქეთის აგრესიისაგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ – დამოუკიდებლობის გარანტიად. გერმანიას საქართველო სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად.** საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და თურქეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი

ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილდებოდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნით.

აკაკი ჩხენკელის დაჟინებულმა მტკიცებამ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შენარჩუნება შეუძლებელია, ხოლო საქართველოს ხსნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებაშია, ეროვნულ-დემოკრატების პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა. სოციალ-დემოკრატებს არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ აკაკი ჩხენკელის მოსაზრებებისათვის. ასეთ ვითარებაში 1918 წლის 16 მაისს სადამოს შვიდ საათზე შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშივილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობენია, კონსტანტინე მესხი; მოწვეულები – იასონ ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშივილი. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, მდივნობდა დავით ნახუცრიშივილი. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხი ასე იყო ფორმულირებული: **„წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველნაირი ნიადაგი“**. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა: აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებს ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშივლსა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალოთ, დაასახელონ დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის სამი წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშივილი, დავით (დათა) ვაჩნაძე და შალვა მესხიშივილი**.

ვიდრე თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ემზადებოდნენ, თურქი დიპლომატები და სამხედროები დროს არ კარგავდნენ. 1918 წლის 18 მაისს ოსმალებმა დაიკავეს ალექსანდრეპოლი. 18 მაისს ბათუმში თურქეთის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო: 1. თურქეთი არავითარ შემთხვევაში არ სცნობს ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; 2. თურქეთმა კიდევ რომ სცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთი უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე; 3. ამიერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერ მხარეს, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ-

ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება არა აქვს გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე, ან ამ პირობების სისრულეში მოყვანის წესზე.

1918 წლის 22 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი დაბეჭდვით სთხოვდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“

თურქეთის დიპლომატია კარგად ხედავდა, რომ გერმანიის შუამავლობა ამიერკავკასია-თურქეთის მოლაპარაკებაში მისი მოქმედების თავისუფლებას ზღუდავდა, მაგრამ ერიდებოდა გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებას: მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და არავინ იცოდა სად და როდის დასჭირდებოდა თურქეთს გერმანიის პოლიტიკური თუ სამხედრო მხარდაჭერა.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს კიდევ ერთ საიდუმლო წერილს უგზავნის. წერილში მოცემული იყო გერმანიის მფარველობით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გეგმა. საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. თბილისში ფრეილინის (დღევანდელი სულხან-საბას) ქუჩაზე საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა.

ბათუმის მოლაპარაკებაზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. თურქეთი სულ უფრო მეტად ეურჩებოდა თავის მოკავშირეს – გერმანიას. 1918 წლის 25 მაისს გენერალმა ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ იგი უარს ამბობს თურქეთ-ამიერკავკასიის მოლაპარაკებაში შუამავლის როლის შესრულებაზე.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. 25 მაისისათვის დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხვადასხვა მიზეზის გამო სხდომის დაწყება დაგვიანდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაიწყო 1918 წლის 25 მაისს, ღამის 11 საათზე, თბილისში, ფრეილინის ქუჩაზე მდებარე ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში. აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება 26 მაისს დილით 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე – საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც გამოაცხადებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა 1918 წლის 26 მაისს. მათ წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს აღსასრული გარდუვალი იყო. მიუხედავად ამისა, ფუჭი პოლემიკა კარგა ხანს გაგრძელდა. ნაშუადღევს 3 საათზე სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა, ხოლო თვითონ უფლებამოსილება მოიხსნა. ამიერკავკასიის სეიმის ეს გადაწყვეტილება თითქმის ერთხმად იქნა მიღებული, წინააღმდეგი იყო მხოლოდ სეიმის ორი წევრი. სეიმის სხდომის შემდეგ კარლო ჩხეიძემ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს ტელეგრამით ამცნო მომხდარის შესახებ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გოლოვინის (დღეს რუსთაველის) გამზირზე, იმავე დარბაზში, სადაც თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა ამიერკავკასიის სეიმმა.

ეროვნული საბჭოს სხდომას ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიამ. პრეზიდიუმში იყვნენ: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი და პავლე საყვარელიძე. მდივნის მოვალეობას ასრულებდა ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.

ეროვნული საბჭოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ნოე ჟორდანიამ. სიტყვის დამთავრების შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, მიიღო და დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს პოლიტიკურ სისტემად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა (მუხლი მეორე). დამოუკიდებელმა საქართველომ საერთშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა (მუხლი მესამე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფოდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან (მუხლი მეოთხე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა (მუხლი მეხუთე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნიდა მის

ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს (მუხლი მეექვსე). დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობას განახორციელებდა ეროვნული საბჭო. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა ეროვნული საბჭოს წინაშე (მუხლი მეშვიდე).

დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კოალიციური მთავრობის შემადგენლობა: 1. **ნოე რამიშვილი** – მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, **აკაკი ჩხენკელი** – საგარეო საქმეთა მინისტრი, **გრიგოლ გიორგაძე** – სამხედრო მინისტრი, **გიორგი ჟურული** – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, **გიორგი ლასხიშვილი** – სახალხო განათლების მინისტრი, **ნოე ხომერიკი** – მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, **შალვა მესხიშვილი** – იუსტიციის მინისტრი, **ივანე ლორთქიფანიძე** – გზათა მინისტრი. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ **ნოე რამიშვილმა** მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრამით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის** დაბადება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა თავისუფლებისათვის. ქართველმა ერმა, რომელმაც სააკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია გაამდიდრა მრავალი მიღწევით, კვლავ მოიპოვა უფლება, დამდგარიყო მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა გვერდით და თვითონ განეგო თავისი სვე-ბედი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს

საბჭოთა კავშირში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი ათწლეულების მანძილზე მწიფდებოდა. კრიზისი განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის 80-იანი წლებისშუა ხანებიდან. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, რეფორმები გაეტარებინა. რეფორმების შემუშავება დაკავშირებულია პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის სახელთან. ეს რეფორმები ისტორიაში „გარდაქმნის“ სახელწოდებით შევიდა. საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, საჯაროობის კურსის გატარებას ნიშნავდა. გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთებისათვის. სუსტდებოდა საბჭოთა ცენზურის როლი. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას. დაიწყო სხვადასხვა მიზნებისა და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებსაც იმხანად არაფორმალურ, არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ.

ერთ-ერთი პირველი არაფორმალური გაერთიანების „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ დამფუძნებელი კრება 1987 წლის დეკემბერში ჩატარდა თბილისში. საზოგადოების მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, დემოკრატია და კაპიტალისტური ეკონომიკა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თავდაპირველად თავს უყრიდა მომავალში არაერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ: თამარ ჩხეიძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი შენგელაია, ირაკლი წერეთელი და სხვები. შემდგომში საზოგადოებაში შევიდნენ: მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და სხვები. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას თითქოს უნდა გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობის ძალები. მოკლე ხანში, 1988-1989 წლებში, საზოგადოების ყოფილმა დამფუძნებლებმა დატოვეს საზოგადოება და რამდენიმე ახალი პოლიტიკური პარტია შექმნეს. 1988-1989 წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას. არენაზე გამოვიდნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ლიდერი ირაკლი წერეთელი); სახალხო ფრონტი (ნოდარ ნათაძე), წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება და სხვ. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ადრე იყო დაარჩებული და ახლა შეექმნა ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ: რესპუბლიკური პარტია (ვახტანგ

ძაბირაძე), **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** (გიორგი ჭანტურია), და სხვ. საქართველოში საფუძველი ეყრებოდა მრავალპარტიულ სისტემას, რაც ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის თანამდევ პროცესს წარმოადგენდა.

ეროვნულმა მოძრაობამ შედარებით მასშტაბური გამოსვლების ხასიათი 1988 წლიდან მიიღო. 1988 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების საარტილერიო პოლიგონის გადატანა მოითხოვეს. 1988 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. აკადემიის შესასვლელთან მიტინგი მოეწყო, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შეწყვეტას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მიტინგის რამდენიმე მონაწილე დააკავეს, მათ შორის იყვნენ **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა**. საქართველოს ჰელსინკის კავშირის ლიდერების დაპატიმრებამ აღშფოთების უფრო დიდი ტალღა გამოიწვია, რის გამოც ხელისუფლებამ გაათავისუფლა დაპატიმრებულები. თავისი მასშტაბით უპრეცედენტო იყო 1988 წლის ნოემბერ-დეკემბრის გამოსვლები. 1988 წელს მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომხარი ძირეული ცვლილებები აესახა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესწორებებსა და დამატებებში. დემოკრატიული გარდაქმნების ამსახველ მუხლებთან ერთად დამატებები შეიცავდა აშკარა მიუღებელ მუხლებსაც, რომელთა მიზანიც იყო არ დაეშვათ საბჭოთა იმპერიის დაშლა. კერძოდ, კონსტიტუციის 1180-ე და 119-ე მუხლებს ფაქტობრივად არარაობამდე დაჰყავდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლება, გასულიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. კონსტიტუციის დამატებების განხილვამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვდა აღნიშნული მუხლების ფორმულირების შეცვლასა და რესპუბლიკების თავისუფალი არჩევანის უფლების აღდგენას, რასაც სტალინური კონსტიტუციაც კი აღიარებდა. პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა საზოგადოების საპროტესტო განწყობილების გამოყენება სცადეს. 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში, იპოდრომის ტერიტორიაზე, **ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის** ინიციატივით შედგა მრავალათასიანი მანიფესტაცია. მთავარი მოთხოვნები იყო: ხელისუფლების ის ბრძანებულების გაუქმება, რომელიც კრძალავდა ნებადაურთველ მანიფესტაციებს; საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის შემზღვეველი მუხლების გაუქმება და სვანეთში მიმდინარე გიგანტური წყალსაცავების მშენებლობის შეწყვეტა. 1988 წლის 22 ნოემბერს, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ,

დაიწყო შიმშილობა. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია მოშიმშილეებისა და მათი მხარდამჭერი მრავალრიცხოვანი საზოგადოებისთვის. 25 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან 1180ე და 119-ე მუხლების შესწორებების ამოღება. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკან დაიხია და შესწორებები უარყო. 1988 წლის 29 ნოემბერს მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე აქცია ორგანიზებულად შეწყდა.

1988 წლის ნოემბრის მიტინგებისა და მანიფესტაციების შემდგომი რამდენიმე თვე ქარიშხლის ამოვარდნის წინ დასადგურებულ სიმშვიდეს მოგვაგონებდა. ხელისუფლება გრძნობა, რომ მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები მალე ისევ დაიწყებოდა. 1989 წლის 4 აპრილს ისევ **ილია ჭავჭავაძის საზოგადოების** ინიციატივით მთავრობის სასახლის წინ პერმანენტული მიტინგი დაიწყო. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და მისმა არცთუ მრავალრიცხოვანმა მხარდამჭერმა მომიტინგეებმა მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება. ეს იყო რეაქცია აფხაზი სეპარატისტების მიერ 18 მარტს ლიხნის შეკრებაზე მიღებული ანტიქართული დოკუმენტის წინააღმდეგ. მომდევნო დღეებში მომიტინგეებს შეუერთდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებმაც აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა მეორეხარისხოვან მოთხოვნათა რიგში გადაიტანეს და წამოაყენეს **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის** მოთხოვნა. თავდაპირველად მცირერიცხოვანი მიტინგი ხალხმრავალ პერმანენტულ მანიფესტაციად გადაიქცა. მომიტინგეთა რამდენიმე ათეული ადამიანებისგან შემდგარმა ჯგუფმა შიმშილობის აქცია დაიწყო. მოშიმშილეები უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ. პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაციამ ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს ხელისუფლების სრული დაპირისპირება გამოიწვია. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადაამჭრელი ზომებისთვის მიემართა. საქართველოს ეროვნული მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ყველაზე მთავარ მონაპოვარს – იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრა. 1989 წლის 8 აპრილს კრემლის ზეგავლენით საქართველოს რესპუბლიკრი აქტივის კრებამ მხარი დაუჭირა მომიტინგეთა მიმართ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას. აქტივის კრების მიმდინარეობის დროს მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე, ტანკმა გაიარა, ხოლო იმავე დროს, თბილისის ცაზე სამხედრო შეველმფრენები გამოჩნდნენ. 1989 წლის 8 აპრილს, გვიან ღამით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯუმბერ პატიაშვილმა** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს გენერალ **ი. როდონოვს** სთხოვა, დემონსტრაციის დაშლა სხვა დროისთვის გადაეტანა. მაგრამ

მოსკოვს სამხედრო ძალებით მიტინგის დაშლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. თბილისში 7 აპრილს ჩამოსულ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **კონტოვმა** საქართველოს ხელისუფლებას განუცხადა, რომ თუ სამხედრო ძალებით არ მოხდებოდა სასახლის მოედნის გაწმენდა, უფრო დიდი სისხლისღვრა იქნებოდა მოსალოდნელი. მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ელუარდ შევარდნაძესთან ერთად ინგლისში იმყოფებოდა, თბილისის მოვლენების კურსში იყო.

1989 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობების გამკაცრების შესახებ, რომელიც უშუალოდ თბილისის მოვლენების ლიკვიდაციის საჭიროებამ განაპირობა. ასე შეიქმნა თბილისში მიმდინარე მიტინგის დარბევის იურიდიული საფუძველი. თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, მიმდინარე მიტინგის დასაშლელად 1989 წლის 9 აპრილის დილისთვის მზად იყვნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები. გარდა ამისა, მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოსროლეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით. გენერალ **ეფიმოვს** სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად თავის განმგებლობაში 1900 ჯარისკაცი ჰყავდა. მიტინგის დაშლას უშუალოდ მეთაურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი **იგორ როდიონოვი**. მიტინგის ხელმძღვანელებმა ყურად არ იღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გაფრთხილება, რომელმაც მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს აქციის შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე, მომიტინგეებს დამსჯელმა ნაწილებმა ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, ალესილი ნიბებით, მომწავლელი გაზით, რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა მთავრობის სახლის წინ მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა მომიტინგეებს, მოშიმშილე ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობას დასუსტებული ქალები და გოგონები წარმოადგენდნენ. დამრბევთა სისასტიკემ მოლოდინს გადააჭარბა. რამდენიმე წუთში მოიერიშეებმა მოედანი გაწმინდეს. მოედანზე დარჩა 19 მოკლულის, აქედან 16 ქალის გვამი. არაერთმა დაჭრილმა გაქცევით უშველა თავს. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა. მოგვანებით დაიღუპა კიდევ 2 ადამიანი. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა იმპერიალიზმის სახე. **საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელომ სცადა პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს ხელისუფლებისათვის დაეკისრებინა.** საბჭოთა კავშირის საბჭოების II ყრილობის დელაგატების უმრავლესობამ ოვაციებით დააჯილდოვა დამნაშავე გენერალი ი. როდიონოვი. საქართველოს დელეგაციამ პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია. **საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი.** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი გადამდგარი ჯუმბერ პატიაშვილის ნაცვლად გივი გუმბარიძემ დაიკავა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე დაკარგა მართვის საღვეები. ეროვნული მოძრაობის სათავეში რადიკალური პოლიტიკური ძალები მოექცნენ. ისინი მართავდნენ პოლიტიკურ პროცესებს. ხელისუფლება თითქმის მორჩილად ასრულებდა ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს. ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს **ეროვნული ხსნის კომიტეტი.** მასში გაერთიანდნენ: **ჰელსინკის კავშირი** (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია), **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** (გიორგი ჭანტურია), **ეროვნული სამართლიანობის კავშირი** (ირაკლი შენგელაია), **ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია** (ირაკლი წერეთელი), **ილია ჭავჭავაძის საზოგადოება** (ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვ. ეროვნული ხსნის კომიტეტის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობის მოპოვება, რა ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. ეტაპობრივი ბრძოლა ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურების თანდათანობით გაუქმებას, ბრძოლის საშუალებად კი მიხნეულ იქნა სპროტესტო მშვიდობიანი მოძრაობა (გაფიცვები, მიტინგები, შიმშილობა).

ეროვნული ხსნის კომიტეტის ინიციატივით 1989 წლის ოქტომბერში, თბილისში, სპორტის სასახლესთან, მიმდინარეობდა იმ ქართველი ახალგაზრდების მჯდომარე აქცია, რომელშიც უარს აცხადებდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე. ოქტომბერშივე ხელოვნების მუხეუმთან აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველები მჯდომარე აქციის გზით რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებას მოითხოვდნენ.

1989 წლის ოქტომბერ-ნოემბერში **ეროვნული ხსნის კომიტეტის** წევრები რამდენჯერმე შეხვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს და წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები. ეროვნული ხსნის კომიტეტი მოითხოვდა: საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, საერთაშორისო ფორუმებზე დასწრების უფლებას, იმ წევრადგელების დაუსჯელობას, რომლებიც უარს ამბობდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე, სოხუმში 1989 წლის ივლისში მომხდარი სისხლიანი შეტაკების მოთავეების დასჯას, აფხთხეთის რამდენიმე რაიონში საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ნაცვლად ქართული მილიციის შეყვანას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელწოდების შეცვლას ცხინვალის ოლქით, როკის გვირაბის გაუქმებას, გარდაბნის, მარნეულის, დმანისის რაიონებსა და ფონიჭალაში უკანონოდ მიტაცებული მიწების დაბრუნებას კანონიერ მფლობელთათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლასა და მათ მიერ მიკუთვნებული მიწების გლეხობის ხელში გადაცემას, საეთერო დროს ტელევიზიაში, რადიოში, ალტერნატიულ ადგილს რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში და ა. შ.

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა წამოაყენეს საერთო-სახალხო კენჭისყრის მოწოდების იდეა. ქართველ ერს უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტისა და საქართველოს დამოკუდიებლობის აღდგენის იდეისადმი. **ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ზეგავლენით, 1990 წლის მარტში, საქართველოს უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით 1921 წლის თებერვალში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის სამხედრო მოქმედება შეაფასა, როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.**

ეროვნული მოძრაობის წეგავლენით საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის მარტში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარების შესახებ. არჩევნების მიმართ პოლიტიკურმა პარტიებმა არაერთგვაროვანი პოზიცია დაიკავეს. მას შემდეგ, რაც 1988 წლიდან ეროვნულმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, საპროტესტო აქციებს პოლიტიკური პარტიები ხელმძღვანელობდნენ. ესენი იყვნენ, ერთი მხრივ, ჰელსინკის კავშირი და მისი აღიარებული მეთაურები **ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა**, ამ თანაარსებობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მერაბ კოსტავას პიროვნული ავტორიტეტი, რომელიც ყოველთვის ახერხებდა არაფორმალურ ორ ბანაკს შორის შეთანხმებას კომპრომისის საფუძველზე. 1989 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში მერაბ კოსტავას დაღუპვით ეროვნულ მოძრაობაში

განხეთქილება გარდუვალი შეიქმნა. „ჰელსინკელები“, მიუხედავად რადიკალური ბუნებისა, უფრო ზომიერ პოლიტიკურ ბრძოლასა და ღოზუნგებს უჭერდნენ მხარს; მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვ. ამდენად, ეროვნული მოძრაობის სათავეში ორი თაობის პოლიტიკური მოღვაწეები აღმოჩნდნენ. მათ შორის თავიდანვე იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ეპიზოდური განხეთქილებების მიუხედავად, 1990 წლის გაზაფხულამდე ისინი მაინც ახერხებდნენ მშვიდობიან თანაარსებობას.

ქართველი საზოგადოების ზომიერმა ლიბერალურმა ძალებმაც სცადეს პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ამ ცდებს ხელისუფლებაც უჭერდა მხარს. 1989 წლის მარტში შეიქმნა საქართველოს რუსთაველის სახელობის საზოგადოება, რომელშიც მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდნენ. საზოგადოების თავმჯდომარედ ცნობილი საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე აირჩიეს. რუსთაველის საზოგადოებას თავიდანვე დაჰყვა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი. მისი პროგრამა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრები ევოლუციური განვითარების გზას ითვალისწინებდა, ხოლო საზოგადოების თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე ცდილობდა იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა ეროვნული მოძრაობისთვის. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უფრო სწრაფცვალებადი აღმოჩნდა და საზოგადოებამ ვერ შეძლო თავის გარშემო ზომიერი ლიბერალური ძალების შემოკრება.

მოსახლეობაში უფრო პოპულარობით სარგებლობდა მეორე ზომიერი მიმართულების ორგანიზაციის – სახალხო ფრონტის საქმიანობა. ამ ორგანიზაციის პირველადი უჯრედების ჩამოყალიბება დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონების წარმოება-დაწესებულებებში. სახალხო ფრონტს ჰქონდა პრეტენზია გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ეს მისია ვერ შეასრულა. ამ ორგანიზაციას მალე ჩამოსცილდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე ჯგუფები, ხოლო თვით სახალხო ფრონტი ჩვეულებრივ, რიგით პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. იყო სხვა ზომიერი ცენტრისტული ჯგუფებიც.

ზომიერი მიმართულების ძლიერი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებულობა ქართული პოლიტიკური სპექტრის სერიოზული ნაკლი იყო. ემოციურად განწყობილი ქართველი საზოგადოებისთვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა რადიკალური ხასიათის ღოზუნგები და მისი მქადაგებელი რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობები. რადიკალურმა ძალებმა მიიჩნიეს, რომ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული 1990 წლის

25 მარტის არჩევნები ერთპარტიული სისტემის პირობებში ტარდებოდა. სხვა პოლიტიკურ პარტიებს მასში გაუფორმებელი სახით უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 1990 წლის 13-15 მარტს რადიკალური ძალების ინიციატივით თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში, ჩატარდა ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენცია – **ეროვნული ფორუმი**. მასში ეროვნული მოძრაობის ყველა ძირითადი ძალა მონაწილეობდა. ფორუმმა ბოიკოტი გამოუცხადა 1990 წლის 25 მარტის არჩევნებს და, საერთოდ, უკანონოდ ცნო საბჭოთა სისტემა. ეროვნულმა ფორუმმა მაქსიმალისტური პოზიცია დაიკავა არსებული ხელისუფლების მიმართ. 1990 წლის აპრილში გამოქვეყნდა ფორუმის მიმართვა **„ქართველი ერისა და მსოფლიო საზოგადოებისადმი“**, სადაც იგი აცხადებდა, რომ ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც თავის მოქმედებას შეუხამებდა „საბჭოურ კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, ვერ ჩაითვლებოდა ოპოზიციად“. არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად ეროვნული დაუმორილებლობა იქნა მიჩნეული.

ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ერთი მიზანი – **საქართველოს სრული დამოუკიდებლობა** – ჰქონდა, ფორმულურად და ფაქტობრივად 1990 წლის გაზაფხულამდე ერთიანი იყო, მაგრამ მის ორ დაჯგუფება შორის წინააღმდეგობა უკვე შეუძლებელს ხდიდა ერთიანობას. წინააღმდეგობას ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონიისთვის ბრძოლაც განაპირობებდა, მაგრამ იყო იდეურ-სტრატეგიული უთანხმოებანი, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. **ეროვნული მოძრაობის რადიკალური ახალგაზრდული ფრთა მაქსიმალისტურად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემასა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს**. მაქსიმალისტების აზრით, ეროვნულ მოძრაობას უნდა მიეღწია საქართველოს კოლოგიური მდგომარეობის აღიარებისათვის და დაუმორჩილებლობის გზით ებრძოლა დეკოლონიზაციისთვის, როგორც ეს მოხდა აფრიკა-აზიის რიგ ქვეყნებში.

ეროვნულ მოძრაობის რადიკალური ფრთა მიიჩნევდა, რომ საბჭოური სტრუქტურების გამოყენების პოლიტიკამ ბალტიისპირეთის ქვეყნების ეროვნული მოძრაობანი თითქმის გამოუვალ ჩიხში მოაქცია. მისი აზრით, **აუცილებელი იყო ეროვნული მოძრაობის არა საბჭოურ, ძველ სტრუქტურებზე მორგება პროგრამა – მინიმუმის განხორციელების მიზნით, არამედ ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნის დაწყება პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებისათვის**. ახალი დემოკრატიული სტრუქტურა უნდა ყოფილიყო – **ეროვნული კონგრესი**, რომელიც ბოიკოტს გამოუცხადებდა ყოველგვარ საბჭოთა სტრუქტურასა და მის მიერ ორგანიზებულ არჩევნებს. უფრო რეალისტურ ნიადაგზე

აღმოჩნდნენ უფროსი თაობის რადიკალები (ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრენი). მათი აზრით, დეკოლონიზაციის აფრიკულ-აზიური პრაქტიკა მიუღებელი იყო საქართველოსთვის. საქართველო ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის ფედერაციაში შემავალი სოციალისტური სახელმწიფო იყო. კონსტიტუციურადაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდა. თუნდაც, ეს ფორმალური უფლება საქართველოს შესაძლებლობას აძლევდა საბჭოური სტრატეგიების გამოყენებით, სამართლებრივი გზით ებრძოლა დამოუკიდებლობისათვის. 1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ ჰელსინკის კავშირი და მისი მხარდამჭერი ძალები ეროვნული ფორუმიდან გავიდნენ და ჩამოაყალიბეს ახალი პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდის“ სახელწოდებით. მასში შვიდი ორგანიზაცია გაერთიანდა. ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა ძალებმა ეროვნული ყრილობა მოიწვიეს და ეროვნული კონგრესის არჩევა გადაწყვიტეს. ამრიგად, რადიკალური ძალები ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაითიშა და ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონობისთვის დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა.

ლიბერალური ბანაკი, რომელიც საკმაოდ ჭრელი შემადგენლობის იყო და არჩებითად საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მესამე მიმართულებას წარმოადგენდა, თავდაპირველად რადიკალების ურთიერთდაპირისპირებაში არ მონაწილეობდა. ისინი საბჭოთა სისტემის ევოლუციური ტრანსპორმაციის მომხრენი იყვნენ. ამ მიმართულების ყველაზე სერიოზულ ძალას „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოადგენდა (თავმჯდომარე ვალერიან ადვაძე). მის ბირთვის ეროვნულად განწყობილი პარტიულ-ბიუროკრატიული ნომენკლატურისა და ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის დადგენილებით გადაწყდა უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების ჩატარდა 1990 წლის ოქტომბერში. საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებების თანახმად ახალი არჩევნები მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ჩატარდა. ეს იყო 1919 წლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები, რომელიც მრავალპარტიული სისტემის პირობებში განხორციელდა. არჩევნებში დამაჯერებელი

გამარჯვება მოიპოვა ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ფრთამ, საარჩევნო ბლოკმა: „**მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო**“, რომელმაც საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა (62%) მოიპოვა. კომუნისტურმა ერთპარტიულმა დიქტატურამ საქართველოში სამოცდაათწლიანი არსებობა დაასრულა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება აღმოჩნდა.

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლით იწყება იმ ღონისძიებებისა და მოვლენების სერია, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა **რესპუბლიკად**. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ მის პირველსავე სესიაზე არჩეულ იქნა **ზვიად გამსახურდია**.

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა რამდენადმე მოულოდნელიც იყო. გარდამავალი პერიოდის უქონლობამ ახალი ხელისუფლება დამატებითი სიძნელეების წინაშე დააყენა. საქართველოს მართვა მოსკოვიდან ერთბაშად შეწყდა და ეროვნული ხელისუფლება მოზღვაგებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა ხასიათის პრობლემებს მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეჭიდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, სათანადო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მართვის გამოცდილების გარეშე ძნელი იყო.

ეროვნული ხელისუფლების პირველი ნაბიჯები მიზნად ისახავდა საბჭოთა ინსტიტუტების ადგილზე ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ქვეყანაში დაიწყო წვრილი საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზაცია, თავისუფალი მეწარმეობის ჩასახვა, კომერციული ბანკების შექმნა, თავისუფალი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და სხვ. საბჭოთა სისტემის შეცვლი ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო 1990 წლის ნოემბერში მიღებული კანონი **გარდამავალი პერიოდის შესახებ**, რომლი ერთ-ერთი მიზანი იყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ახალი ინსტიტუტების შექმნა. კანონის თანახმად, უნდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები – **საკრებულოები** და **პრეფექტურები**. საკრებულოების დეპუტატთა არჩევნები 1991 წლის მარტში ჩატარდა. დამტკიცდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი წესი, რომლის თანახმადაც ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ: **რაიონი, ქალაქი და თემი**.

ახალი ხელისუფლების მოსკოვთან დამოკიდებულების კურსი უკომპრომისო იყო – საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირისაგან

სრული გამოყოფა. 1991 წლის 31 მარტს ეროვნულმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატარა. მოსახლეობას თავისი ნება უნდა გამოეხატა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და ამით დაედასტურებინა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის სარეთო ნებაც. რეფერენდუმმა საყოველთაო მასშტაბით დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის სურვილი – რეფერენდუმში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 90%. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მხარი დაუჭირა რეფერენდუმში მონაწილეთა 97%. რაც მთავარია, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა ქვეყნის არაქართულმა მოსახლეობამაც.

რეფერენდუმის საფუძველზე 1991 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. ამრიგად, ქართველმა ერმა XX საუკუნეში უკვე მეორედ შეძლო დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.